① სტაბილურობიდან — კეთილდღეობამდე!

არჩილ გოგელია: პორტრეტი სამ განზომილებაში *გვ. 4.* **ვიდრე ცოცხალი ხარ, სიკვდილი არ გაბედო!** *გვ. 5.*

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №292 (3333) ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

გუშინ

საქართველოს პრეზიდენტი გამოთქვამს რწმენას, რომ ბრძენი სომეხი ხალხი არ დაუშვებს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემდგომ ესკალაციას

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ღრმა შეშფოთება გამოთქვა სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტში დატრიალებული ტრაგედიის გამო, რის შედეგადაც არიან მოკლულები და დაჭრილები.

ამავე დროს საქართველოს პრეზიდენტი გამოთქვამს რწმენას, რომ მიუხედავად მომხდარის სიმძიმისა, ბრძენი სომეხი ხალხი არ დაუშვებს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემდგომ ესკალაციას.

* * *

27 ოქტომბერს, გვიან საღამოს შედგა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სატელეფონო საუბარი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან რობერტ ქოჩარიანთან.

მომხდართან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ თავისი თანაგრძნობა გამოხატა და მოძმე სომეხ ხალხს თანადგომა აღუთქვა.

* * *

სომხეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თავისი ღრმა შეშფოთება გამოხატა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

პრეზიდენტი

გაეროს განვითარების პროგრამა სიღატაკის დაძლევაში დაგვეხმარება

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის (UHDP) ადმინისტრატორის თანაშემწე, აღმოსავლეთ ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა განვითარების ქვეყნების რეგიონული ბიუროს დირექტორი ანტონ კრუდერინკი და გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში მარკო ბორსოტი.

ანტონ კრუდერინკი ჩვენს ქვეყანას პირველად 1994 წელს ეწვია, როდესაც საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა გაიხსნა. მისი ამჟამინდელი, რიგით მეხუთე ვიზიტის მიზანია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და ქვეყანაში გაეროს განვითარების პროგრამის საქმიანობის გაცნობა.

როგორც სტუმარმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას აღნიშნა, მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საქართველოს განვითარებაში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი სასიკეთო ძვრები და ის გაბედულება და მხნეობა, რომლითაც ედუარდ შევარდნაძე ქვეყნის დემოკრატიულ აღმავლობას ხელმძღვანელობს.

„თქვენ ისტორიული ფიგურა ბრძანდებით, თქვენი დამსახურებაა, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთს შორის კონფრონტაცია დაძლეულია და მე, საქართველოში სტუმრობისას, თავს ევროპაში ვგრძნობ", – აღნიშნა ანტონ კრუდერინკმა.

სამი კვირის წინათ მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სიღატაკის დაძლევასთან დაკავშირებით დახმარების სპეციალური პროგრამა შეიმუშავეს, საიდანაც დახმარებას სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც მიიღებს. პარლამენტის არჩევნების შემდეგ გაეროს განვითარების პროგრამის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ჩვენს ქვეყანაში სიღატაკის აღმოფხვრის ღონისძიებებსა და პრიორიტეტებს ერთობლივად შეიმუშავებენ, რის შემდეგაც საქართველო დახმარებას მიიღებს.

ანტონ კრუდერინკის განცხადებით, გაეროს განვითარების პროგრამის ახალი ადმინისტრატორი ბრაუნი დიდად არის დაინტერესებული პროგრამის მოცულობის გაზრდით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ UHDP-ის დახმარების პროგრამა მეხუთე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის მთავრობების მიერ განხორციელებული პროგრამების შემდეგ. ის თანხა, რომელსაც საქართველო გაეროს განვითარების პროგრამით მიიღებს, გრანტია და არანაირ გადახდას არ მოითხოვს.

ქვეყნის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტებზე საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა სიღატაკის დაძლევისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მნიშვნელობა.

ქვეყნის მეთაურმა მადლობა გადაუხადა გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრაციას და განაცხადა: „თქვენი პროგრამა ჩვენთვის განსაკუთრებულად მტკივნეულ სფეროში მუშაობს. სიღატაკის დაძლევის საკითხი ჩვენთვის კვლავ ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამასთანავე წამყვანი თემაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემაც. პროგრამა, რომელიც დღეს მუშავდება, ის საფუძველია, რაც საშუალებას მოგვცემს, შედეგიანად ვიბრძოლოთ ამ სენის წინააღმდეგ".

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1999 წლის 24 ოქტომბერი ქ. თბილისი

ს. ნაჭყებიას III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს საზღვაო-სანაოსნო გაერთიანება „აფხაზეთის" ხელმძღვანელი **სერგო ნაჭყებია** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1999 წლის 25 ოქტომბერი ქ. თბილისი

დ. წერეთლის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **დავით წერეთელი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

არჩევნებამდე 3 დღე დარჩა

ჯენტლმენური შეთანხმება დაირღვა

ვაკის რაიონში კენჭს 17 დეპუტატობის კანდიდატი იყრის. 15 მათგანი შედარებით „ჩუმად" არის, ორნი კი – დავით სალარიძე და მიხეილ სააკაშვილი მედგრად ებრძვიან ერთმანეთს.

ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით სალარიძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად მათ შორის ჯენტლმენური შეთანხმება ყოფილა საარჩევნო კამპანიის კორექტულად წარმართვაზე. უფრო სწორად, ეს ნაბიჯი პირველად დავით სალარიძეს გადაუდგამს, რაზედაც, როგორც მან აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს, კი ბატონოო, უპასუხნია, მაგრამ შეთანხმება შეთანხმებადვე დარჩენილა.

იხ. მე-2 გვ.

აქცენტი

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე საქართველოს პოზიციის შესახებ. სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

რეგიონი

ედუარდ შევარდნაძე: „არჩეული გზიდან გადახვევა სამშობლოს ღალატს ნიშნავს"

რამდენიმე წლის წინათ ბევრისთვის ძნელად წარმოსადგენი, დღეს კი უკვე ხორცშესხმული და მოქმედი სუფსის სახმელეთო ტერმინალის წინამდებარე ტერიტორიაზე ახლო მომავალში აღიმართება მონუმენტი, რომელიც განასახიერებს 21-ე საუკუნის საქართველოს იმ დიდ საძირკველს, მიმავალი ასწლეულის მიწურულს რომ ჩაიყარა დამოუკიდებელ სახელმწიფოში. 26 ოქტომბერს, გურიაში ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ამ საძირკვლის უპირველესმა შემოქმედმა, საბურველი შემოხსნა უაღრესად სიმბოლურ ადგილზე აღმართულ მემორიალურ ქვას, სიმბოლურზე, რადგან სწორედ ამ ადგილიდან დაიწყო საერთაშორისო მასშტაბის საუკუნის პროექტში – აბრეშუმის გზის აღორძინებაში საქართველოს, როგორც საკვანძო ქვეყნის არა იდეის დონეზე, არამედ რეალური მონაწილეობა.

დღეს სუფსის ტერმინალს საქართველოს სავიზიტო ბარათსაც უწოდებენ. მან სულ სხვა მნიშვნელობა და, რაც მთავარია, მომავლის მართლაც განსაკუთრებული პერსპექტივა შესძინა მთელ გურიის მხარეს, შექმნა პირობები გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის განვითარებისა და ამ ტერიტორიაზე ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი ზონისა და ინფრასტრუქტურის შექმნისათვის.

იხ. მე-3 გვ.

გამარჯობათ!

ალიანსის სახიფათო ალიანსი?!

ერთი რუსული ანდაზაა: რაც ფხიზელს გონებაში აქვს და ფიქრობს, ის მთვრალს ენაზე უძევს და ლაპარაკობსო. ვერ გეტყვით, მთვრალი თუ არა, მაგარი ნაბახუსევი მაინც თუ ბრძანდებოდა აჭარაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზის სარდალი, გენერალი ვიაჩესლავ ბორისოვი მაშინ, როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ით ეთერში გამოსვლისას, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ერთობ უცერემონიო განცხადებები გააკეთა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ, სავსებით სამართლიანად, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად შეაფასა.

მაინც რაო, ბატონმა რუსმა გენერალმა?

იხ. მე-2 გვ.

ჩანს, გენერალ ბორისოვს აშკარად მოსძალებია ამ საუკუნის ოციანი წლების ნოსტალგია, როდესაც ცალკეული „ქართველების" დახმარებით, ერთი ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, „მოვიდა გარეული და გააგდო შინაური".

ინფორმაცია

სუფსაში კიდევ ერთი ტანკერი დაიტვირთა

სუფსის ტერმინალის გახსნიდან რიგით 27-ე ტანკერი დაიტვირთა კასპიის ადრეული ნავთობით.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ნავთობის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი ქელბაქიანმა განუცხადა, საფრანგეთში უკვე გადაგზავნილია დაახლოებით 140 ათასი ტონა ნავთობი, რომელიც კომპანია „იუნოკალს" და თურქულ „თურქიშ პეტროლიუმს"ეკუთვნის.

ნავთობის ტრანზიტით საქართველოს შემოსავალი წლის ბოლოსათვის 4,8 მილიონ დოლარს გაუტოლდება.

თბილისში ჩამოიტანენ ამერიკულ ვერტმფრენებს

C-17 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები 28-29 ოქტომბერს თბილისში ჩამოიტანენ UH-1H ტიპის სამ ამერიკულ ვერტმფრენს „იროკეზს". 29-31 ოქტომბერს ამერიკელი მფრინავები შეასრულებენ სადემონსტრაციო ფრენებს თბილისსა და მის შემოგარენში. საჰაერო ჩვენებები ქვეყნის ხელმძღვანელობას გააცნობს UH-1H-ს შესაძლებლობებს.

სასამართლოში გასაჩივრდება ბათუმის ქარხნის პრივატიზება

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აპირებს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პრივატიზაციის საქმეზე, განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ დავით გელაშვილმა.

მისი თქმით, საწარმოს პრივატიზაცია მიმდინარე წლის აგვისტოში განახორციელა აჭარის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად, რაც მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

ქართველ და რუს მესაზღვრეთა ხელმძღვანელები ერთმანეთს შეხვდებიან

მოსკოვში 1 ნოემბერს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი კონსტანტინე ტოცკი და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებების თანამშრომლობის აქტუალურ პრობლემების კომპლექსს განიხილავენ.

ყველაზე აქტუალურია საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის, დაღესტნის და აფხაზეთის მონაკვეთებზე დაცვის რეჟიმის საკითხები.

შეიქმნა 24-საათიანი სამორიგეო შტაბი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ლადო კახაძისა და ქალაქის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ერთობლივი შეთანხმებით გუშინ პოლიციის ოცდაოთხსაათიანი სამორიგეო შტაბი შეიქმნა. მას ქალაქის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი მიხეილ სალაძე უხელმძღვანელებს და სისტემატურად გააკონტროლებს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიას.

არჩევნებთან დაკავშირებით მსს მთლიანი შემადგენლობა გაძლიერებულ სამუშაო რეჟიმზეა გადასული.

სალაძის განცხადებით, ამ ხნის განმავლობაში ქალაქში რაიმე სერიოზულ დესტაბილიზაციას ადგილი არ ჰქონია.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ექსკლუზივი

ტერაქტის კვალი ხატაბთან მიდის

ამ ერთი წლის წინათ ვლადიკავკაზის საკოლმეურნეო ბაზარში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით რუსეთში დააკავეს ჩვენი თანამემამულე ნუგზარ ჩუხუა. გამოძიებით დადგინდა, რომ ტერაქტები მისთვის უცხო ხილი არ ყოფილა. მაგალითად, 1998 წლის 9 თებერვალს მას მონაწილეობა მიუღია საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმაში. ქართველი სამართალდამცავებისათვის ნუგზარ ჩუხუა,

იხ. მე-2 გვ.

ტერორი

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა სომხეთში

გუშინ, ერევანში, დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე სომხეთის პარლამენტის სხდომათა დარბაზში შეიჭრა ავტომატებით შეიარაღებული ოთხი-ხუთი პირი და ყვირილით, რომ ეს არის სახელმწიფო გადატრიალება, ლანძღვითა და გინებით ცეცხლი გახსნა. თავდამსხმელებმა ჟურნალისტები დარბაზიდან გაუშვეს, ხოლო დეპუტატები მძევლებად დაიტოვეს.

თავდამსხმელებში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ამოიცნო თავისი ყოფილი კოლეგა,

იხ. მე-2 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

—ძალაშია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 30 ივლისის ბრძანებულება – №26, „საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის შესახებ", სადაც აღნიშნულია (მე-5, მე-6 მუხლებში), რომ რესპუბლიკური მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების არაგეგმიური რევიზიაშემოწმებები ჩატარდეს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თანხმობით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით. მე-6 მუხლით კი, ყველა მაკონტროლებელ ორგანოს, რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის გარდა, ეკრძალება საგადასახადო საკითხებზე სისტემატური შემოწმების ჩატარება.

იხ. მე-[illegible] გვ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-16-90, 93-28-54.

დღის კარიკატურა



ვახტანგ კუციას ნახატი.

უკანასკნელ საათს

გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა დაჯილდოების ცერემონიაზე ტერორიზმთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი განცხადება გააკეთა. „ჩვენ უნდა მოვსპოთ ტერორიზმი ჩეჩნეთში", – თქვა მან.

გუშინ ბორის ელცინი სოჭში გაემგზავრა შვებულების გასატარებლად. იგი „ბოჩაროვ რუჩეიში" დაისვენებს.

გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საათისა და 40 წუთის განმავლობაში გამოსვლისას ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო გამოთქმებში არ დაიმორცხვებდა აშშ სახელმწიფო მდივნისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, დღისით ზოგან, ღამით წვიმა.

ბარში: ღამით +4+9;
დღისით +10+15.
მთაში: ღამით 0+5;
დღისით +4+9.
მაღალ მთაში: ღამით -2+3;
დღისით +1+6.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით ზოგან წვიმა. მაღალ მთაში თოვლი.

ბარში: ღამით +1+6;
დღისით +12+17.
მთაში: ღამით 0+5;
დღისით +5+10.
მაღალ მთაში: ღამით -1+4;
დღისით +2+7.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით მცირე წვიმა.

ღამით +3+5; დღისით +14+16.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 27 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	1.0186 ლარი
აშშ დოლარი	1	1.8850 ლარი
ევრო	1	1.9923 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0733 ლარი.

საქართველოს რესპუბლიკა
№292. ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1999 წელი.

პრეზიდენტი

კომპანია „ერიქსონი" იწყებს კახეთის რეგიონის ტელეფონიზაციას

შვედეთის ტელესაკომუნიკაციო კომპანია „ერიქსონი" ამ დარგის ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში. მასზე მოდის მსოფლიოს საერთო სარგებლობის სატელეფონო და მობილური კავშირგაბმულობის ქსელებისათვის წარმოებული აპარატურის 40 პროცენტზე მეტი.

ბოლო წლებში კომპანია „ერიქსონი" სერიოზულად დაინტერესდა საქართველოს ტელეკომუნიკაციის ბაზრით და გააქტიურა თავისი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში. 1998 წელს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და კომპანია „ერიქსონს" შორის.

განსაკუთრებით საინტერესოა „ერიქსონის" მიდგომა საქართველოს სოფლის სატელეფონო ქსელის განახლებისა და მოდერნიზაციის კუთხით. მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს კახეთის რეგიონის სატელეფონო ქსელების ტელეფონიზაცია, რომლის პირველი ეტაპის პრეზენტაცია დაგეგმილია 28 ოქტომბერს. ამ მოვლენაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ „ერიქსონის" წარმომადგენლები მისი დირექტორის პეტერ ლოკკეს ხელმძღვანელობით.

27 ოქტომბერს დელეგაცია მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბერიატელის" ხელმძღვანელებიც. „იბერიატელი" სწორედ „ერიქსონის" მხარდაჭერით დაფუძნდა, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეიმუშაონ სოფლის სატელეფონო ქსელის აგების ახალი იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სოფლის რეგიონების სრულ ტელეფონიზაციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო დანერგვას, ხელს შეუწყობს ინტერნეტის, ტელემედიცინის, ელექტრონული კომერციის და სხვა ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას. ამდენად, ჩანაფიქრს სოციალური დატვირთვაც ენიჭება.

საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე განიხილეს ეს პროექტები, რომელთა განხორციელებას კომპანიის მესვეურნი უმოკლეს ვადაში გვპირდებიან. „ერიქსონის" ხელმძღვანელთა განცხადებით, საქართველო პირველი ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც კომპანია იწყებს მოღვაწეობას. ამიტომ გასაგებია მათი განსაკუთრებული დაინტერესება მუშაობის წარმატებული შედეგებით.

საქართველოს პრეზიდენტს კომპანიის წარმომადგენლებმა წარმოუდგინეს უახლესი კომუტატორი, რომელიც, მცირე ზომის მიუხედავად, მთელი ქვესადგურის მაგიერობას შეასრულებს და 7000 აბონენტს მოემსახურება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, „ერიქსონი" დაინტერესებულია ფოთი-ვარნას ბოჭკოვან-ოპტიკური საკაბელო მაგისტრალის რეალიზებითაც. ეს პროექტი შესაძლებელია ტრანს-აზია-ევროპის ბოჭკოვან-ოპტიკური საკაბელო მაგისტრალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად გადაიქცეს. ამ მიზნით აპირებენ საერთაშორისო კონსორციუმის დაფუძნებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტრო, ბულგარეთის, უკრაინის და იაპონიის კომპანიები.

საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა წარმოდგენილ პროექტებს და სრული მხარდაჭერა აღუთქვა მათი განხორციელების საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 24 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს პროფესიული კავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაციის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში, დარგის მუშაკთა შრომითი და სამართლებრივი ინტერესების დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს პროფესიული კავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაციის მუშაკები:

ჯამლეთ გველესიანი — საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირის შოთა რუსთაველის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა გამაჯანსაღებელი ბაზის დირექტორი;

ვერა გიგაშვილი — საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირის საფინანსო განყოფილების გამგე;

სემიდა ჯმუხაძე — საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

ე. შევარდნაძე.

სახელმწიფო მინისტრი მარნეულსა და დმანისში

სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გუშინ მარნეულისა და დმანისის რაიონებს ეწვია.

სახელმწიფო მინისტრი მარნეულის სახელმწიფო თეატრში ამომრჩევლებს შეხვდა, სადაც პარალელურად აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის დიდოსტატის, ამულ კამანდარის 65 წლის იუბილეს ზეიმობდნენ. ვაჟა ლორთქიფანიძემ მას საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიერ დაწესებული ღირსების ორდენი გადასცა.

სახელმწიფო მინისტრმა დაათვალიერა, აგრეთვე, დმანისის ნაქალაქარის გათხრები, სადაც რამდენიმე თვის წინათ ევრაზიაში უძველესი ორი ადამიანის თავის ქალა აღმოაჩინეს. სპეციალისტების გამოთვლით, დმანისის ნაქალაქარში აღმოჩენილი თავის ქალები 1 800 000 - 2 000 000 წლისაა.

როგორც დმანისში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ განაცხადა, ქვემო ქართლში ამომრჩეველთა ხმები არ იყიდება და, მისი აზრით, მოქალაქეთა კავშირი ამ რეგიონში აბსოლუტურ გამარჯვებას მოიპოვებს.

ინფორმაცია მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

1999 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სია, რომლებსაც პარტიის წარდგინებით, ან პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდათ საარჩევნო რეგისტრაცია

1. წულაია ჯანელი	საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია	პ/მ
2. მუზითიძე ვაჟა	ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"	პ/მ ოლქიდან

სახელმწიფო მინისტრი

ვ. ბორისოვის განცხადება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენს და არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, — მიაჩნია საქართველოს სახელმწიფო მინისტრს

„სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი მაღალი რანგის სამხედროს მხრიდან ასეთი განცხადების გაკეთება ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს — საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენს და არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს", — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ 1999 წლის 24 ოქტომბერს საქართველოში რუსეთის ჯარების დაჯგუფების ქალაქ ბათუმში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის მეთაურის, გენერალ-მაიორ ვ. ბორისოვის მიერ გაკეთებულ ცნობილ განცხადებასთან დაკავშირებით.

„ასეთი განცხადება განსაკუთრებით შემაშფოთებელია არჩევნების წინ, რადგან ნათლად ავლენს რუსეთის ზოგიერთი რეაქციული წრეების და საქართველოში მათი თანამგრძნობი პოლიტიკური ძალების რევანშისტურ მისწრაფებებსა და ზრახვებს. ამგვარი პროვოკაციული გამოხდომები სამიშია იმიტომაც, რომ ისინი ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ისეთი საპასუხო მოქმედებებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წინ, რაც ასევე მიუღებელია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ცივილიზებულ ნორმებს", — მიაჩნია ვაჟა ლორთქიფანიძეს.

საქინფორმი.

გამარჯობათ!

(პირველი გვერდიდან)

თურმე, ნუ იტყვით და, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა „პრობლემებს უქმნის საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ბაზების ნორმალურ ფუნქციონირებას" (?!).

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ის კი მაინც უთუოდ უნდა ითქვას, რომ ჩანს, გენერალ ბორისოვს აშკარად მოსძალებია ამ საუკუნის ოციანი წლების ნოსტალგია, როდესაც ცალკეული „ქართველების" დახმარებით, ერთი ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, „მოვიდა გარეული და გააგდო მინაური".

პოდა, კვლავ ამ დროის დადგომას ელოდება, ყოველ შემთხვევაში, აშკარად ნატრობს იგი.

ამიტომაც იყო, რომ იქვე იმედი გამოთქვა, საპარლამენტო არჩევნებში ბათუმურ ალიანსში გაერთიანებული პოლიტიკური ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, პარლამენტში საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია გახდებაო შესაძლებელი.

ამით გენერალმა ბორისოვმა, ნებსით თუ უნებლიედ, რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური თუ არა, ყველაზე მაღალი დონის სამხედრო ხელისუფლების ნასათუთარ-ნალოლიავები ოცნება გაამჟღავნა.

ეს უდავოა, რადგან თუმცა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში, ისევე როგორც მთლიანად ამ საკმაოდ დაუძლურებულ უზარმაზარ იმპერიაში, დისციპლინა და წესრიგი საკმაოზე მეტადაც გახლავთ მოშამფალებული, მაგრამ არა იმდენად, რომ ერთმა გენერალმა იმგვარი სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ ორი ქვეყნის სამთავრობო დონეზე უნდა განიხილულიყო, ასე კატეგორიულად და სახალხოდ გააკეთოს მსგავსი განცხადებები.

ამიტომაც ეშინობ, რომ მისი ეს განცხადება სულაც არ გახლავთ იმ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი, გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს.

მაგრამ ყველაზე მეტად კი მაინც ის მაშფოთებს, რომ არანაირი პროტესტის მსგავსი რამ არ მსმენია (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!) იმ ბათუმური ალიანსის წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთა იმედიც ასე ძალიან ჰქონია რუს გენერალს.

და თუ ეს ასეა, მაშინ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბათუმურ ალიანსს ქართული საქმისთვის ძალიან საზიანო ალიანსი ჰქონია მარტო გენერალ ბორისოვთან კი არა, მინიმუმ მის ზურგს უკან მდგომ რუსეთის უმაღლეს სამხედრო ხელისუფლებასთანაც.

თუმცა, რატომ მხოლოდ სამხედრო ხელისუფლებასთან? გუშინწინ საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა აჩვენა, თუ რაოდენ შეშფოთებული არიან რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები იმ პერსპექტივით, რომ 2005 წლისთვის საქართველომ შესაძლოა ნატოში გაწევრიანება მოისურვოს და იქნებ შეძლოს კიდეც.

— ეს თვით საქართველოსთვის იქნება დამღუპველიო, — ჩვენი მოსალოდნელი ცუდი პერსპექტივით „შეშფოთებული" დუმელები არცთუ მარჯვედ ახვევენ მგელს ცხვრის ტყავში.

მაგრამ ცხვრის ტყავში გახვეული კი არა, საკუთარ, აჯაგრულ-ბეწვებიან ტყავში „გამოწყობილი" მგელიც ვერაფერს დაგვაკლებს, თუ ქართველები ერთად ვიქნებით.

ეს კი სულ რამდენიმე დღეში, საპარლამენტო არჩევნებისას უნდა გადაწყდეს, როდესაც საარჩევნო ურნებსა და საკუთარ სინდისთან პირისპირ დარჩენილებს ერთადერთი სწორი არჩევანის გაკეთება მოგვიწევს.

გავაკეთოთ ეს არჩევანი და კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დავამტკიცოთ, რომ ძალა მართლაც ერთობაშია!

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ „მგელი" თავის, წესით საჩუმათო, ზრახვებს უკვე არა თუ ვერ მალავს და ავიწყდება, რომ, როგორც საერთოდ სიტყვაძუნწობით ცნობილმა ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, კბილებს სხვა ფუნქციაც აქვს, — საჭიროებისას ენას უნდა დააჭირონ.

მაგრამ თუ „მგელი" მთვრალი კი არა, ნაბახუსევიც არ იყო და სათქმელი აბსოლუტურად ფხიზელმა თქვა, რადგან მიაჩნია, რომ ამის გაცხადება დღეს უბრალოდ აუცილებელია?

აი, ამას უნდა აღვუდგეთ წინ 31 ოქტომბერს.

ასეთია ჩემი პოზიცია და პასუხი თბილისელი ნესტორ ხოზრევანიძის სატელეფონო ზართან დაკავშირებით, რომელმაც აღშფოთება გამოთქვა გენერალ ბორისოვის გამოსვლის გამო და აინტერესებს აჭარის ხელმძღვანელობის პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

ალიანსის საჩიფათო ალიანსი?!



მორიგე რედაქტორი.

P. S. გაზეთი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც მივიღეთ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესსამსახურის განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „გენერალ-მაიორ ვ. ბორისოვის გამონათქვამები საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნასთან დაკავშირებით მისი პირადი აზრია და არ გამოხატავს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობისა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს პოზიციას.

გენერალ-მაიორი ვ. ბორისოვი არ არის თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია განცხადება გააკეთოს აღნიშნულ პრობლემაზე".

როგორც იტყვიან, ღმერთმაც ქნას, ასე იყოს. მაგრამ კვამლი უცეცხლოდ რომ არ არსებობს! და თუ მაინც მართლაც ისეა საქმე, როგორც ზემოაღნიშნული პრესსამსახური განაცხადებს, იმედია ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ხელმძღვანელობა თუ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო სათანადო საკადრო გადაწყვეტილებებსაც მიიღებენ ვ. ბორისოვისა და მის მსგავს სამხედროებთან დაკავშირებით.

იმედია ამ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ისიც უთუოდ შეუწყობს ხელს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო უწყებას საპროტესტო ნოტით მიმართა, რომლითაც ვ. ბორისოვის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

მ. რ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ჯენტლმენური შეთანხმება დაირღვა

(პირველი გვერდიდან)

— ის, ვინც ფიქრობს, ვაკეში არჩევნებს გააყალბებს, მინდა თავიდანვე გავაფრთხილო, ტყუილად იმედოვნებენ, — განაცხადა დავით სალარიძემ.

— „ეუთოს" ექსპერტებმა ცუდი შეფასება მისცეს თქვენს, როგორც სახალხო დამცველის საქმიანობას, — უთხრეს ჟურნალისტებმა.

— ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, ამ თანამდებობის შესაბამისი ბაზა და გარემო საქართველოში არ არსებობს. გავაკეთე ის, რაც შევძელი.

— წინასაარჩევნოდ ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის სულ უფრო და უფრო იძაბება...

— ორივე მხარემ ერთმანეთის სახით მტრის ხატი შექმნა. ისეთ კულმინაციამდე მივიდნენ, ჩიხიდან გამოსვლა გაუჭირდებათ. მომრიგებელიც არავინ ჩანს.

— „აღორძინებასთან" ალიანსში გამხელენ...

— „აღორძინების" პოლიტიკურ პლატფორმასაც კი არ ვიცნობ. მათ მიმართ შინაგანად თბილი დამოკიდებულება ალიანსს არ ნიშნავს.

— ნუთუ, ომბუდსმენის პოსტი გეცოტავათ?...

— აბსურდის თეატრის მსახიობი ვიყავი..

— ყოფილხართ თუ არა როდესმე დაქირავებული?

— მხოლოდ ხალხისგან.

— ამბობენ, რომ სპიკერობას უმიზნებთ...

— ესეც ჭორია. თუ აბსოლუტურ უმრავლესობაში მოქკავშირი მოვიდა, ბუნებრივია, სპიკერი მე ვერ ვიქნები, თუ „აღორძინება" მოვიდა, მათ სპიკერობის სამი კანდიდატი ჰყავთ, თუ არც ერთი არ მოვა, მაშინ არ ვიცი...

— განვლილ პერიოდში რა იყო ყველაზე აქტუალური საკითხი საქართველოს ომბუდსმენისათვის...

— შევძელი ისეთი საქმის დაძვრა, როგორიცაა 1991-1992 წლების მოვლენების შეფასების აღიარება პარლამენტისაგან. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკური მოტივით სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი. მხოლოდ 1991-1992 წლების მოვლენების შეფასებაში ეხედავ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

დავით სალარიძემ უარყო მის მიმართ წაყენებული ყბადაღებული ბრალდება „73 მილიონის შესახებ".

მარიამ ხურციძე.

ტერორი

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა სომხეთში

(პირველი გვერდიდან)

ვინმე ნაირი უნანიანი, რომელიც „დაშნაკცუტუნის" პარტიის წევრად ირიცხებოდა.

როგორც ჟურნალისტებს აცნობა რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრმა ჰაიკ ნიკოღოსიანმა, რომელიც თავდასხმის დროს პარლამენტის სხდომათა დარბაზში იმყოფებოდა, დაჭრილები არიან დეპუტატები ანდრანიკ მანუკიანი, ჰერმინე ნაგდალიანი, არმენ ხაჩატრიანი, ქირაირ გევორგიანი, მიქაელ კოტანიანი, ედმონდ ცარუკიანი.

გაზეთის დაბეჭდვის წინ მიღებული ბოლო ინფორმაციით, საინფორმაციო სააგენტოებმა სანდო წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელეს ცნობა, რომ ტერორისტებმა თავდასხმის დროს მოკლეს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი, პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჭიანი, ორი ვიცე-სპიკერი და 1 მინისტრი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა ერევანში მომხდარი ფაქტის გამო.

მისი თქმით, სომხეთის პარლამენტში ტერორისტული აქტი, რომლის შედეგადაც დაიღუპნენ პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი, პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჭიანი და რამდენიმე დეპუტატი, განახორციელა პოლიტიკურ-ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ, რომლის წევრებსაც ადრე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დაშნაკთა პარტიასთან.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, მსგავსი არაადამიანური ტერორისტული აქტის მოწმე მსოფლიო ჯერ არ ყოფილა. დაშნაკთა პარტიაში კი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოქმედებდა რადიკალური ფრთა, რომელიც ტერორისტულ ქმედებებს მიმართავდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საჭიროა მთელი მსოფლიოს გაერთიანება მე-20 საუკუნის უმთავრესი სენის, პოლიტიკური ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ექსკლუზივი

ტერაქტის კვალი ხატაბთან მიდის

(პირველი გვერდიდან)

როგორც იტყვიან, ჩინებული წყაროა, რადგან მან უკვე დაასახელა სპეციალური მომზადების ბანაკიც და ტერაქტში მონაწილე სხვა რამდენიმე პირიც.

— რაც აქამდე საქართველოში ნუგზარ ჩუხუას ექსტრადიციის თაობაზე იწერებოდა, მხოლოდ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ, — მითხრა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსმა ერიკ სეანიძემ. — ჩუხუას გადმოცემის შესახებ ჩვენი შუამდგომლობა რუსეთის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი უსტინოვმა მხოლოდ გუშინწინ, 25 ოქტომბერს დააკმაყოფილა. ჩვენს ქვეყანაში ნუგზარ ჩუხუას ჩამოყვანა დაევალა რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურს. როგორც მოსკოვიდან გვაცნობეს, ტერაქტში ეჭვმიტანილი ძალიან მალე სამშობლოში უკვე ხელბორკილით დაბრუნდება. მას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები ჩაიბარებენ.

როგორც ვიცით, 1998 წლის ტერაქტის მონაწილეთა 73-ტომიანი საქმე უკვე საქართველოს უზენაეს სასამართლოში დევს. ნუგზარ ჩუხუას და კიდევ ათიოდე ძებნილის საქმე კი ცალკეა გამოყოფილი. ჩანს, მათთვის უკვე სხვა საგამოძიებო ჯგუფი „მოიცლის", რომლის მუშაობაც, ეტყობა, ძალზე საინტერესოდ წარიმართება. ნუგზარ ჩუხუას აღიარებით, იგი და მისი თანამზრახველები ჩეჩნეთში, ხატაბის ბანაკში იწვრთნებოდნენ. ადრე დაპატიმრებულებს კი, კონკრეტულად და ოფიციალურად, ასეთი რამ არსად განუცხადებიათ.

ბონდო გულიაშვილი.

დღის განწყობილება

რეგიონული მასშტაბის ევროტურისტი

„პარიზული არდადეგების" პრელუდია — ლონდონის „კეთილი ნების ლონისძიება"

მას შემდეგ, რაც პოლიტიკის კნაწა-კნუწმა „კარიესი" შეჰყარა, ასლან აბაშიძე ევროპაში გაემგზავრა „სამკურნალოდ". კარგი ექიმის მოძებნა სულაც არ არის ძნელი, თუკი ფული გაქვს და მკურნალობის აუცილებლობასაც გრძნობ.

ასლან აბაშიძე კი გრძნობს, რომ მის იმიჯს (და არა კბილებს!) სწორედ ევროპაში უნდა „უმკურნალონ" და წინასაარჩევნოდ კიდეც გაუდგა გზას ევროპისკენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მის მეგობარსა და მრჩეველს, ამერიკის შეერთებულ შტატებში „პერსონა ნონ-გრატად" გამოცხადებულ გრიგორ ლუჩანსკის მისთვის არ უთქვამს, რომ რეპუტაცია, ისევე როგორც ქალწულობა, იკარგება მხოლოდ ერთხელ. და, სამწუხაროდ, ხშირად — სამუდამოდ. მისთვის არ უთქვამს, თვითონ კი თავისსამართლებელ ინტერვიუში გულდაწყვეტილი ამბობს ამ სიტყვებს.

თანაც ამბობს სწორედ იმ დღეებში, როცა ასლან აბაშიძე ევროპაში მისტიროდა დაკარგულ „ქალწულობას", ანუ პოლიტიკურ რეპუტაციას.

ასლან აბაშიძის ვიზიტი იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ, მე მგონი, თვით მისმა გარემოცვამაც კი არ იცოდა „მტირალი ლომის" ადგილსამყოფელი, სადაც „სმენად მხეცნი მოვიდიან".

მხეცნი — მხეცნად, ფაქტები კი ასეთია:

სტრასბურგში პარლამენტარები არც კი გამოხმაურებიან მის სურვილს შეხვედრის თაობაზე.

ბრიუსელში ევროკომისიამ მხოლოდ კაფეში არაოფიციალური შეხვედრა შესთავაზა არა ვან დერ ბრუკის, არამედ კომისიის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლების დონეზე.

რას იზამ... პოლიტიკას თავისი კანონები აქვს.

სანამ ასლან აბაშიძე „ინტენსიურ შეხვედრებს" მართავდა ევროპის სახელისუფლებო წრეებთან, მისი უპირველესი (?) მრჩეველი ვალერი გელბახიანი გვამშვიდებდა, რომ ვიზიტი ევროპის მოწინავე ქვეყნების მიწვევების საფუძველზე შედგა". თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებდა.

გასაგებია, რატომაც. თუნდაც ის იყო უკვე საეჭვო ამ „მიწვევებში", რომ საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ასლან აბაშიძეს ევროპაში უვიზოდ გამგზავრებაზე უარი უთხრა.

არა, ნამდვილად ღირსეულად არ აფასებენ ევროპელები იმ კაცს, ვინც ლუიზა შაკიაშვილზე მხოლოდ ორჯერ შეხედვით „ჭკვიანი, ნიჭიერი დიპლომატის შთაბეჭდილება დატოვა".

ქალბატონი მირეი მიუსო, საფრანგეთის ელჩი კი მართლაც კარგი დიპლომატია და მეეჭვება არ სცოდნოდა, თუკი საფრანგეთის ხელისუფლების მიწვევა ჰქონდა „ჭკვიან, ნიჭიერ დიპლომატს".

ელჩის ეჭვი, რომ ეს ვიზიტი შეთანხმებული არ იყო მისი ქვეყნის ხელისუფლებასთან, იმანაც დაადასტურა, რომ ტურისტული ვიზით პარიზს გამგზავრებული ასლან აბაშიძე, მიუხედავად მისი სურვილისა, პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა არ მიიღო. არ შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრიც. მას მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ერთ-ერთი განყოფილების გამგემ დასდეს პატივი.

თავად ასლან აბაშიძის ლევილში სტუმრობის შესახებ არაფერი იცოდა საქართველოს სათვისტომომ. თვით „მაღალი სტუმრის" „ვიზიტი" იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მისი გვარი არც ერთ სასტუმროში არ იყო დაფიქსირებული.

არადა, ხომ შეიძლება შენი შელახული რეპუტაციის აღსადგენად მაინც გამოიჩინო თავმდაბლობა და დაიცვა პროტოკოლის ელემენტარული მოთხოვნა — საქმის კურსში ჩააყენო შენი ქვეყნის ელჩი მასპინძელ ქვეყანაში. შენ ხომ ხელისუფლების წარმომადგენელი ხარ.

ამ „დიდად წარმატებული" ევროტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ასლან აბაშიძემ კი 27 სექტემბერს გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ვიზიტის შედეგებსა და დეტალებზე საუბარი არ ისურვა. მათ კი, ვისაც მისი შედეგიანი ვიზიტისა არ სჯერა, იმ ვიდეოფირების ნახვა ურჩია, სადაც საფრანგეთში ვოიაჟია სრულად ასახული.

ფირები კი არა და არ ჩანს.

ორკვირიანი დუმილის დარღვევისა და ნისლის გაფანტვის ნიშნად უნდა მიგვეღო თითქოს ის, რაც აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პრესმდივანმა 11 ოქტომბერს პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტს განუცხადა. თურმე, ასლან აბაშიძემ საფრანგეთში ვიზიტისას უამრავ საერთაშორისო ორგანიზაციასთან გამართა მოლაპარაკება და „აბაშიძის თხოვნით საქართველოში უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი ჩამოვა".

ესეც დიდი მიღწევაა, ხომ იცი! ევროპაში წახვიდე იმისთვის, რომ დამკვირვებლები მოიწვიო. მე დალოცვილო, დამკვირვებლები საქართველოში გამართულ ყველა არჩევნებს დაესწრნენ და ახლა, შენ რომ არ ხლებოდი, არიქა, ჩამოდით და გვიშველეთო, ფაქსით გაგეგზავნა მოწვევა, არ შეიძლებოდა?

18 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ასლან აბაშიძე თავს უფლებას აძლევს, საქართველოს პრეზიდენტის გერმანიაში ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადოს: „არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა რომელიღაც ქვეყნის ჯილდო მიიღო". მართლაც, არაფერია ამაში გასაკვირი, როცა დამსახურებულად გაჯილდოებენ. გასაკვირი კი არა, სასიამოვნოა და საამაყო, არამარტო შენთვის, შენი ქვეყნის მოსახლეობისთვისაც. გასაკვირი ის არის, რასაც ბატონი ასლანი ამასთან დაკავშირებით აცხადებს. თურმე, მისთვის გადაცემული უამრავი ჯილდოს მისაღებად თავად იგი არსად ჩასულა. დააჯილდოვეთ ახლა ასეთი კაცი!

შენ აგაშენა ღმერთმა! თუკი, როცა გიწვევენ და გაჯილდოებენ, მაშინ არ მიდიხარ, ახლა, როცა არც გპატიჟებენ და არც გელაპარაკებიან, რა ვიზიტები აგიტყდა, ფულს რაში ხარჯავ?!

სხვათა შორის, „პარიზული არდადეგების" შედეგიით გაურკვეველია ამ ვოიაჟის ფინანსური მხარე.

რამდენი დაიხარჯა ამ „წარმატებული ვიზიტის" დროს?

ამის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

სამაგიეროდ, გუშინ ჩემთვის ცნობილი გახდა 1993 წლის 13 მაისიდან 28 მაისამდე ასლან აბაშიძის ლონდონში ასევე გაურკვეველი ვიზიტის ზოგიერთი დეტალი.

საბანკო-საფინანსო დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ ეს ვიზიტი მთლიანად დააფინანსა საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, კერძოდ, ფირმა „ანგლო-ჯორჯიამ", რომელმაც საამისოდ გამოჰყო 144 284 დოლარი. მოხდა ამ ვალუტის კონვერტირება 92876 ფუნტ სტერლინგად.

ასლან აბაშიძემ სასტუმრო „მერიდიანში" გადაიხადა 55236 ფუნტი სტერლინგი, ხოლო 5000 ფუნტი სტერლინგი ჯიბის ფულად გაიყოლა.

ასლან აბაშიძის ლონდონში გამართულმა „კეთილი ნების ღონისძიებამ" 15000 ფუნტი სტერლინგი შეიწირა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ფული იხარჯება იმ დროს, როცა ქვეყანაში უკვე შექმნილია თავდაცვის ფონდი, საზოგადოება „თბილისელი" შემოწირულობებს იღებს მოქალაქეებისგან ჯარის დასახმარებლად. ფრონტის ხაზზე ჯარისკაცებს სცივათ და შიათ. მთელი საქართველო წყვდიადშია გახვეული, ხალხს პურის ფული არა აქვს და, თუ აქვს, დღე და ღამ რიგებში უწევს დგომა.

„კეთილი ნების", მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის არაფრისმომცემ „ღონისძიებაში" კი, სხვა რომ აღარა ვთქვათ, იხარჯება 15 ათასი ფუნტი სტერლინგი.

ეს იყო გუშინ.

დღეს კი ვიღაცას აღარ ახსოვს წარსულის სიბნელე, და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად უტიფრად მოიწევენ მარად გუშინდელნი. იწამლება ჰაერი და ვივიწყებთ, რომ ჰაერი სიცარიელე კი არა, მყარი, მაგრამ უხილავი სუბსტანციაა.

შეუძლებელია არ გაგახსენდეს შესანიშნავი პუბლიცისტის თეიმურაზ სტეპანოვის სიტყვები: „ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებას ამნეზია სჭირს".

ამნეზია კი, მოგეხსენებათ, მეხსიერების შესუსტებას ან სრულ დაკარგვას ნიშნავს.

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!

ბონდო მძინარაშვილი.

რეგიონი

ედუარდ შევარდნაძე: „არჩეული გზიდან გადახვევა სამშობლოს ღალატს ნიშნავს“

საქართველოს
მოქალაქეთა
კავშირი

(პირველი გვერდიდან)

სანაპირო ზოლის განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია სუფსის საზღვაო ნავსადგურის შექმნა, რომლის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია — საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შესაბამის ბრძანებულებას. ახალი ნავსადგური, პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია ძირითადად ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის — მისი შვიდი ნავმისადგომიდან ორი სწორედ ნავთობპროდუქტებს მოემსახურება, დანარჩენები კი საკონტეინერო ტვირთებს, დიდგაბარიტიან ტვირთებს, რკინიგზის ბორანს, საავტომობილო ბორანს და ერთიც — პორტფლოტს.

გათვალისწინებულია, აგრეთვე, სამრეწველო ზონის მშენებლობა. მასში შევა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, დამახარისხებელი სარკინიგზო სადგური, ენერგეტიკული და საინჟინრო უზრუნველყოფის ობიექტები, რკინიგზის ბორნის მომსახურე სარკინიგზო კვანძი.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის განვითარების პერსპექტივების განხილვის დროს, რომელიც სუფსაში გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინეს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად მიმზიდველ შეკვეთილის ტერიტორიაზე სავაჭრო-ტურისტული კომპლექსის პროექტი. ამ გრანდიოზული პროექტის მიხედვით, რომელსაც დონორი ორგანიზაციები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და კერძო ინვესტორები დააფინანსებენ, კომპლექსი ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილისაგან შედგება. ეს არის მერიის სააეროდრომო კომპლექსი და შეკვეთილის ზღვისპირა რეკრეაციული ზონა. შეკვეთილში განლაგდება მომსახურეობისა და ვაჭრობის ობიექტები, სასტუმროები და ა.შ. შესანიშნავი ბუნებრივი პირობებით, ზღვისპირა, ბალნეოლოგიური და სამთო კურორტების სიახლოვით განსაკუთრებით მიმზიდველი ბიზნეს-ქალაქი 7 ათას დამსვენებელს მიიღებს და, შესაბამისად, 10 ათასამდე კაცს დაასაქმებს. მისი ფუნქციონირება საბიუჯეტო შემოსავლებს დაახლოებით 130 მილიონი დოლარით გაზრდის, ამავე დროს, ხელს შეუწყობს ევრაზიის დერეფნის ჩრდილოეთ-სამხრეთის მარშრუტის განვითარებას.

გარდა ამ კომპლექსისა, საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის მერაბ ჩხენკელის ინფორმაციით, ძალზე საინტერესო სამრეწველო კომპლექსის შექმნის საშუალებაა სოფელ მერიაში. ამ კომპლექსის ძირითადი ობიექტი იქნება 300 მეგავატიანი თბოელექტროსადგური. ამასთან, გათვალისწინებულია მხარის ძალზე მტკივნეული პრობლემის — წყლით მომარაგებისა და კანალიზირების პრობლემის გადაწყვეტა. ამ საქმის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, მინისტრის განცხადებით, გამოყოფილია იაპონიის მთავრობის გრანტი. ამ შეხვედრაზე პირველად ოფიციალურად გამოცხადდა იმის შესახებ, რომ 18-19 ნოემბერს სტამბოლში ხელს მოაწერენ გადაწყვეტილებას დიდი ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტის დამტკიცების შესახებ. როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, უაღრესად სიმბოლურია, რომ ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს სწორედ სუფსიდან ეცნობება, რადგან სწორედ სუფსის სახმელეთო ტერმინალის აშენება-ამოქმედებით დაიწყო ახალი ეპოქა საქართველოს უახლეს ისტორიაში. „როდესაც ტერმინალზე ფიქრი დავიწყეთ, ხალხი შიმშილის ზღვარზე იყო მისული. მაგრამ, ამის მიუხედავად, არ გვქონდა უფლება არ გვეფიქრა მომავალზე. დღეს კი უკვე რეალურად გამოიკვეთა, რომ საქართველოს შავი ზღვისპირეთს უზარმაზარი მომავალი აქვს“, განაცხადა შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ. ამ მომავალში ერთნაირად მოიაზრება ფოთის, ბათუმის, ოჩამჩირის, ანაკლიის, ყულევის ნავსადგურები, რკინიგზა, საკურორტო ზონა, გზები და მაგისტრალები. ეს მომავალი, როგორც იტყვიან, ხელის გულზე დევს, და, თუმცა, მომავლის პერსპექტივა იმ კაცს, რომელსაც პენსია დაუგვიანდა, უცბად ვერ გადაუწყვეტს ყოველდღიურ პრობლემებს, სამაგიეროდ იმის მყარ გარანტიას ქმნის, რომ ამ თემაზე მომავალში ლაპარაკი აღარ იქნება. „ამ ყველაფრის დანგრევა არ შეიძლება, კურსის შეცვლა ქვეყნის თვითმკვლელობას ნიშნავს. 4-5 წლის შემდეგ კი ეს პრობლემა აღარ იარსებებს, რადგან ქვეყანა დალაგდება, პოლიტიკური ძალებიც მომწიფდებიან. დღეს ჯერ ისევ ახალგაზრდა, სათუთი ქვეყანა ვართ. ამიტომ, რადგან ვენდეთ, ბოლომდე ვენდოთ პრეზიდენტსა და მის გუნდს“, ეტყვის ედუარდ შევარდნაძე გურულებს, რომლებსაც, მათი განწყობილებისა და დამოკიდებულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ.

ოზურგეთის რაიონში სტუმრობა საქართველოს პრეზიდენტმა ოზურგეთის რეკონსტრუირებული რკინიგზის სადგურიდან დაიწყო, სადაც დაათვალიერა ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დამზადებული კომფორტული და კეთილმოწყობილი ვაგონები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. შემდეგ მან პატივი მიაგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას, ეწვია შემოქმედის ეპარქიას, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მუზეუმ-ნაკრძალს.

აქვე, ოზურგეთის ცენტრში, მუზეუმ-ნაკრძალის შენობის წინ ამ დღეს გაიხსნა დიდი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ვასილ მეავანაძე. ძეგლის გახსნის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა მის შესახვედრად გამოსულ ასობით ოზურგეთელს. შემდეგ კი ოზურგეთის თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა გურიის მხარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე, ისევე, როგორც სუფსაში, ძირითადი ყურადღება სტუმრებმაც და მასპინძლებმაც იმ პერსპექტივას მიაპყრეს, რომელიც მხარის ცხოვრების უახლოეს მომავალს უკავშირდება. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა, საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბორის სარალიძემ შეხვედრის მონაწილეებს უამბეს იმ უახლოესი გეგმების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს მხარის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდნენ გურულები ბორის სარალიძის ინფორმაციას სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის მიმართულებით გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის შესახებ. ამ სამუშაოსათვის საჭირო თანხა გამოიყოფა საქართველოს მთავრობასა და კუვეიტის ფონდს „არაბთა ეკონომიკური განვითარებისათვის“ შორის შეთანხმებული პროექტის ფარგლებში. აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები კი დაახლოებით წელიწადნახევარში დასრულდება. რაც შეეხება ასევე საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში მყოფ სხვა გზებს, ისინი, ბორის სარალიძის ინფორმაციით, გზების რეაბილიტაციის შესახებ პრეზიდენტის პროგრამის ფარგლებში შეკეთდება.

მხარეში ჩაის კულტურის აღორძინებას მოემსახურება იაპონიის მთავრობის გრანტი. ახალი სისტემით აღიჭურვება გურიის რეგიონის სატელეფონო ქსელი.

როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტისათვის შემოსავლის წყაროდ იქცა მხარის ბუნებრივი სიმდიდრე — მინერალური წყალი „ნაბეღლავი“. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მხარის ეკონომიკურ განვითარებაში კეთილშობილი ლითონების მოპოვების პროექტი, რომლის განხორციელების ტენდერში გერმანულმა ფირმამ გაიმარჯვა. თანდათანობით იქმნება სამრეწველო ზონები და ფართოვდება მათი არეალი.

ანუ, როგორც მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კარლო გუჯაბიძემ განაცხადა, „წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გურია თანაგრძნობის ობიექტი იყო. დადგა მისი აღორძინების პერიოდი. ახლა მთავარია მშვიდობა და სტაბილურობა, რათა ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ“.

სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობაზე ილაპარაკეს მხარის მოსახლეობის სახელით ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგმა მზია რეხვიაშვილმა, დაბა ნარუჯის საკრებულოს წევრმა ვლადიმერ დარჩიძემ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვახტანგ ჯაყელმა, პარლამენტის წევრმა დავით ელენტმა, დეპუტატობის მაჟორიტარმა კანდიდატებმა ზურაბ ჩხაიძემ, თამაზ კუნჭულიამ, სხვებმა. ყველა გამომსვლელი შეეხმიანა კარსმომდგარ პარლამენტის არჩევნებს და ერთმნიშვნელოვნად გამოხატა თავისი პოზიცია, მხარი დაუჭიროს სწორედ სტაბილურობას, სახელმწიფოს მიერ არჩეულ დემოკრატიისა და თავისუფალი საზოგადოების შექმნის კურსს, მხარი დაუჭიროს საქართველოს პრეზიდენტის კურსს და ამ კურსის განხორციელებაში მის მთავარ დასაყრდენს — საქართველოს მოქალაქეთა კავშირს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს ამგვარი თანადგომისა და ნდობისათვის და განაცხადა, რომ განვლილმა 3-4 წელიწადმა დაადასტურა არჩეული გზის სისწორე. „ყველაფერი კარგად იყო ადრე, მაგრამ არ გვქონდა მთავარი — თავისუფლება“, აღნიშნა მან და ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი პოზიცია: „არ გვაქვს უფლება, გადავუხვიოთ ამ [illegible] თუ ამ [illegible] ღალატებთ ჩვენს სამშობლოს“. „ძალა, რომელიც ახლა მოილტვის ხელისუფლებისაკენ, მოდის მოსყიდვის, შანტაჟის გზით, მოდის იმისათვის, რომ ანგარიში გაუსწოროს დღევანდელ ხელისუფლებას. ანგარიშსწორების დრო საქართველოში დამთავრდა“, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის დაბრუნება კვლავ ქაოსს, დაპირისპირებას მოასწავებს. „ათასები იხარჯება იმისათვის, რომ ვიღაცა მოვიდეს ხელისუფლებაში და უმრავლესობა ჰყავდეს. საპარლამენტო უმრავლესობა ხალხის უმრავლესობა და მისი ნების გამომხატველი უნდა იყოს“, განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა და კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილთ, რომ 31 ოქტომბრის არჩევნები გადაწყვეტს საქართველოს ხვალინდელი დღის ბედს. რაც შეეხება ბათუმურ ალიანსსა და მის ლიდერს, [illegible] აჭარა ერთი ვინმესი კი არა, მთელი საქართველოს კუთვნილებაა“, — ედუარდ შევარდნაძე აქცენტს ყველაზე მთავარზე აკეთებს: „ხელმძღვანელები მიდიან და მოდიან, ხალხი კი რჩება. ღმერთმა ნუ ქნას, პოლიტიკოსების დაპირისპირება ხალხს გადაედოს“. ასლან აბაშიძის მიერ მისი ტელედებატებში გამოწვევას კი ასეთ „რბილ“ კომენტარს უკეთებს: „სად გაგონილა, ხელქვეითმა ქვეყნის პრეზიდენტი ტელედებატებში გამოიწვიოსო“ და კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის მზადყოფნას ნორმალური და გულწრფელი დიალოგისათვის.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს პრეზიდენტმა წინსვლა და აყვავება უსურვა გურიას, სრულიად საქართველოს.

საქინფორმი.

ახალი სიმღერა

„გიხაროდენ!..“

რევაზ ამაშუკელი და ჯემალ სეფიაშვილი.

ერთ თვეზე ოდნავ მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ტელე და რადიო არხის ეთერით, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მხარდასაჭერი კლიპის სახით, მთელმა საქართველომ გაიცნო კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის ახალი სიმღერა „გიხაროდენ!..“ რომელიც საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც იქცა.

პოლიტიკური შეხედულებების, მრწამსის მიუხედავად, ალბათ, ბევრს მოეწონა სიმღერა, მით უმეტეს, რომ მუსიკალური თვალსაზრისით ის ჭეშმარიტად მაღალი სინჯისა გახლავთ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან ჯემალ სეფიაშვილი კარგა ხნის „ნაცადი“ შემოქმედია, რომელსაც მართლაც ჩინებულად ხელეწიფება საესტრადო სიმღერათა ქმნა. ახლა, ცხადია, არ შევუდგები ჟანრის იმ ჭეშმარიტი შედევრების ჩამოთვლას, რომლებმაც კომპოზიტორს შთამბეჭდავი რენომე შეუქმნეს (მით უმეტეს, ამ ხელოვანის შემოქმედების შესახებ მეც არაერთხელ დამიწერია წერილი) და რომელთა მეოხებითაც ბატონმა ჯემალმა საუკეთესო მუსიკოსის ავტორიტეტიც გაიმყარა და ქართველი ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული და აღიარებაც ჰპოვა. არც იმის შეხსენებაა, ალბათ, საჭირო, რომ ჯემალ სეფიაშვილის არც ერთ სიმღერას არ განუცდია „შემოქმედებით პორტფელში“ კარგა ხანს „ტყვეობა“, — პირიქით, მასთან, ნაყოფიერად თანამშრომლობენ ჩვენი ესტრადის ცნობილი, აღიარებული ოსტატები, ასაკობრივი კატეგორიების განურჩევლად. ალბათ, იკითხავთ, — რატომ? აი, ერთ-ერთი შესაძლო პასუხი — უთუოდ იმიტომ, რომ მოსწონთ ამ ავტორის თხზულებები; და, იმიტომაც, რომ სწამთ წარმატებისა, და ისიც იციან, რომ ჯემალ სეფიაშვილის ესა თუ ის სიმღერა მათ რეპერტუარშიც დამკვიდრდება და მსმენელთა გულშიც მოიპოვებს თუნდაც მცირედ ადგილს.

დამეთანხმებით, რომ მუსიკოსს იძულებით ვერ აამღერებინებ მუსიკას, ხელოვნებაში ძალდატანების ხანა კარგა ხანია ისტორიის კუთვნილებად იქცა. ამიტომაც, არ მიკვირს, რომ „გიხაროდენ!..“-ის შესრულებაში 52 მუსიკოსი მონაწილეობს. თუმცა, ესეც უკვე ჯემალ სეფიაშვილის საკომპოზიტორო ხელწერის ერთ-ერთი (მაგრამ, ცხადია, არა ერთადერთი) სახასიათო თვისებაა — ერთი სიმღერის შესრულებაში ჯემალ სეფიაშვილის მიერ მომღერალთა ასეთი „მასობრივი მოზიდვის“ პირველი მცდელობა, მოგეხსენებათ, რაოდენ წარმატებული იყო — მიმიხვდით ალბათ, — ცნობილ ბალადას „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ ვგულისხმობ, და 9 აპრილის მთელი ტრაგიზმის მიუხედავად, რასაც მიეძღვნა ეს სიმღერა, ხალხმა, სრულიად საქართველომ აიტაცა და გაითავისა ის. ვფიქრობ, არც იმის შეხსენებაა საჭირო, თუ როგორ გააერთიანა სიმღერამ „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ ერი და ბერი, როგორი ერთობით მღეროდა მას მთელი საქართველო. მას შემდეგ მსგავსი ფორმით არაერთი თხზულება შექმნა ჯემალ სეფიაშვილმა, მათ შორის, „ლეჟაიმ“, პოპური „ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდები“... და აი, ამჯერად, „გიხაროდენ!..“, რომელიც უკვე პოპულარული გახდა.

წესისამებრ, წარმატებული გამოდგა ჯემალ სეფიაშვილისა და პოეტ რევაზ ამაშუკელის ტანდემი. მით უმეტეს, რომ ისინი, როგორც ყოველთვის, ახლაც გულწრფელნი არიან საკუთარ გრძნობათა, განწყობათა გამოცემაში. ამიტომაც, ნათლად შეინიშნება სიმღერის ემოციური ბუნებრიობა, რის აჟღერებაშიც, ცხადია, დიდად უწყობს ხელს მომღერალთა, მუსიკოსთა პროფესიონალიზმი, მათი საშემსრულებლო დონისა და გემოვნების დახვეწილობა. აღსანიშნავია, რომ ჯემალ სეფიაშვილს შესანიშნავად აქვს გააზრებული ამ თავისებური „მასობრივი სიმღერის“ სპეციფიკური დრამატურგია, ყოველი დეტალი ზედმიწევნით შეესაბამება აზრობრივ წყობას, ემოციურ წიაღსელებს, და, როგორც ყოველთვის, სიტყვისა და მუსიკის საოცარი ჰარმონიაა მიღწეული. აღსანიშნავია ისიც, რომ, კომპოზიტორის ჩანაფიქრის შესაბამისად, შესრულებისას, ყოველი მუსიკოსი ინარჩუნებს ინდივიდუალობას, მანერის თვითმყოფადობას, მათი ხელწერის თავისთავადი შტრიხების ჰარმონიული შეჯერება კი, გარდა იმისა, რომ მეტ მომხიბვლელობას ანიჭებს სიმღერას, ვფიქრობ, საკმაოდ სიმბოლურიც არის, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს, ქართველებს სწორედ გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება, და თუ პარალელს „გიხაროდენ!..-თან გავავლებთ, აზრთა, მისწრაფებათა სხვაობის მიუხედავად, პიროვნებათა, ერის მეკავშირების, გამთლიანების, ჰარმონიის მიღწევა ნამდვილად შესაძლებელია. იქნებ, „გიხაროდენ!..“-ის ჩანაფიქრს მიებაძოთ კიდეც?! მით უმეტეს, რომ მისი კვინტესენცია ერთობას, დიდ სიყვარულს, კეთილი მომავლისაკენ სწრაფვას, რწმენას ღაღადებს.

ახალი სიმღერის ვიდეოკლიპის რეჟისორია ბასა ფოცხიშვილი, მხატვარი თამარ ფოცხიშვილი (ესეც ხომ ტრადიციის გაგრძელებაა — დღეს, უკვე, იმ პოეტის, რომლის არაერთი ლექსი აუმღერებია ჯემალ სეფიაშვილს, ქალიშვილებთან თანამშრომლობს ბატონი ჯემალი). ბასა ფოცხიშვილის, ამ ნიჭიერი შემოქმედის, საინტერესო რეჟისორის აზროვნებისთვის დამახასიათებელი მრავალპლანიანობა, იდეის ახმიანების დახვეწილი კულტურა ჩინებულად ეხმატკბილება სიმღერის ჩანაფიქრს, დრამატურგიას და მას კარნავალურ-ფოიერვერკულ ელფერს სძენს, თუმცა, ტექსტის სევდანარევობაც არ არის უკუგდებული და შესაბამისად არის ასახული ვიზუალურ მასალაში. ამდენად, ვფიქრობ, კლიპი მართლაც შთამბეჭდავია ყველა პარამეტრით.

დღეს, დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება კონცერტი სახელწოდებით — „გიხაროდენ!..“, რომელშიც ყველა იმ მუსიკოსს იხილავთ, ამ სიმღერის აჟღერებაში რომ მონაწილეობდნენ. ცხადია, ამ სიმღერის გარდა, კიდევ მრავალი სიურპრიზი ელის აუდიტორიას. კონცერტის რეჟისორია ბასა ფოცხიშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი ჯემალ სეფიაშვილი.

ეწვიეთ დიდ საკონცერტო დარბაზს და გიხაროდენ!...

ზურაბ ოიკაშვილი.

გიხაროდენ!..

რევაზ ამაშუკელი

ეს საუკუნეც მიდის, თავდება,
ველით ახალის მოსვლას, გაჩენას!
და ერთად ვდგავართ
მარად თავდებად
ქვეყნის მომავლის გადასარჩენად!..

ჩვენი სიმართლით და ერთგულებით
კვლავ მივაგებებთ
მოძმეს მარჯვენას,
— კვლავ საქართველოს
თავისუფლების
და ძლიერების გადასარჩენად!
ენის, მამულის, სარწმუნოების,
და მომავლის გადასარჩენად!

გიხაროდენ!.. გიხაროდენ!..
მზემ ღრუბლები გადადენა...
— მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით,
მხოლოდ ქვეყნის ერთგულებით
საქართველოს გადარჩენა!

გიხაროდენ!.. გიხაროდენ!..
ცამ სიკეთე დაგადევნა...
— წინ გიძღვოდეს მარადისი
გამარჯვების ალმაფრენა!
გამარჯვების ალმაფრენა!

ღმერთო, განსხიპე ტოტები მავნე,
მოეც სიკეთე ჩემს გზას და რწმენას,
ასვი მირონი მამულის ვენახს
შთამომავლობის გადასარჩენად!

არა გუნდრუკით გადამთიელის,
შენ თავად ზარდე შენი გავაზი
და სულ გახსოვდეს —
ხარ ნამიერი
აღმაშენებლის და ფარნავაზის...
და სულ გახსოვდეს —
შენ ხარ პატრონი
ამ სამოთხის და ამ სილამაზის...

ელექტორატი

იმოქმედეთ, გადაარჩინეთ ქვეყანა დაღუპვას

დაახლოებით ასე შეიძლება დასათაურდეს თითოეული ის წერილი, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზეა მისული სახელმწიფო კანცელარიაში, და რომელთა ნაწილს დღეს გთავაზობთ.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენი შეწუხება ძალიან მიმძიმს ისეთ საკითხებზე, რომელიც ჩემზე და ჩემისთანებზე უკეთ იცით, მაგრამ უთქმელობაც არ ეგების. კერძოდ, უმორჩილესად გთხოვთ, ალკვეთოთ ასლან აბაშიძისა და მისი პარტიის ესოდენ თავხედური გამოხდომები, რაც გამოიხატა შემდეგში:

უარყო აფხაზეთის გენოციდი, აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, არ ასრულებს თქვენს განკარგულებას პატიმართა შეწყალების შესახებ, თავის „სამფლობელოში“ დამკვიდრებული აქვს კორუფციის მაღალი დონე, სახელმწიფო ბიუჯეტში შესატან თანხებს საკუთარი მიზნებისათვის იყენებს, აღვივებს შუღლსა და დაპირისპირებას ქვეყნის შიგნით და, ვინ მოთვლის, კიდევ რას აკეთებს.

ყოველივე ეს უბრალო მოქალაქეების დიდ შეშფოთებას იწვევს, მით უფრო, რომ ზოგიერთები წამოეგნენ მის ანკესს. იმოქმედეთ, გადაარჩინეთ ქვეყანა დაღუპვას. გვჯერა, ეს თქვენს ძალებს არ აღემატება.

პატივისცემით, ვ. ქლენტი.

უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების, თანასოფლელების სახელით, გვიხსნათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელისაგან, პირადად, ასლან აბაშიძის საფრთხისგან.

მხოლოდ იმის დასახელებაც კმარა, რომ აჭარის ხელმძღვანელობა არ ცნობს ქვეყნის კონსტიტუციას, აჭარაში არ სრულდება პრეზიდენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებები.

აჭარის მთავრობა არ აღიარებს ქართველთა გენოციდს აფხაზეთში და ბოლოს, მხარი დაუჭირა აფხაზეთში გამართულ არჩევნებს.

საქართველოს პრეზიდენტს გთხოვთ, თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით აღადგინოთ კანონიერება და კიდევ ერთხელ გადაარჩინოთ საქართველო დაღუპვას.

პატივისცემით, ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში მცხოვრები ლომიძე.

ნინოწმინდის რაიონული საავადმყოფოს კოლექტივი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პრეზიდენტის ამნისტიის ბრძანებულების მიუხედავად, აჭარაში არ ათავისუფლებენ პატიმრებს. ასლან აბაშიძე რეალურად მომხდარი მოვლენებისა და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად არ ცნობს გენოციდსა და ეთნოწმენდას აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მიმართ.

ვგმობთ ასლან აბაშიძის ასეთ პოზიციას, გვჯერა, იგი ვერ მოვა საქართველოს პოლიტიკურ ხელისუფლებაში.

**საავადმყოფოს მთავარი
ექიმი ა. პოლოსიანი.**

ნინოწმინდის №1 საშუალო სკოლის კოლექტივი პროტესტს გამოთქვამს ასლან აბაშიძის ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული პოზიციის გამო, რომელიც ყოველნაირად ცდილობს დაარღვიოს მშვიდობა, საქართველოს მიწა-წყალზე რომ დამყარდა. აბაშიძისნაირი ადამიანები არ უნდა იყვნენ ხელისუფლების სათავესთან, ვინაიდან მათი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება კვლავ გამოიწვევს სისხლისღვრას და სამოქალაქო ომს.

სკოლის დირექტორი ტ. პოლოსიანი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

(პირველი გვერდიდან)

გთხოვთ, განგვიმარტოთ, თუ ეს ბრძანებულება ძალადაკარგულია, მაშინ ძალოვანი სტრუქტურები რა საბუთებით უნდა შედიოდნენ, ამ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებებში შესამოწმებლად — სამინისტროს ბრძანებით, კითხვარებით თუ მისი ნებართვით?

**ვალერიან ზურაშვილი.
თბილისი.**

— ბატონო ვალერიან, პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის შესახებ“ ძალაშია, რომლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობის კოორდინირების, პარალელური და ხშირი შემოწმებების თავიდან აცილების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოები შემოწმებებს ატარებენ მხოლოდ კანონის დარღვევების შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში. შემოწმებების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს პირდაპირი მიმართვები, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საარბიტრაჟო საქმეების, სტატისტიკის ანალიზის, საპროკურორო ზედამხედველობისა და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ანალიზის შედეგები, ან სხვა ინფორმაციები, რომლებიც შეიცავს საკმაო მონაცემებს სამართალდარღვევათა შესახებ. უნდა აიკრძალოს სამეურნეო ობიექტების კომპლექსური შემოწმებები, გარდა ორ წელიწადში ერთისა. აგრეთვე, ძირითადი შემოწმებიდან გამომდინარე, შემხვედრი შემოწმების საჭიროების შემთხვევაში და მხოლოდ ძირითადი შემოწმების დროს დასმული კონკრეტული საკითხების ფარგლებში.

საქართველოს მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში შემოწმების ჩატარების დაწყებისა და შედეგების შესახებ, როგორც წესი, უნდა შეატყობინონ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს.

**საქართველოს
კონტროლის პალატის
კონტროლის დაგეგმვისა
და კოორდინაციის
სამმართველო.**

დეპუტატობის კანდიდატი

არჩილ გოგელია: „ჩემთვის მთავარია, ვიცხოვრო მართალი კაცის ცხოვრებით და ღმერთთან ვიყო მართალი“

პორტრეტი სამ განზომილებაში

საქმე ისე წავიდა, რომ ცოტას თუ გაირჯებოდა კაცი, მიდგებ-მოდგებოდა, საჭირო ხალხს დაუკავშირდებოდა და ასე შემდეგ, რომელიმე პარტიის, ბლოკის ან გაერთიანების სიაში აუცილებლად მოხვდებოდა. არავის არაფერს ვაბრალებ, ჩემს უცოდინარობაზე ვლაპარაკობ, რომელიც აშკარად გამომჟღავნდა დეპუტატობის კანდიდატთა გამოქვეყნებული სიების კითხვისას – ყველაფრიდან ჩანდა, რაოდენობა თვისობრიობაში არ გადადიოდა.

და მე არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია, ელექტორატმა რა მანიპულაცია უნდა განახორციელოს ისეთი, ამ ნაცრისფერი მასიდან „ხალხის რჩეულის“ მაღალი ტიტული პოპულისტ მსურველებს რომ მიანიჭოს.

არადა, როგორ გვიტევენ...

ზოგიერთებზე ვლაპარაკობ, რომელიც მასაა.

არჩილ გოგელია ბედნიერი გამონაკლისია, მისი ბიოგრაფია, მოღვაწეობა მისი ხალხს ხელის გულზე უდევს, და მაინც, მოდით, ამ წინასაარჩევნო დღეებში გავიხსენოთ, ვინ არის იგი.

არჩევნებს, მოგეხსენებათ, თავისი კანონები აქვს.

– ადამიანი ამ ქვეყნად მოდის რაღაც მისიისათვის, რაღაც საქმე უნდა გააკეთოს – ან დიდი, ან მცირე. მე მგონია, რომ, რაც შემეძლო, ის გავაკეთე. ასეთ შემთხვევაში ადამიანს საყვედური არ ეთქმის, – ასე მითხრა არჩილ გოგელიამ და ამ ფორმულამ დაიტია იგი სრულად.

მამა ომში დაეღუპა. დედა ოთხ შვილს მარტო ზრდიდა და ბევრს, ძალიან ბევრს კითხულობდა. ოთხივენი ბავშვობიდანვე მიეჩვივნენ შრომას, ფიზიკურ შრომაზე ვლაპარაკობ, და წიგნის კითხვას.

არჩილი და მისი ძმა, ეს ქალაქელი ბიჭები სოფლად (ხონსა და საგარეჯოში) ისე თოხნიდნენ ყანას, ხეებს ისე რგავდნენ (ქარსაფარ ზოლს აშენებდნენ), კაი გამოცდილ მეურნესაც შეშურდებოდა. ამ გარჯის საფასურით სამოსს ყიდულობდნენ თავიანთთვის, დედას ეშველებოდნენ ამით.

შრომისმოყვარეობა, წიგნიერება და გაჭირვებაში არგატეხვა – ეს სამი ფაქტორი გახდა არჩილ გოგელიას, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების მყარი საფუძველი.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო – ის, რაც ამ პიროვნებაში განსახიერდა: მატერიალიზებული ფილოსოფიური დებულება – ინდივიდუუმის ყოფიერებისათვის ყველაზე არსებითი არის ის, რაც მასშია ჩადებული და მოქმედებს.

ეს არის ნიჭიერება, ტალანტი. მაგრამ არა ზოგადად ნიჭიერება და ტალანტი, არამედ მაინცდამაინც ნიჭი ჟურნალისტისა. ღვთითბოძებულმა ამ მუხტმა თავი არ დამალა და უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების მიუხედავად (იქნებ ამის გამოც) არჩილ გოგელია ჟურნალისტიკაში დამკვიდრდა.

მე მგონი (თქვენც დამეთანხმებით), ეროვნულმა ჟურნალისტიკამ ამით მხოლოდ მოიგო.

გაზეთი „ლელო“, საქართველოს რადიო, ისევ „ლელო“, რომელიც იმ დროს უპოპულარულესი გაზეთი იყო – ქართული ინტელექტუალური ელიტის ერთგვარი თავშესაყარი. აქ ნახავდით ნოდარ დუმბაძეს, გურამ ფანჯიკიძეს, რეზო ლაღიძეს, ბიძინა კვერნაძეს, ეროსი მანჯგალაძეს, გოგი გელოვანს და სხვათა მრავალთ.

რა თქმა უნდა, ასეთ საზოგადოებაში გრიალმა ბევრი რამ მისცა ახალგაზრდა ჟურნალისტს, უწინარესად კი – პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნება და განუვითარა თავისუფლად აზროვნების უნარი, რომლითაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოირჩეოდა.

სწორედ ამიტომ არის, რომ ქართული ჟურნალისტიკის იმდროინდელ ყამირზე მან ისეთი ხნული – გაიტანა, რომელიც დღესაც ჩანს, და დაიწყო ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯიდან, როდესაც უსახო მეთოდურ ჟურნალს „ფიზიკური აღზრდა სკოლაში“ სათავეში ჩაუყენეს.

მახსოვს, პირველი ნომრიდანვე როგორი ხელიხელსაგოგმანები გახდა უკვე სახელწოდება და ფორმატშეცვლილი კოხტა ჟურნალი „მართვე“.

შემდეგი ეტაპი „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორობა იყო. და იყო შემოქმედებითი რევოლუცია ამ ჟურნალში, მის ცხრავე დამატებაში, ანუ საქართველოს პედაგოგიურ პრესაში საერთოდ.

ასეთივე რევოლუცია „თბილისშიც“ განხორციელდა, რომელსაც გოგელია რედაქტორობდა, არჩილი.

ამ გზასვე დაადგა იმდროინდელი პრესის ფლაგმანიც – აქ რედაქტორის პირველ მოადგილედ მივიდა არჩილ გოგელია.

თქვენ გახსოვთ, რა რიგები იდგა კიოსკებთან „ლელოს“ მკითხველების? არჩილ გოგელიას რედაქტორობის დროს იყო ასე.

ამ ჩამონათვალში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ზუსტი არ არის. დალაგებას უმარტივესი გადაადგილება სჭირდება, მაგრამ ასე ჩამომეწერა და არც შევცვალე, რადგან, როგორც კარგად მოგეხსენებათ, თანამამრავლთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება.

მე ეს ჯამი მაინტერესებს.

იგი კი უდრის შემოქმედებით წარმატებას. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა ამ ნარკვევის მთავარი მოქმედი პირი, სწორედ ასე იყო.

მაგრამ რახან არითმეტიკასთან პარალელი გავავლე, ბარემ ამ ზუსტ დარგს დავუბრუნდეთ და ასეთი ჯამური მონაცემები დავასახელოთ – 78 ათასი და 400 ათასი. პირველი რიცხვი ნიშნავს „თბილისის“ ტირაჟს გოგელიას მისვლამდე, მეორე – მისი წამოსვლის წინ; „თბილისში“ ასევე მონაცემები შესაბამისად 32 და 300 ათასს უდრიდა.

ამდენი მკითხველი მხოლოდ საინტერესო გაზეთს შეიძლება ჰყოლოდა.

ასეც იყო.

მაგრამ სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო არჩილ გოგელიას ბიოგრაფიაში, არამედ საქართველოს უახლეს ისტორიაში მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „დრონს“, ახალი ტიპის პირველ დემოკრატიულ კერძო გამოცემას საქართველოში, რომელმაც არა მარტო აღიარა თავისუფალი პრესის პრინციპები, არამედ ამ პრინციპებისათვის მებრძოლი ოპოზიციის ბაირახტარი გახდა. და მაშინ, როდესაც გარკვეულ ოპოზიციურ ძალას ყოფილი რეჟიმისგან თავდასაცავად იარაღიც გააჩნდა და სხვა საშუალებებიც, არჩილ გოგელია და მისი გაზეთი, ყოველმხრივ დაუცველი, მართალი სიტყვის ანაბარა დარჩენილი, აღუდგა ნეობოლშევიზმს.

რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი რისკი, მაგრამ თავისი მოღვაწეობის მთელ გზაზე გოგელია რისკიანად დადიოდა, რადგან რისკის გაწევა მისი ცხოვრების წესია.

ყველაფერი იყო მოსალოდნელი, რადგან იმ დროს ოპოზიციას ისეთ „ყვავილებს ესროდნენ“, კაცმა არ იცოდა, რომელ მოსახვევში, ვინ ჩაუსაფრდებოდა.

მაგრამ შეშინებული აჩიკო არასოდეს მინახავს.

თქვენ?

არც თქვენ.

სპორტმა ჩამოუყალიბა მებრძოლის ხასიათი. როდესაც უფროსი ძმის რჩევით ფარიკაობის სექციაში მისული ბიჭი მწვრთნელმა „გასინჯა“, ამისგან მოფარიკავე არ გამოვაო, უთქვამს.

გაბრაზებულა აჩიკო და იმ მწვრთნელის იმ სიტყვების გასაბათილებლად ჩემპიონიც გახდა. ფარიკაობა ფილიგრანული ტექნიკის სპორტია, „რქებით ვერ მიაწევები“. ჯოჯოხეთური შრომა გჭირდება და ძალიან დიდი ნებისყოფა.

და ნიჭი, ის, რომელზეც წერილის დასაწყისში ვთქვი...

მართალი კაცია არჩილ გოგელია.

როდესაც ასეთივე სიმართლე ვერ დაინახა ხელისუფლებაში მისული ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობაში (არადა, მის ლიდერებთან ჭაბუკობიდან იყო დაკავშირებული), მიატოვა საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის მაღალი თანამდებობა და ოპოზიციაში გადავიდა იმ სიმართლისთვის საბრძოლველად.

გაიმარჯვა, აკი მოგახსენეთ.

აი, ეს – დაწყებული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება არჩილ გოგელიას – პიროვნებისა და მოღვაწის განუყოფელი თანმდევია.

იქნებ გაეთვალისწინებინათ სწორედ მისი ეს თვისება თუ მახასიათებელი ამომრჩევლებს, როდესაც საარჩევნო ბიულეტენებს აიღებენ ხელში: განა საეჭვოა, რომ ქუდბედიანი კაცი სჯობია მრავალგზის ხელმოცარულს?

თუ ვინმეს კარგი საქმე გაუკეთებია ჟურნალისტებისათვის, არჩილ გოგელია იყო – ინფორმაციის მინისტრად მუშაობისას, რედაქციაში თუ ტელერადიოკომიტეტში (ახლანდელ კორპორაციაში). თავისუფალი პრესის დაბადების სათავეებთან იმ პერიოდში სწორედ არჩილ გოგელია იდგა.

ესეც გასათვალისწინებლად ამომრჩეველთათვის.

ტელევიზია და რადიო არჩილ გოგელიამ მაშინ ჩაიბარა, როდესაც სახელწოდების გარდა, ამ, ერთ დროს უმძლავრესი საინფორმაციო საშუალებიდან, პრაქტიკულად არაფერი იყო დარჩენილი: დარბეული სტუდიები, მოპარული აპარატურა, გაძარცული ტელეცენტრი... უსახსრობა, უსინათლობა, სიცივე.

მაგრამ ერთი დღითაც არ შეჩერებულა მაუწყებლობა.

თანდათან, ურთულეს სიტუაციაში, დაიძლია ტექნიკური და შემოქმედებითი ვაკუუმი და ნორმალურ კონდიციას მიაღწია.

რაც მთავარია, ტელევიზიას და რადიოს არჩილ გოგელიას ხელში არასოდეს უღალატია ქართული სახელმწიფოებრივი მშენებლობის, დემოკრატიული პრესის პრინციპებისათვის, არ გამხდარა კრიმინალური, გაყიდული ტელევიზია, რისი მაგალითებიც ჩვენთანაც და გარშემო ქვეყნებშიც საკმარისზე მეტია.

თუმცა იყო შემოტევაც, ზემოქმედებაც, იარაღის ტრიალიც.

ეგებ, ვცდები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ როგორც სამოქალაქო ომში, ასევე, აფხაზეთის ტრაგედიის დროს ცეცხლის ხაზი ტელეეკრანზე გადიოდა. და გაზეთების ფურცლებზეც.

ეს ომიც (ინფორმაციულ ომად წოდებული შემდეგ) მოსაგები შეექმნა.

ბოლოს კვლავ „დრონი“, რომლის ტირაჟი რედაქტორად არჩილ გოგელიას დაბრუნებიდან სულ ორიოდ კვირაში რამდენიმე ათასით გაიზარდა.

ასეთია (მიახლოებით ასეთი) ის შტრიხები არჩილ გოგელიას პორტრეტისათვის, რომელიც ერთი განზომილებიდან – საზოგადოებრივი აზრიდან იხატება.

ახლა მეორე განზომილება – პირადად მისი პოზიცია.

ვიწყებთ მეორე განზომილებას და თავიდანვე ვუპირისპირდებით ერთმანეთს, ამ სტრიქონების ავტორი და მისი წერილის გმირი.

მე ვცდილობდი (თქვენ წაიკითხეთ) დადებითი რაკურსით მისი მოღვაწეობის წარმოჩენას, ის კი პირდაპირ მიცხადებს (ინტერვიუ მას თვითმფრინავში ჩამოვართვი, პრეზიდენტ შევარდნაძის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ თბილისში რომ ვბრუნდებოდით, მაშინ), რომ თავის საქმიანობით კმაყოფილი არ არის.

– ჩემი ნაკეთები საქმე არასოდეს მომწონებია. ადამიანი ღმერთმა საფიქრებლად გააჩინა, საფიქრალად არა ქამიდან ქამამდე, არამედ ყოველწამიერ. კაცს იმის უნარი უნდა ჰქონდეს, თავის გაკეთებულ საქმეს კრიტიკულად შეხედოს. ყოველთვის გარეშეს თვალით ვუყურებ ჩემს გაკეთებულ საქმეს და ვასკვნი, რომ მოსაწონი ბევრი არაფერი არის.

ტელევიზიაში, მაგალითად, ბევრი რამ არ გაკეთდა, რაც ჩაფიქრებული მქონდა. მიზეზები არის, მაგრამ ჩვენ შედეგებზე ვსაუბრობთ.

კი ვსაუბრობთ, მაგრამ გამიცუდა ამ კაცმა ყველაფერი ზემოთ ნათქვამი და ამაშიც მთელი არჩილ გოგელიაა – ამბიციის, ყალბი თავმდაბლობის, პოზის გარეშე, კაცი, რომელიც ყოველთვის ზეამოცანისაკენ ილტვის, ან სხვას უთმობს საამისოდ გზას.

ტელეკორპორაციიდან მისი წამოსვლაც ამის დადასტურებაა, მან, როგორც ხელმძღვანელმა, ჰქმნა საქმე თვისი („ჩემი საკეთებელი დავამთავრე“) და ახალ თაობას მისცა ასპარეზი, სიახლეთათვის მომზადებულ ნიადაგზე ტელევიზია, მართლაც, ახალ სტადიაში შევიდა.

– დავუბრუნდი ჩემს გაზეთს „დრონს“. ახლა უფრო მეტი დრო მაქვს წერისთვის. რა თქმა უნდა, ჩემი ნაწერებით არასოდეს მოხიბლული არა ვარ. ვაკეთებ იმას, რისი გაკეთებაც ჩემი ნიჭის ფარგლებში შემიძლია.

– ახლა ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში აპირებთ წასვლას – დეპუტატობის კანდიდატი ხართ. უღალატეთ პირველ სიყვარულს?

– არა. ჟურნალისტი პოლიტიკაში ჩართული ფიგურაა. მდიდარ ინფორმაციას იღებს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროდან, ამ ინფორმაციას აანალიზებს. ინფორმაციის ფლობა და ანალიზის უნარი – სხვა რა არის პოლიტიკა? პოლიტიკა არის რეალობის დანახვის შესაძლებლობა და არა მითოლოგიური მირაჟებით ცხოვრება, ოცნებებით ტკბობა.

თქვენ მეტყვით, რომ ჟურნალისტიკა არ ემთხვევა პოლიტიკას?

– არ გეტყვით.

– მაშინ ჩვენ ერთ პოზიციაზე ვდგავართ. ჟურნალისტიც და პოლიტიკოსიც, ორივენი რეალისტები უნდა იყვნენ. რეალურია მათი მოღვაწეობის ამოცანაც – უკეთესობისკენ ცხოვრების შეცვლა. ოღონდ ერთი ამისთვის კალმით იბრძვის, მეორე ქმნის საკანონმდებლო ბაზას, პირობებს საზოგადოების ამ მიმართულებით მოძრაობისათვის.

– ჟურნალისტიკა რისკია, რისკია პოლიტიკაც. თქვენ ერთიდან მეორეში მიდიხართ, რისკავთ?

– რა თქმა უნდა. ამის გაკეთება უფრო დიდი რისკია, ვიდრე იმ „რისკთა ჯამი“, რომელიც ორივე პროფესიას ახასიათებს. რადგან ამ შემთხვევაში ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ არა შენს დამსახურებას, განვლილ გზას, არამედ იმ სარგებელს, რომელიც შენგან შეიძლება ჰქონდეთ. ეს ერთი.

მეორე: ჩემი ბიოგრაფიის მქონე კაცს არ შეიძლება ბევრი მტერი არ ჰყავდეს. ზოგი ფიქრობს, ეს კაცი სულ თანამდებობებზე იყო და მე მასზე ნაკლები რითა ვარო, ზოგს კარგად გაკეთებული საქმისა შურს. ღონდლო კაცს არა ჰყავს მტერი. არც მოყვარე.

მე იმ უბანში გავიზარდე – ვერაზე, სადაც ავსა და კარგს არჩევენ, სადაც გაჭირვების ლუკმა-პური გაუყვიათ და ლხინიც ერთად გადაუხდიათ.

ხალხს ახლა ძალიან უჭირს. მაგრამ ამის გამო, საღად განსჯის უნარი არ დაუკარგავს. კარგად იციან, ვერელებმაც, მთაწმინდელებმაც, თბილისელებმაც, და, საერთოდ, ჩვენმა მოსახლეობამ, რომ ის, ვინც არჩევნების წინ ბევრს ჰპირდება, არაფერს გაუკეთებს, ისინი თავიანთი ცხოვრების გამოცდილებას უფრო ენდობიან, ვიდრე ძალადმაცხონეთა პოპულისტურ ლოზუნგებს. მათ კონკრეტული საკითხების გადაჭრაში დახმარება უფრო სჭირდებათ, ვიდრე ბროლის კოშკების აგების პერსპექტივა. მე, მაგალითად, ჩემს საარჩევნო პროგრამაში სწორედ ასეთი აქცენტები მაქვს გაკეთებული. ერთ რამეს დავიკვეხნი: არ არსებობს ადამიანი, რომელსაც გაჭირვება ჰქონია, მოსულა ჩემთან და არ დავხმარებივარ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში. პირიქით კი – ლეგიონია.

თანადგომის ეს გრძნობა უბანმა დამანათლა – კაცთმოყვარეობა, მხარის მიცემა, ერთად ყოფნა. მეც და ჩემი თაობაც ამ პრინციპების ერთგულებით აღგვზარდა ოჯახმა, უბანმა, ქალაქმა.

– სპორტმა რაღა დაგანათლათ?

– უწინარეს ყოვლისა, მოწინააღმდეგის საღად შეფასების უნარი და მისი პატივისცემა. სწორედ ასეთი დამოკიდებულება მოწინააღმდეგისადმი ერთ-ერთი შემადგენელი იყო გამარჯვების. დეპუტატების იმ კანდიდატებს, ვინც ჩემთან ერთად იყრიან კენჭს, სწორედ ამ პოზიციიდან ვუდგები, როგორც მოღვაწე ადამიანებს. მაგრამ ჩემდამიც ასეთსავე დამოკიდებულებას მოვითხოვ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ ხურდავდება ზოგიერთი მათგანი ლანძღვისა და ჭორის დონემდე. ამით, მე მგონი, ისინი ხალხის თვალში მხოლოდ აგებენ.

– გეთანხმებით. ბევრი დღეს გახდა გაბედული, მატროსოვივით ამბრაზურას გადაფარების იმიტირებას ცდილობს მაშინ, როდესაც იციან – იქიდან არავინ ესვრის. ამ პოზიციიდან უტევენ ხელისუფლებას, პრეზიდენტს. მე მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება პრეზიდენტისადმი.

– ჩვენი ქვეყანა ადგას იმ გზას, რომელიც ყველა ნორმალურმა ქვეყანამ გაიარა. წიგნში „თეთრი სახლი და პრესა“ მკითხველი იპოვნის პარალელებს ამის დამადასტურებელს, თუნდაც, აშშ პრეზიდენტებისადმი დამოკიდებულების საკითხში. მერე და მერე იქ ყველაფერი დაიხვეწა, ასე იქნება ჩვენთანაც.

ჩვენი პრეზიდენტი დიდად მომთმენია. მან კარგად იცის ისტორია, ის, თუ რა დღეში აგდებდნენ ამერიკის მამებს, თვით ვაშინგტონსა და ჯეფერსონს. მაგრამ, ამასთან, ადამიანს არ შეიძლება მოსწონდეს დაუმსახურებელი, არაობიექტური, ხშირად ვილაცის მიერ ინსპირირებული თავდასხმები.

პრეზიდენტი ქვეყნის სახეა. მაშინ, როდესაც მსოფლიო მას პატივს სცემს, ყოვლად დაუშვებელია, ჟურნალისტებმა – პრესაში თუ ტელეეკრანზე, თავს უფლება მივცეთ მისი ლანძღვის, ან სხვას ვალანძღვინოთ. ამას შესანიშნავად იყენებს ჩვენი მტერი. იცით, რა კუთხით? ნახეთ რამხელა პრეზიდენტი ჰყავთ და მასაც ვერ ეგუებიან. ეს რა ხალხიაო. ასე გვიტეხენ სახელს. ინფორმაციულ ომში ასეთი სიტუაცია, რა თქმა უნდა, წამგებიანია.

ეს თითქოს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. მაგრამ რამდენიმე შინნაზარდი პოლიტიკოსი ვიცი, თავისას რომ არ იშლის და არღანივით ერთსა და იმავეს ატრიალებს.

– მოდით, დავაკონკრეტოთ. ვიყენებ ჩემს უფლებას, როგორც ამომრჩეველი, რომელიც თქვენ გაძლევთ ხმას: რა დამოკიდებულება გაქვთ იმ უარყოფითი ფლუიდებისადმი (ძალიან ზოგადად ვამბობ), რომლებიც ქვეყნის სამხრეთიდან, აჭარის ხელმძღვანელობიდან მოდის?

– მე არ შეიძლება არ მეკავოს ის პოზიცია, რომელზეც ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი უნდა იდგეს. მიმაჩნია, რომ პოლიტიკა არ არის ბინძური თამაში, იგი ასეთი ჰგონიათ იმიტომ, რომ დაუნდობელია – შეიძლება ახლობელსაც კი ატკინო გული, როდესაც ეს სახელმწიფოს დიდ საქმეს სჭირდება.

მაგრამ, როდესაც ხელოვნურად აღვივებენ კონფრონტაციას, მიმაჩნია, რომ დაღუპვისაკენ უბიძგებენ საქართველოს. მიბრუნება იქითკენ, საიდანაც გამოვედით, წარსულში დაბრუნება, იმპერიას დამორჩილება, რისკენაც მოგვიწოდებენ – ეს არის ჩვენი დაღუპვა. როგორ შემიძლია გულგრილი ვიყო იმ ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებების ბინძური ნიაღვრის მიმართ, რომლებიც ბათუმიდან მოდის. მაოცებს, რა საერთო მონახეს ბათუმურ ალიანსში გაერთიანებულმა, აბსოლუტურად განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე განსხვავებულმა ადამიანებმა, გარდა იმისა, რომ ვილაცა არ გიყვარს, ვილაცას გინდა ებრძოლო?

მაგრამ ეს ხომ სერიოზული პოლიტიკა არ არის, ეს ხომ ფეოდალური, გავლენის სფეროების და საკუთრებისთვის შუასაუკუნეობრივი ბრძოლაა!

სად არის სამშობლოს ერთიანობის უპირველესი გრძნობა?

ყველა გაუგებრობის მოხსნა შეიძლება მოლაპარაკების გზით. მაგრამ, როდესაც კატეგორიულად უარყოფენ კომპრომისების მიღწევის პოლიტიკას, ეჭვი მეპარება, რომ სხვის დავალებას ასრულებენ. ამას ჰგავს. და გული მტკივა ამიტომ. ვერც ერთ ქართველს სამშობლოს ღალატს ვერ დავაბრალებ, მაგრამ, როდესაც შენი მოქმედება ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს, კი უნდა დაფიქრდე და შეჩერდე დროზე.

ამაზე უნდა ფიქრობდეს ყველა – ხელისუფლების წარმომადგენელიც და ოპოზიციონერიც.

დაპირისპირება ბათუმსა და ცენტრს შორის მხოლოდ ჩვენი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ხოლო ბათუმური ალიანსის ზოგიერთი წარმომადგენლის გამონათქვამები ძალიან ხშირად ჰგავს რუსეთის პრესაში გამოქვეყნებულ მიგრანიანებისა და ზატულინების გამონათქვამებს.

– ბატონო არჩილ, მე ვიცი, რომ თქვენთვის გულის ტკენა ადვილია, მიუხედავად გარეგნული შეუღწევადობისა. დეპუტატს (პრაქტიკამ დაგვანახა) ბევრი შეუტევს, ოპოზიციაც, პრესაც... მზად ხართ ასეთი პერსპექტივისთვის?

– უნდა გითხრათ, რომ ბევრი უსამართლო წერილიც დაიბეჭდა ჩემზე და უსაფუძვლო საყვედურებიც მივიღე ჩემი კოლეგებისგან. რა თქმა უნდა, ეს გულსა მტკენს. მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ეს ჩვეულებრივი ამბავია: როდესაც თანამდებობაზე ხარ, სახელმწიფო საქმეში, იმასაც უნდა შეეგუო, რომ ჭორსაც გააერცელებენ შენზე და ისეთ რაღაცას მოგიგონებენ, თმები ყალყზე დაგიდგება. ამას უნდა შეეგუო. მაგრამ კიდეც უნდა უპასუხო იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სერიოზულია. არასერიოზულ პუბლიკაციებსა და გამოხდომებს მე ყურადღებას არ ვაქცევ.

თქვენ როგორ გგონიათ, აქამდე უბრძოლველად მოვედი? მაგრამ ჩემს თავს მაინც სიყვარულის ჟურნალისტებს მივაკუთვნებ – დადებითი მასალების წერა ჩემს სულთან უფრო ახლოსაა. ჩემთვის მთავარია, ვიცხოვრო მართალი კაცის ცხოვრებით და ღმერთთან ვიყო მართალი.

* * *

ესეც მეორე განზომილება.

მესამე.

მესამეს ამომრჩეველი იტყვის 31 ოქტომბერს, როდესაც საარჩევნო ურნასთან დადგება.

უზარმაზარი ტვირთით მიდის არჩილ გოგელია საქართველოს პარლამენტში იმ თაობათა წარმომადგენლად, ვისთანაც უცხოვრია, იმ ამქრის წარმომადგენლად, ვისთანაც ულევწია არაერთი ათეული წელიწადი – ჟურნალისტების წარმომადგენლად მიდის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

და ჩვენც, ჟურნალისტებს იმედი გვაქვს, რომ გვეყოლება იქ ჩვენი პროფესიული ინტერესების ერთგული ქომაგი, ჩვენი პიროვნული ინტერესების შეუვალი დამცველი – დეპუტატი არჩილ გოგელია.

არმაზ სანებლიძე.

განსჯა

ფიქრები დედაეკლესიაზე

ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ტახტზე აღსაყრდა საქართველოს ახლანდელი კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ყოველ ქართველს სულში ახალი სიცოცხლის ნაპერწკალი და გადარჩენის იმედი ჩაესახა. ეს სიხარული არ იყო მხოლოდ სიტუაციებით ნაკარნახევი მოვლენა. ამ ფაქტის ახსნა შეიძლება იმით, რომ ქართველი კაცისათვის მართლმადიდებლობა, გარდა რელიგიური მრწამსისა, წარმოადგენს ეროვნული იდეოლოგიის საფუძველს, რომელიც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა ჩვენს მსოფლმხედველობას, ზნეობრივ ღირებულებებს და ცხოვრების წესს.

ილია მეორის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსაყდრების შემდგომ, ეკლესიას დაუბრუნდა ქართული საზოგადოება, მის გვერდით აღმოჩნდნენ ნიჭიერი, პატრიოტულად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები, ქართული ეკლესია გაბრწყინდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თითქოს იწყებოდა საქართველოს ეკლესიის აღზევება, რასაც ხელისუფლების თანადგომაც სჭირდებოდა, მაგრამ ეს თანადგომა ჯერჯერობით ვერ არის ქმედითი. საქართველოს პარლამენტმა ქართულ ეკლესიას ვერ მოუძებნა სათანადო ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენში ისეთმა რელიგიურმა დენომინაციებმა, რომლებიც ბოლო ხანს გამრავლდა და რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ ეროვნულ აზროვნებასთან, კულტურასა და ცხოვრების წესთან, მოახერხა თავისი თავის დამკვიდრება იურიდიულ პირად. სამწუხაროდ, არავის არ გახსენებია, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იურიდიული პირი არ არის. არც კონსტიტუციით და არც მისი ქვემდებარე აქტებით განსაზღვრული არ არის ქართული ეკლესიის მოღვაწეობის სფერო და მისი უფლება-მოვალეობანი ქართველი ერის ცხოვრებაში და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ასე გვესაჭიროება მსოფლიო ცივილიზაციაში ინტეგრაციისათვის ჩვენი კულტურული ღირებულებების წარმოჩენა.

იმის გამო, რომ ყველაფერი ეს ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია, ვალდებულად ვთვლი თავს, ჩემი გულისტკივილი და ფიქრები გავუმხილო ქართულ საზოგადოებას. ვფიქრობ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია არ არის ასეთი უყურადღებობის ღირსი და მისი პოტენციალის გამოყენებით შესაძლოა ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება ერისა და ქვეყნის ძლიერებისათვის.

ამიტომ მსურს, ქართულ საზოგადოებას და მომავალ პარლამენტს შევთავაზო ის პუნქტები, რომლებიც აუცილებლად მიმაჩნია ეკლესიის ნორმალური მოღვაწეობისთვის, და უთუოდ უნდა შევიდეს შესაბამის კანონში:

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის საქართველოს მოქალაქეთა დედაეკლესია, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფოს კულტურულ და ზნეობრივ სახეს.

2. კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სუვერენული და დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია და გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

3. საქართველოს პარლამენტმა უნდა განსაზღვროს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის ტრადიციული რელიგიური აღმსარებლობის ფორმაა.

4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებს საქველმოქმედო, კულტურულ და სულიერ მოღვაწეობას და ამ პრობლემებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

5. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას აწესრიგებს ლატერანული ხელშეკრულება.

6. დედაეკლესიისგან განსხვავებით, სხვა რელიგიური დენომინაციების ურთიერთობას სახელმწიფოსთან განსაზღვრავს სათანადო კანონი.

7. პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. მცხეთას უნდა მიენიჭოს საქართველოს სულიერი და კულტურული დედაქალაქის სტატუსი.

ლილი არდაზიშვილი,
საქართველოს ჰუმანისტური პარტიის პრესმდივანი.

გვწერენ

მთავარი მაინც საქმეა

ჩვენ, დიდუბის რაიონის დიღმის მასივის მე-3 კვარტალის 38-ე და 39-ე კორპუსების მაცხოვრებლები (200 ოჯახი) მადლობელი ვართ იმ გულისხმიერებისათვის, რომელიც ახლანდელი პარლამენტის წევრმა და დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი ბარამიძემ გამოიჩინა ჩვენი საცხოვრებელი სახლებისათვის სასმელი წყლის დაზიანებული მილების აღდგენის საქმეში.

იმედია, იგი ბოლომდე მიიყვანს იმ დანაპირებსაც, რომელიც ეხება კორპუსებს შორის არსებული, უკვე საკმაოდ დაზიანებული მონაკვეთის მოასფალტებას.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პარლამენტში მისი დეპუტატად ხელახლა არჩევის შემთხვევაში (რაშიც ეჭვი არ გვეპარება), კვლავ ჩვეული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდება ხალხის თხოვნას, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებისა, რომელთა თანადგომა და მხარდაჭერა თავადაც სჭირდება.

მაცხოვრებელთა სახელით:
გია თენიეშვილი,
თამაზ ზაალიშვილი.

ახალი სახეები სმკ სიაში

ვიდრე ცოცხალი ხარ, სიკვდილი არ გაბედო

რუზგენ გოგოხია დაიბადა 1953 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში. გაიზარდა და ცხოვრობდა ქ. ოჩამჩირეში. საშუალო განათლება მიიღო იქვე, პირველ ქართულ სკოლაში. დაამთავრა ვორონეჟის ოლქის ქალაქ ბუტურლინოვსკის ტექნოლოგიური ტექნიკუმი. ამჟამად სწავლობს ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის II კურსზე. ომამდე იყო ოჩამჩირის მცირე საწარმო „დალიძგას" დირექტორი. ომის დროს მეთაურობდა მე-2 საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის 244-ე ბატალიონს. მაიორია. 1994 წლის 23 მაისიდან 1998 წლის 18 ივლისამდე იყო აფხაზ სეპარატისტთა ტყვეობაში. 1995 წლის 5 დეკემბერს მიუსაჯეს დახვრეტა. სიკვდილისგან იხსნა საქართველოს ხელისუფლებამ დიდი მცდელობის შედეგად.

ჰყავს მეუღლე დენიზა მონია, სამი ქალიშვილი — ირმა, ნანა და ინეზა და სამი შვილიშვილი — ნინო, ნიკა და ვაქიკა.

უპარტიოა. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრის მოქალაქეთა კავშირის სიით.

გაზეთის წინა ნომერში რუზგენის თავგადასავლის თხრობა იქ შევწყვიტეთ, სოხუმის უშიშროების სამინისტროს საპატიმროში 7 თვე ჯდომის შემდეგ გუდაუთაში მილიციის წინასწარი პატიმრობის საკანში რომ გადაიყვანეს.

გუდაუთა, მოგეხსენებათ, აფხაზური სეპარატიზმის ციტადელია.

იქ ყველაზე ველურად არის ამოწვერილი ქართველთმოძულეობა.

და აი, ომის გმირი, ხელოვანი მებრძოლი მგლების ხაროში აღმოჩნდა.

სოხუმში, უშიშროების სამინისტროს საკანში, ასე თუ ისე, თუნდაც, ფიზიკური ხელყოფისგან მაინც იყო დაცული, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ გამუდმებული შიმშილისგან სული უწუხდა.

გუდაუთაში კი აღარაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

6 თვე სინათლე არ უნახავს. საპირფარეშოს გვერდით მდებარე საკანში მჯდომმა მუდმივი აუტანელი სუნისგან ყნოსვის უნარი დაკარგა. ერთხელ აფხაზი პატიმრები საკანში შეუვარდნენ და კინაღამ ცოცხლად დაწვეს.

მაგრამ ციხეს, გუდაუთაში იქნება ის თუ სხვაგან, როგორც ჩანს, მაინც აქვს თავისი კანონები, რომლებიც ომის კანონებსაც არბილებს და ერთა შორის დაპირისპირების სიმწვავესაც.

ერთ დღეს გამონათება მოხდა წყვდიადში. ეს იყო შავი სამყაროს ავტორიტეტის რადიკ ცვეიბას („აფიორას") შემოსვლა საპატიმროში (სხვათა შორის, იგი იმის გამო იჯდა, რომ ომში მონაწილეობა არ მიუღია). მან სამართლიანად განსაჯა: იყო ომი, იბრძოდნენ ქართველები, იბრძოდნენ აფხაზები. ტყვეს ისე უნდა მოექცეთ, როგორც ადამიანობა მოითხოვსო.

მაშინ იყო, წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, პირველად რომ იბანავა და წვერი გაიპარსა რუზგენმა.

შეიცვალა მისდამი აფხაზი ეროვნების პატიმრების დამოკიდებულება.

მერე სხვა დამცველიც გამოუჩნდა — სიკვდილმისჯილი ედუარდ სკიბა, კაცი, რომელიც ქართველთა წინააღმდეგ კი იბრძოდა (სხვათა შორის, გალიდან ტყვარჩელში გადასახლებული ქართველის ოთარ გოგიას ხელმძღვანელობით), მაგრამ მერე ნანობდა ომში მონაწილეობას.

1995 წლის 14 აგვისტოს, რუზგენის დაბადების დღეს, პატიმრებმა იზოლატორის უფროსს ანატოლი ბოჯგუას სთხოვეს, ხვალ და ზეგ როგორ წარიმართება ამ კაცის ბედი, მხოლოდ ღმერთმა იცის, არაყი მოგვიტანე, დაბადების დღე დავულოცოთო.

რა გგონიათ, ბოჯგუამ არაყიც მოიტანა და დასაყოლებელიც!

ერთი სიტყვით, ასეთი პარადოქსებიც და მოულოდნელობებიც ხდებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 291.

1995 წლის 25 აგვისტოს ისევ სოხუმში დააბრუნეს; ისევ ენგელსის ქუჩაზე, ოღონდ ამჯერად — შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში.

იზოლატორის უფროსს შოთა ჯოპუას ძალზე გაუკვირდა სუფთად ჩაცმულ-გაპარსული ქართველი პატიმრის დანახვა, შენ რა, არ ომობდიო? მერე დაუმატა, თუ შეძლებ აფხაზებთან ერთად საკანში ჯდომასო.

— მე ბატალიონის მეთაური ვიყავი, პატიოსნად ვიბრძოდი. სამხედრო დანაშაული არ ჩამიდენია. ამიტომ, არაფერი არ მეშინია-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც არავის უკადრებია უკადრისი... ეგ არის, ერთი პროვოკაცია მომიწყო თვითონ გამომძიებამ.

ოჩამჩირელი იჯდა იქ ერთი, ოთარ აჩბა, ძველი ნაცნობი, ჩემი აფხაზი დეიდაშვილის თანაკლასელი. დაჭერილი ჰყავდათ დროებით — ბუგეს, თბილისში რომ ყოფილა ჩასული სიმამრის დასაფლავებაზე. დიდი ამბით მომიკითხა, საჭმელიც შემომიგზავნა. მესამე დღეს კი კინაღამ თვალი წამომთხარა გალესილი კოვზის ტარით, გისოსებთან მივარდა და მთელი იზოლატორის გასაგონად აყვირდა: თქვენ არ იცით, აქ ვინ ზის, ეს ის რუზგენ გოგოხიაა, აფხაზებს რომ ხოცავდა და სახლებს უწვავდა. ბიძაშვილი გამიუპატიურა. ჩაკალით ამის დედაცო...

კოხტავა იჯდა ჩემთან, ქართველი კაცი, რუზგენ თუ მართალი ხარ ამ ამბებში, ახლა შენ ავარდი გისოსებზე და იყვირე, რომ ტყუის, თორემ გლახად არის საქმე, მართლა ჩაგკლავენო, მითხრა. ასეც მოვიქეცი. დამიჯერეს. მართალი ვიყავი და იმიტომ. მერე გავიგე, გადაბირებული ჰყავდათ თურმე აჩბა.

სასამართლოსთვის მზადება დაიწყეს. სისხლის სამართლის 9 მუხლით წამიყენეს ბრალდებები: მკვლელობა, სამშობლოს ღალატი, დივერსია, მშვიდობიანი მოსახლეობის ხელყოფა, ერთამორის შუღლის გაღვივება და ასე შემდეგ. მერე თანდათან მიხსნიდა ბრალდებებს გამომძიებელი ოგანიანი. სომეხი იყო, 31 წელი უკრაინაში ჰქონდა ნამუშევარი.

ოთარ აჩბას ბიძაშვილის „გაუპატიურებას" რაც შეეხება, ასე იყო ის საქმე: ტყვარჩელელი ნონა ანჩაბაძე ღამის ორ საათზე ავტომატით ხელში ავართვი მძარცველებს და მოძალადეებს. გოგონას საშინელება ემუქრებოდა. ჩემთან წავიყვანე და ჩემი ქალიშვილების გვერდით დავაწვინე სახლში. მესამე დღეს კი მშობლებს დავუბრუნე. როცა „გაუპატიურების საქმე" მომეხსნა, მერე ფულის გამოძალვის მიზნით იმ გოგონას გატაცების საქმის მოკერვა დაიწყეს. ბოლოს ესეც მომეხსნა, ისევე, როგორც ჟორა კაზამბას ბრალდება — ჩემთვის სახლი უნდოდა წაერთმიაო, იური ჯანაშიასი — „კამაზს" მართმევდაო, სვეტა ბუენიასი — 1993 წლის 16 სექტემბერს ადგილობრივი ტელევიზიით ქართველებს აფხაზების ამოწყვეტა მოუწოდა, ღეიდაჩემის ოჯახით დავიწყოთო...

მალევე გამოიკვეთა ბრალდებათა უსაფუძვლობა.

კაზამბას მთელი სახლისხელა მარტო ერთი ოთახი მქონდა, იმისთანას მეორეს კიდევ ვაშენებდი და საიმისო რა მჭირდა, ამ საცოდავისთვის წამერთმიაო.

იური ჯანაშიამ ბოლოს, „კამაზის" წართმევისას, რუზგენი რომ არ გამომქომაგებოდა, მომკლავდნენო.

ისიც გაირკვა, აფხაზების ამოწყვეტა კი არა, ახალდაბაში რომ ქართველებს სპობდნენ, მათში ოჩამჩირელი აფხაზების გაცლის წინადადება წამოაყენა ტელევიზიით გამოსვლისას.

დაპირისპირებისას ოთხი ძმა ფაჩულიას დედამ მკერდზე აკოცა რუზგენს, ამ კაცზე ცუდი არაფერი გამიგიაო...

გამოძიების დროს ნური ბოლქვაძის ქალიშვილმა რომ ტანსაცმელი შემოაფხრიწა რუზგენს, შენ დამიხვრიტე მამაო, მერე კი წერილი მისწერა გამომძიებას, რუზგენი იმ დროს ოჩამჩირეში რომ არ ყოფილიყო წასული, მამაჩემი დღესაც ცოცხალი იქნებოდაო.

ერთი სიტყვით, ვერაფერი ხელჩასაჭიდი ვერ მიაწერეს...

სასამართლო თვენახევარი მიმდინარეობდა. მაგრამ პროცესს ბრალდებული რუზგენ გოგოხია სულ ოთხჯერ დაასწრეს.

ეს სპექტაკლი იყო, ოღონდ ცუდად დადგმული.

პროკურორი ნაჩაჩ-ოღლი ტყავიდან ძვრებოდა, რათა არარსებული დანაშაულობები დაემტკიცებინა. ადვოკატი ქალი ბერულავა ძალისძალით ცდილობდა, ვითომ დაცვის სურათი შეექმნა.

ბრალდებული მარტოდმარტო იგერიებდა დარტყმებს.

ბერულავა ჭკუას არიგებდა: შენი ქართველობა არ ახსენო, მეგრელი ვარ-თქო, თქვი, საქართველომ დაიწყო ომი, შევარდნაძეა ყველაფერში დამნაშავე-თქო...

1995 წლის 5 დეკემბერი განაჩენის დღე იყო.

ადვოკატის მიერ შემზადებულ პატიმარს საავარაუდო კითხვებზე მათთვის სასურველი პასუხები უნდა გაეცა.

დარბაზში სპეციალურად სამისოდ მოწვეული ოფიცრები და ტელევიზიის მუშაკები შემოვიდნენ.

უნდა დაეფიქსირებინათ ქართველი კაცი, როგორ იგყოდა უარს ქართველობაზე, როგორ დაადანაშაულებდა თავისიანებს და წყალობად სიცოცხლეს მიიღებდა.

რუზგენ გოგოხიამ სიცოცხლე ღალატის ფასად არ იყიდა.

იდგა მარჯვენამუშტშემართული ბრალდებული და ბრალმდებლებს ბრალს სდებდა — ბოლოს მაინც კეთილი სძლევს ბოროტსო, საქართველო დაიბრუნებს დაკარგულს, ყველაფერი წარმავალია, საქართველო კი მარადიო.

რუსმა ფოტო და ტელეოპერატორებმა მოასწრეს მისი გამოსვლის გადაღება (რუზგენის დამ სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთში იხილა რუზგენის ეს ფოტო).

ეს ფარსის ავტორებისთვის საშინელი დარტყმა იყო. ჩაეშალათ, რისთვისაც მთელი ეს მრავალთვიანი სპექტაკლი წამოიწყეს.

პროკურორი ნაჩაჩ-ოღლი ხელმოღერებული გამოქანა მისკენ, მაგრამ მოსამართლე გამოერკვა და „სახელმწიფო ბრალმდებელი" შეაჩერა, ეს საბჭოს სხდომა კი არ არის, სასამართლოაო.

„სასამართლო" დარბაზი საგიჟეს დაემსგავსა.

„დახვრეტა, დახვრეტა" — ღრიალებდნენ დამსწრე ოფიცრები.

პროკურორმა ორი მუხლით — „ერთა შორის შუღლის გაღვივება" და „მშვიდობიანი მოსახლეობის ხელყოფა" — დახვრეტა მოითხოვა.

სასამართლომ, რა თქმა უნდა, დახვრეტის განაჩენი გამოიტანა...

სიმამაცეს თავისი საზღვარი აქვს.

როცა „ნაროდნაია ვოლიას" ჟელიაბოვის ჯგუფი გაასამართლეს, ერთ-ერთმა სიკვდილმისჯილმა ივან ოკლადსკიმ ამაყად განაცხადა: „მე არ გთხოვთ და ესაჭიროებ სასჯელი შემიმსუბუქოთ. პირიქით, თუ სასამართლო შემიმსუბუქებს განაჩენს, მე ამას შეურაცხყოფად მივიჩნევ".

მაგრამ საკანში მარტო დარჩენილი, როცა ღამით პერანგის საყელო ყულფად მოეჩვენა, სულით დაეცა და მზის ამოსვლას გამცემად და პროვოკატორად შეხვდა, სანაცვლოდ მას სიცოცხლე აჩუქეს.

დიახ, სიმამაცეს თავისი საზღვარი აქვს. სასწაული მოახდინოს.

გარკვეულმა გარემოებამ, მომენტმა შეიძლება სასწაული მოახდინოს.

წიწილების დასაცავად კრუხი უშიშრად შეებმება ხოლმე ქორს.

არაფრით გამორჩეული ჯარისკაცი ბრძოლის ველზე შეიძლება ტანკს შეუვარდეს ხელყუმბარების კონით.

მაგრამ მყისიერად აფეთქებულ სიმამაცესა და გააზრებულ გმირობას შორის დიდი სხვაობაა.

გმირობა შიშის შეგნებული დათრგუნვა, შიშზე ამაღლებაა.

კაცი, რომელსაც შიშის გრძნობა არა აქვს, პათოლოგიური პიროვნებაა. მაგრამ თუ შეუძლია დასძლიოს ეს ბუნებრივი გრძნობა და შეგნებულად შეაგდოს სასწორზე სიცოცხლე, გმირია.

იოთამ ზედგენიძე, რომელიც მეფის საწოლში ჩაწვა და შეთქმულებს მის ნაცვლად მოეკლევინა, გმირი იყო.

თევდორე მღვდელი, რომელმაც თათარი მცდარი გზით ატარა და ქვეყნის გადასარჩენად აეჩეხვინა, გმირი იყო.

გმირები იყვნენ მეფე დიმიტრი, ცოტნე...

სასამართლო რუზგენის ფიზიკურ მოსპობამდე მისი სულიერად მოსპობას, სიკვდილის შიშით განადგურებას ვარაუდობდა.

სასამართლო შეცდა; რუზგენ გოგოხიამ შიშს სძლია.

ბატალიონის მამაცი მეთაურისგან გმირი იშვა...

სიცოცხლე გისოსებს მიღმა დარჩა.

იქ სარდაფში მეჟუჟულ საკანში დღეები წვიმის წვეთებივით ჰგავდა ერთმანეთს.

ერთფეროვნებას მხოლოდ ახლადმოყვანილი პატიმარი თუ დაარღვევდა.

იქ სხვადასხვა დროს შეხვდა სიკვდილმისჯილ იცლაევსა და 14-წელმისჯილ ტაევს — აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ვიცე-პრემიერ ვორონოვის მკვლელობის მონაწილე ჩეჩნებს; ალიკ პაპასკირს, სისხლიან, შიზოიდ პოლკოვნიკს, რომელმაც, როგორც ამბობდნენ, აჩადარასთან, იქ, სადაც 9 აპრილის მემორიალი იყო გაშენებული, მანქანაში ტყვიამფრქვევით ჩაცხრილა ქიული მარტავა და მასთან ერთად დატყვევებულნი.

და კარის ყოველ გაღებაზე იმის მოლოდინი, რომ აღსასრული მოვიდა!

ძალიან ბევრს ფიქრობდა.

სულ ის უტრიალებდა თავში, ოდესღაც რომელიღაც წიგნში ამოკითხული — „ვიდრე ცოცხალი ხარ, სიკვდილი არ გაბედო".

და კბილს კბილზე აჭერდა.

ხშირად, რაგინდ უცნაური იყოს მის მდგომარეობაში, ლექსად ფიქრობდა.

და მიჰყვებოდა სტრიქონი სტრიქონს:

დედავ ქართვლისა,
მოსთხოვე ფიცი —
ძმებმა ჩახედონ
ერთურთს თვალებში,
რომ სამუდამოდ
მოისპოს ჩვენში,
ბერბიჭაშვილთა
უღვთო თარეში.

ეს 1998 წლის 10 თებერვალს არის დაწერილი, როცა წინადღით თბილისში პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავმა სოხუმის დილეგშიც შეაღწია.

მე მტრის წინაშე
არ დავცემულვარ,
არ მომიხრია ქედი
ქართული,
უფლება გრჩება,
რომ იამაყო,
ბაბუაშენის გმირულ
წარსულით.

შვილიშვილის ნინოს სურათზე მიწერილი ეს სტროფი წითელი ჯარის წარმომადგენლის ხელით გამოაგზავნა შინ (თუმცა ადრესატამდე მას რატომღაც არ მიუღწევია).

ყველა ქართველს
გთხოვთ ტანჯული,
ნუ გეგონებით ძნელია:
სულ სინამდვილედ
აქციეთ,
რაც შოთას დაუწერია
(ქრისტეს მცნებაა იგივე,
ნურვინ აყვებით
ეჭვებსა) —
„სჯობს სახელისა
მოხვეჭა,
ყოვლისა მოსახვეჭელსა".

ეს, რა თქმა უნდა, არ არის „მაღალი პოეზია", მხოლოდ სიკვდილმისჯილის გულიდან ამოხეთქილი სტრიქონებია, მაგრამ კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ლექსი ქართველისთვის ოდენ კაზმულსიტყვაობა კი არა, ცხოვრების ნორმაა.

1998 წლის 18 ივლისამდე გაგრძელდა სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი.

იმ სისხამ დილას კი, როცა საკნიდან გაიყვანეს, მთელი მისი გონება იქითკენ იყო მიმართული, კაცურად შეხვედროდა აღსასრულს, სულით დაცემული და დაგლახებული არ ენახათ მის ჯალათებს. გულში დაემშვიდობა ოჯახს და სიცოცხლეს და მშვიდად შეუყვა კიბის საფეხურებს.

მერეც, როცა „ვილისში" ჩასვეს და ოჩამჩირის გზას გაუყენეს, მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომელ აფხაზურ სოფელთან მომკლავენო. ამ „მარჩიელობაში" გაიარეს ტამიშის, ლაბრას, ფოქვეშის, მერკულის, რეკის, ბედიის მოსახვევები...

ენგურის ხიდთან გადმოსვეს და გაღმა ნაპირისკენ უჩვენეს ხელით, იქით წადიო.

არ სჯეროდა თავს დამტყდარი უსაშველო ბედნიერება. ტაატით გაუყვა გზას. შუა ხიდზე იმ, თავისუფლების ნაპირიდან მომავალი მანქანა გაუპირისპირდა, მკვეთრად შემოგრიალდა, გაიღო კარი და ძლიერმა ხელებმა შიგნით შეიტაცა რუზგენი. ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ იმას გრძნობდა, როგორ ეხვეოდნენ შიგნით მსხდომი უცნობი კაცები. მერე მაგნიტოფონში სიმღერა გაისმა „მალე დაუბრუნდებით სოხუმში" და უკვე აქეთ იყო — ზუგდიდში...

— მოგვიანებით გავიგე რამდენი უბრძოლიათ და უშრომიათ ჩემს გამოსახსნელად ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ავთანდილ იოსელიანს, მაგათ ენაცვალოთ ჩემი თავი. ჩეჩნები ჩაურევიათ ბოლოს. ეჰ, რამდენი ვალი მაქვს ჩემი ქვეყნის, ჩემი პრეზიდენტისა. მარტო იმიტომ არა, სიკვდილს რომ გადამარჩინეს. იქ, ციხეში, ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რამ დაგვამარცხა. ღალატი ერთია, მთავარი კი ჩვენი გათიშულობა იყო. თუ არ გავერთიანდით, დავილუპებით. ეხლაც: ომი არ არის, მაგრამ მაინც გათიშულობაა. არჩევნებმა ხელახლა გაგვთიშა. თუ კაცი ვყოფილვარ, ბატონ ედუარდის გვერდით ვიდგები კლდესავით. იმიტომ, რომ მას ქვეყნის გადარჩენა უნდა, მისი კურსი მომავლის კურსია!

რუზგენ გოგოხია სიტყვის კაცია.

ალეკო ასლანიშვილი

სურათზე: რუზგენ გოგოხიას ოჯახი. დღეს ისინი სასტუმრო „აჭარის" მე-14 სართულზე ცხოვრობენ.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

პიროვნება

თენგიზ კალანდაძის კაცური სამყარო

კარგია, როცა სათქმელი გაქვს, საქმიან კაცზე, ნაღდ პიროვნებაზე პირდაპირ საქმით, ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე რომ შეგიძლია თქვა.

თენგიზ კალანდაძე სწორედ ასეთი პიროვნებაა და ჩვენც საქმით დავიწყოთ:

— „ექვსიოდე წლის წინათ დღენაკლული ტყუპი ბიჭები შეგვეძინა. ბავშვები ქუთაისის სამშობიაროს ინკუბატორში მოათავსეს. მოგეხსენებათ, ექვსი წლის წინათ რა დღეში იყო მთელი საქართველო და, ბუნებრივია, ჩვენი პატარა რაიონი აბაშაც. თენგიზ კალანდაძემ და მისი მონდომებით დაარსებულმა რაიონის აღორძინების ფონდმა ბავშვების მკურნალობის, ბოლომდე გამოჯანმრთელების თანხა უანგაროდ გაიღეს და ჩვენი ოჯახი გააბედნიერეს" — გვწერს 6 წლის რეზო და სანდრო გაბელაიების ბებია როზა ყრუაშვილი.

— „ვინც თენგიზ კალანდაძის ბიოგრაფიას და მოღვაწეობას გაეცნობა, შეუძლებელია მისდამი კეთილგანწყობილებით არ განიმსჭვალოს. იგი ყოველთვის იყო აბაშის რაიონის ღირსეული ქომაგი, მხარდამჭერი და შემწე. მის მიერ შექმნილი ქოლობნის ლითონის საბითუმო სავაჭრო ბაზის ტვირთბრუნვამ მაშინ, ათიოდე წლის წინათ, 160 მილიონი დოლარის ეკვივალენტი შეადგინა. რაიონის ბიუჯეტის 85 პროცენტი სწორედ ამ საწარმოდან ივსებოდა. შესაძლებელი გახდა რაიონის მოსახლეობისთვის სერიოზული დახმარებებისა და ქველმოქმედების გაწევა. რა თქმა უნდა, ხელფასები და პენსიები დროულად რიგდებოდა. ახლა ის სხვა საწარმოს ამოქმედებისთვის ზრუნავს. დარწმუნებული ვარ, რომ თენგიზ კალანდაძის სიტყვა და საქმე ერთი იქნება" — გვწერს აბაშელი ეკონომისტი ფრიდონ შალამბერიძე.

— „თენგიზ კალანდაძე ერთ დროს აღორძინებული და შემდეგ გაკოტრებული აბაშის პურის მიმღები საწარმოს მთავარი ინვესტორია. საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად მან შეადგინა ბიზნესგეგმა, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი ხარისხის სიმინდის ზეთსახდელი ხაზის დამონტაჟებას. საწარმო ყოველწლიურად გადაამუშავებს 30.000 ტონა ადგილობრივი წარმოების სიმინდის მარცვალს და მიიღებს 5 მილიონ ლიტრ ზეთს. აქვე დამონტაჟდება 50-ტონიანი წისქვილი, რომელიც უნარჩენო წარმოება გახდება, რადგანაც აქ მიღებული მეორადი ნედლეული — შროტი კომბინირებულ საკვებად გამოიყენება. ეს საწარმო, აგრეთვე გამოუშვებს ხორცისა და რძის ნაწარმს, უალკოჰოლო სასმელებსა და ლუდს. პურის მიმღები საწარმო 700-800 კაცს დაასაქმებს და პირველ ეტაპზე, თითოეულ მათგანს, 150-200 ლარს უხელფასებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს თენგიზ კალანდაძეს — ღირსეულ მეწარმეს და ბიზნესმენს" — გვწერს აბაშის პურის მიმღები საწარმოს დირექტორი რობერტ ჭანტურია.

— „თენგიზ კალანდაძის წარსულს მთელი აბაშის რაიონი იცნობს. მის ცხოვრებაში არ არსებობს მომენტი, რომელიც ჩრდილს მიაყენებდა ამ ნათელ პიროვნებას. სწორედ ამგვარი კაცის ხელში უნდა იყოს ეკონომიკურად შეჭირვებული ხალხის ბედი", — ამბობს აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე დარეჯან ელიაძე.

1992-95 წლებში თენგიზ კალანდაძე საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. ის ქვეყნის პრეზიდენტის კურსის აქტიური მხარდამჭერია თავისი მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური პოზიციით. თენგიზ კალანდაძე პროდასავლური ორიენტაციის, საბაზრო ეკონომიკის განვითარება-სრულყოფის, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების, კანონის უზენაესობის მომხრე დემოკრატია. სიკეთითა და ქველმოქმედის ნიჭით დაჯილდოებული თენგიზ კალანდაძე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეროვნული თანხმობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მალე მოხერხდეს და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო თანმიმდევრულად აღორძინდეს.

— ბატონო თენგიზ, — ვეკითხებით საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატს, ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარსა და შემწეს თენგიზ კალანდაძეს, — არჩევის შემთხვევაში, რას პირდებით მშობლიური რაიონის მცხოვრებთ?

— ჩემი მთავარი მიზანი, კონკრეტული საზრუნავი იყო და იქნება აბაშის რაიონის მოსახლეობის სოციალური, მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლება. პურის მიმღები საწარმოს შესახებ თქვენ უკვე იცით. მეორე მთავარი საქმე რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული გამოუყენებელი სიმძლავრეების ევრაზიის დერეფნისა და აბრეშუმის გზის ციკლში ჩართვა იქნება. აგრეთვე, რაიონის ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავლის 20-ჯერ (1000 ლარამდე) გაზრდა; სოფელ პირველ მაისში ეკლესიის აშენება, სხვა სოფლების ეკლესიების აღდგენა; სკოლების, სამედიცინო ობიექტების, სპორტული ნაგებობებისა და მოედნების, შიდა საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ორგანიზება; რაიონის თითოეული ოჯახისათვის ყოველწლიურად უპროცენტო 100 ლარამდე კრედიტის გამოყოფა ტექნიკის დასაქირავებლად, საწვავის და შხამქიმიკატების შესაძენად; უფასო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების დანერგვა მთელი რაიონის მასშტაბით; უფასო საშუალო განათლების უზრუნველყოფა; რაიონში დაბადებულ ყველა ახალშობილზე 50 ლარის გაცემა 2000 წლის 1 იანვრიდან; ინვალიდთა, პენსიონერთა, საერთოდ, ვეტერანთა და დევნილთა დახმარების ფონდის დაფუძნება და სხვ.

... თენგიზ კალანდაძეს საკუთარი ამბიციები არასოდეს ამოძრავებდა. ამ წერილიდანაც კარგად ჩანს, რომ ის ხალხის, რაიონის კეთილდღეობისთვის იღვწოდა, იღვწის და პარლამენტის დეპუტატობაც სწორედ ამიტომ სჭირდება. მისი ადამიანური კრედო სადა და მარტივია — **გიყვარდეს მოყვასი შენი, პატივი ეცი ენას, მამულსა და სარწმუნოებას.**

58 წლის თენგიზ კალანდაძემ მოახერხა საკუთარი „სამყარო" საქმით გაელამაზებინა, კაცურად ეცხოვრა და სულიერი, მოქალაქეობრივი პრინციპებისთვის არასდროს ეღალატა, ასე იქნება ხვალაც.

დარწმუნებული ვარ, აბაშელები კარგად ხედავენ ამას.

სპარტაკ ქოგულია.
აბაშა — თბილისი.

სიტუაცია

ლეიბორისტულ პარტიაში „გიჟმაჟობა" გრძელდება,

რასაც შედეგად შეიძლება საპარლამენტო არჩევნებში მათი დამარცხება მოჰყვეს

სულ ახლახან თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ლეიბორისტმა მანანა ნიკოლაიშვილმა ჟურნალისტებს და საზოგადოებას ამ პარტიიდან თავისი გამოსვლის შესახებ აცნობა. თითქოს თავიდანვე ყველაფერი უკვე თვალნათელი იყო, მაგრამ ნიკოლაიშვილმა და მეორე მხარემ, ანუ ლეიბორისტთა ხელმძღვანელობამ ამ ახლადწარმოშობილი დაპირისპირების საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაგრძელება გადაწყვიტეს. ინიციატივა, როგორც ჩანს, აქ უფრო ქალბატონ მანანას ეკუთვნის, რომელმაც 26 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილი პოპულისტობაში, პროვინციალიზმსა და პლაგიატობაში დაადანაშაულა. კერძოდ, მისი განცხადებით, შალვა ნათელაშვილის ერთადერთი წინასაარჩევნო „იარაღი" — ეს პედაგოგთა უფლებების ვითომდა დაცვაა. არადა, როგორც თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, ყველა ის პროგრამა, რომელიც თბილისის საკრებულომ განათლებისა თუ ჯანდაცვის სფეროში განახორციელა, სწორედ მისი დამსახურებაა.

და ახლა იგი შალვა ნათელაშვილს თავისი პროგრამებისა და წარმატებების მითვისებაში ადანაშაულებს. ლეიბორისტთა ლიდერის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში თავის დროზე პედაგოგების ინტერესების ვითომდა დაცვა, პოლიტიკური შოუ იყო და მეტი არაფერიო. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შალვა ხშირად მეუბნებოდა, შენ პოლიტიკის ანბანში ვერ ერკვევი, თორემ, აბა, რა საჭიროა ახლა მასწავლებლების ინტერესების დაცვა, აი, როცა საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდება, ამ მხრივ მერე გავაქტიურდეთო, — დასძენს მანანა ნიკოლაიშვილი. ლეიბორისტთა ლიდერის ამგვარი პოზიცია ჩემთვის მიუღებელია, ამიტომაც წამოვედი პარტიიდანო.

ისე კი, როგორც ჩანს, რაც ქართული ლეიბორიზმისა და შალვა ნათელაშვილის „სკოლა" გაიარა, მანანა ნიკოლაიშვილი პოლიტიკურ ანბანში მეტნაკლებად გაერკვა. იგი ახლა თავის ყოფილ ხელმძღვანელს მისივე მეთოდით, ანუ არჩევნების წინ უპირისპირდება. არადა, ეს ხერხი საკმაოდ მომგებიანია, მით უმეტეს, რომ ქალბატონი მანანა პედაგოგთა უფლებების დაცვის ასოციაციის ერთ-ერთი აქტიური წევრია და მასწავლებლებში გარკვეული გავლენით სარგებლობს. არადა, თუ ადგილობრივ არჩევნებს გავიხსენებთ, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ძირითადი მხარდამჭერი ძალა, სწორედ რომ, მასწავლებლები იყვნენ. ასე რომ, შალვა ნათელაშვილმა შეიძლება არც კი იცოდეს, რა „ოქროს მაღანი" დაკარგა.

თუმცა ახლა არც მანანა ნიკოლაიშვილს უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ რომელ პოლიტიკურ ძალასაც იგი მიემხრობა, მასწავლებლები სწორედ მას მისცემენ ხმას. არა, რა თქმა უნდა, ეს ასე თუნდაც იმიტომ არ მოხდება, რომ როგორც იკვეთება, პედაგოგების უფლებების დამცველთა ბირთვმა მემარცხენეებზე გული აიცრუა და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ ასოციაციის 6 აქტივისტი საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა" — თავისუფალი საქართველოსთვის" სიით პარლამენტში კენჭს იყრის. ესე იგი პედაგოგთა ხმები უკვე რამდენიმე ნაწილად დაიყოფა და იგი მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას აღარ ერგება, როგორც ეს ადგილობრივი არჩევნების დროს მოხდა.

აწ უკვე ყოფილი თანაპარტიელები მანანა ნიკოლაიშვილს ხან „მოქალაქეებთან" და ხანაც ედპ-სთან კავშირში ადანაშაულებენ. თუმცა აქ მაინცდამაინც ლოგიკა არ ჩანს, რადგან ნიკოლაიშვილი ლეიბორისტულ პარტიას... მოქალაქეთა კავშირის მიერ შექმნილ ორგანიზაციად მიიჩნევს.

თბილისის საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქციის თავმჯდომარე ვიქტორ მოსიძე მანანა ნიკოლაიშვილზე ცოტა ირონიით საუბრობს და როგორც პროფესიით ექიმი, თავისი ყოფილი თანამებრძოლის ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ შემოწმებას მოითხოვს. ჯერ იყო და ამ ქალბატონმა ყველაფერი გააკეთა, რათა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობა გვებოძებინა, ახლა კი პარლამენტში მოისურვა მოხვედრა და, ალბათ, შემდეგ იქაც რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარეობას მოგვთხოვდაო. ჩვენ იძულებული გავხდით ნიკოლაიშვილისათვის ფეხი „დაგვედგა" და წინ აღარ გავუშვით, რადგან იგი „სერიოზულ სამედიცინო ჩარევას" მოითხოვსო.

ლეიბორისტები მანანა ნიკოლაიშვილის პარტიიდან წასვლის ნამდვილ მიზეზად არა განათლების სისტემაზე ზრუნვას, არამედ საარჩევნო სიაში მის არშეყვანას მიიჩნევენ. ახლა კი იგი არათუ პარლამენტში ველარ მოხვდება, სულ მალე შეიძლება საკრებულოს წევრობაც კი დაკარგოსო. თბილისის საკრებულოს ლეიბორისტთა ფრაქციის ლიდერმა ვიქტორ მოსიძემ გაგვიმხილა, ჩვენ ამ ქალბატონს ისე „მოვუხერხებთ", რომ საკრებულოდან გავაძევოთ, მაგრამ ცოტა კი გვეშინია, — მერიის შენობის აივანზე არ გადმოვარდეს და ყვირილი არ მორთოსო.

ამ ორი დაპირისპირებული მხარიდან, რომელი გაიმარჯვებს და რომელი დამარცხდება, არავინ იცის, თუმცა ერთი კი ცხადია: 31 ოქტომბრამდე რამდენიმე დღით ადრე ლეიბორისტები ერთმანეთში არკვევენ საქმეებს და ერთმანეთის სამედიცინო შემოწმებას სთხოვენ. ამასობაში კი სხვა პარტიები „გახურებული" წინასაარჩევნო აგიტაციით არიან დაკავებული და ვინ იცის, იქნებ ის, რაც ახლა ლეიბორისტულ პარტიაში ხდება, სწორედ რომელიმე სხვა პარტიის ან ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ხერხიცაა და ალბათ, საკმაოდ მომგებიანი.

ადგილობრივი ორგანოების არჩევნების წინ ლეიბორისტები მოსახლეობას თითქმის ყველაფერს უფასოს ჰპირდებოდნენ, სოციალური პრობლემების მოგვარებას აღუთქვამდნენ. არადა, როგორც საკრებულოებში (არა მხოლოდ თბილისში) მათმა მუშაობამ აჩვენა, ისინი თანამდებობის გადანაწილებითა და ერთმანეთის „დაჭმით" იყვნენ დაკავებული. გავიხსენოთ, რა გააკეთეს თბილისის საკრებულოში, როცა ვიცე-პრემიერის თანამდებობის ხელში ჩაგდება სურდათ. გავიხსენოთ, მაია ელოშვილისა და მის მომხრეთა „ბუნტი"... არც არავის არ დაგვვიწყებია, რა ცემატყეპით გაისტუმრეს ლეიბორისტებმა თავიანთი რიგებიდან პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი ტალახაძე. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი შალვა ნათელაშვილზე ამბობდა, დიქტატორის თვისებები აქვს და უფრთხილდითო. ახლა იგივეს იმეორებს მანანა ნიკოლაიშვილიც.

ისე კი, ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ ერთი-ორი თვის წინათ წერდა, ლეიბორისტებს პარტია თავზე ემხობათო. სამწუხაროა, მაგრამ... თუმცა ვნახოთ რა მოხდება 31 ოქტომბერს. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად ლეიბორისტებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი 7-პროცენტიანი ბარიერი გადალახონ. თუ ასე არ მოხდა, იმედია, მთელი პარტია აივნებზე არ გამოდგება და კოლექტიურ მოთქმას არ დაიწყებს. სხვათა შორის, ამას წინათ ედპ-ს ლიდერმა ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ ლეიბორისტები იმ სოკოს შეადარა, რომელიც ხის ძირას ახალ ნაწვიმარზე ამოდის და მალევე ქრება.

ბექა ჭედია.

გზა გავლილი და გასავლელი

რუბრიკას უძღვება აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

პრობლემებზე წუწუნს მათი გადაჭრა სჯობს

ბევრმა იქნებ არც იცის, რომ მარნეულში წარმატებით მუშაობს ქვემო ქართლის რეგიონული, მრავალპროფილიანი ინსტიტუტი. მის რექტორს, აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ბორის მიშველაძეს ამ მადლიან შემოდგომაზე შევხვდი და ვესაუბრები მაშინ, როცა ვენახი კუმსი მტევნებით გაივსო, როცა მხვნელ-მთესველები მინდორს სულის მოთქმას არ აცლიან და მოსავლის აღებისთანავე კვლავ ხვნა-თესვას შესდგომიან, როცა მადლიანი მიწის საწყაული სავსეა ხვავითა და ბარაქით.

ბატონ ბორისს აქამდე არ ვიცნობდი და ძალიან ბევრი დამიკარგავს. ისე კი, მისი კოლეგებისგან მასზე ბევრი კარგი გამიგონია. დიახ, შორიდან ვიცნობდი და კმაყოფილი ვარ, რომ დღეს ჩვენი გზები შეიყარა...

— ბატონო ბორის, წაიკითხავდით სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ინტერვიუს „უჩვენოდ ქვეყანა ვერ აშენდება“, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს ჩამოვართვით. ინტერვიუში ძირითადად საუბარია 70 წლის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ განვლილ და გასავლელ გზებზე, საიუბილეო მზადებაზე და კიდევ იმაზე, როგორ ხვდება უნივერსიტეტი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს... ალბათ, ქვემო ქართლის რეგიონული ინსტიტუტის კედლებშიც, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, საიუბილეო განწყობილება სუფევს და ვფიქრობ, ჩვენი დღევანდელი საუბარიც აქედან უნდა დავიწყოთ. ოღონდ, ჯერ ის უნდა ვთქვათ, როგორ ხვდება თქვენი ინსტიტუტი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, აგრარული უნივერსიტეტის „შვილობილი“ „მშობლის“ 70 წლისთავს?

— ჩვენი სასწავლებელი აგრარული უნივერსიტეტის შედარებით ახლადშექმნილი ქვესტრუქტურაა, მისი განუყოფელი ნაწილია და შეძლებისდაგვარად მონაწილეობს ყველა იმ საქმიანობაში, რასაც დღეს იუბილარი აკეთებს. ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, მონაწილეობას სრული დატვირთვით ვერ მივიღებთ, მაგრამ ზოგი რამ მაინც დაგეგმილი გვაქვს და მთელ რიგ ღონისძიებებს ვითვალისწინებთ.

— უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეთქვა?

— ჩავატარებთ სამეცნიერო საბჭოს სხდომას, სტუდენტთა და თანამშრომელთა საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენციას, მოვიწვევთ სტუმრებს აზერბაიჯანიდან, მის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელთან მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს.

საზეიმო დღეებისათვის სტუდენტებსაც კარგი საჩუქარი მოვუმზადეთ. ზოგიერთი წარჩინებული სტუდენტი სასწავლებლად აგრარულ უნივერსიტეტში მივავლინეთ (დედაქალაქში რამდენიმე სემესტრის გატარება და სწავლა, ალბათ, ურიგო არ არის), სტუდენტთა გაგზავნას ვაპირებთ, აგრეთვე, აზერბაიჯანში, თურქეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

— თქვენი სასწავლებელი როდის და რა მიზნით შეიქმნა?

— ქვემო ქართლის მოსახლეობა რეგიონში აგრარული უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დამდეგიდან ითხოულობდა. ამის მიზეზი მარტივია, მოსახლეობას სურდა მათი შვილები ოჯახს არ მოწყვეტოდნენ, ადგილზე დასაქმებულიყვნენ და განათლებაც იქვე მიეღოთ. ამ თხოვნის დაკმაყოფილება ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოხერხდა.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის იანვარში მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ მარნეულში აგრარული უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის თაობაზე.

— ფილიალის თუ ინსტიტუტის?

— ჯერ ფილიალი იყო, ხოლო შემდეგ ინსტიტუტად გადაკეთდა, მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქართული ენის, სახელმწიფო ენის პროგრამა. ქვემო ქართლის ადმინისტრაციამ მიიჩნია ფილიალის, როგორც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის, ამ საქმეში ჩართვა პროგრამის ზოგი პუნქტის შესრულებისათვის, კერძოდ, უნდა მოგვემზადებინა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის დარგებში სპეციალისტ-პედაგოგები.

პარალელურად ადმინისტრაციამ დააყენა საკითხი აგრარული უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, რომ მარნეულის ფილიალის ბაზაზე დაარსებულიყო ქვემო ქართლის რეგიონული მრავალპროფილიანი ინსტიტუტი, რაც დადებითად გადაწყვიტა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ და რაზედაც თანხმობა მოგვცა, აგრეთვე, განათლების, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებმა.

ასე და ამგვარად, შეიქმნა ქვემო ქართლში და, თუ გნებავთ, საქართველოში პირველი რეგიონული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც შევიდა სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაში. იგი მზადაა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, რომელსაც მის წინაშე სახელმწიფო დააყენებს.

— ამჟამად რა და რა დარგის სპეციალისტებს ამზადებთ?

— თავიდანვე ვფიქრობდით და ახლაც მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი ფორმაციის რადიკალურმა შეცვლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, პირველ რიგში, ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი გამოავლინა, ადრე, როცა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები მუშაობდნენ, მათ მძლავრი ეკონომიკური სამსახურიც ჰქონდათ. შემდეგში, როცა კერძო საკუთრებაზე გადავედით, წვრილი მეწარმე და ფერმერი თვითონ აღმოჩნდა იმ პრობლემების პირისპირ, რომელსაც მის მაგიერად ადრე სხვები წყვეტდნენ. ესაა დაგეგმვის, ეკონომიკური გაანგარიშების, მენეჯმენტის, მარკეტინგის პრობლემები. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ უპირატესობა აგროეკონომიკური მიმართულებებისათვის მიგვენიჭებინა.

დღეისათვის ინსტიტუტს სახელმწიფო შეკვეთა (ცენტრალური ბიუჯეტიდან) მრავალ დარგში აქვს. ესენია: აგრობიზნესი, მენეჯმენტი, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, სამართალმცოდნეობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობის პროგრამა ითვალისწინებს არა განყენებული ეკონომიკური ან სამართლებრივი ცოდნის მიღებას, არამედ (რამდენადაც ამას სტანდარტის ჩარჩოები იძლევა) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ტექნოლოგიების ცოდნასაც. ვფიქრობთ, რომ ასეთი საბაზო ეკონომიკური განათლება მათთვის აუცილებელია, მით უმეტეს, ისეთ სასოფლო-სამეურნეო რეგიონში, როგორიც ქვემო ქართლია.

ზემოთ ჩამოთვლილი დარგების გარდა, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ერთჯერადი დაკვეთით, აგრეთვე, ვამზადებთ ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სპეციალისტებს. საჭირო სახსრებს ნაწილობრივ ადგილობრივი გამგეობები გვაძლევენ (ვინც მოავლინა აბიტურიენტი), დანარჩენს ინსტიტუტი საკუთარი შემოსავლებიდან ანაზღაურებს.

— ახლა ბევრი უჩივის საბიუჯეტო თანხების სიმცირეს. თქვენ მხოლოდ სახელმწიფოს კმაყოფაზე ხართ?

— წელან საბაზრო ეკონომიკა ვახსენე და არ ვიქნები მართალი, მარტო სახელმწიფოს რომ დავეწოლოდით კისერზე. მუშაობის პირველსავე წელს მოვამზადეთ ნიადაგი მძლავრი ფასიანი სექტორის შესაქმნელად. ამჟამად ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობების გარდა, საგანმანათლებლო მომსახურებას ვუწევთ სამართალმცოდნეობის, ბიზნესის სამართლის, საბაჟო საქმის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის და სხვა დარგებს. ფასიანი სექტორიდან მიღებული შემოსავალი თითქმის უტოლდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაგეგმილ (დაგეგმილს და არა მიღებულს, რადგან, რასაც გვიგეგმავენ, გასაგები მიზეზების გამო, მთლიანად ვერ ღებულობთ) სახსრებს, ფასიანი სექტორიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი, კანონის თანახმად, სახელმწიფოს უბრუნდება და ამით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს რეგიონის ეკონომიკაში.

— რა მდგომარეობა გაქვთ კადრების მხრივ?

— ისტორიული ძნელბედობის გამო, მოგეხსენებათ, ქვემო ქართლში ქართული კულტურა არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იყო. უმაღლესი განათლებისათვის საჭირო პროფესურას ვერც მარნეულში და ვერც რეგიონში ვერ მოვიძიებდით. არც იმის საშუალება იყო, გრძელვადიანი მივლინებებით ჩამოსულთათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები შეგვექმნა, ამიტომ, გადავწყვიტეთ ტრანსპორტზე გვეზრუნა და პროფესორ-მასწავლებლები (გარკვეული რაოდენობა) თბილისიდან გვეტარებინა. საქმეში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური კადრებიც ჩავრთეთ და კადრების საკითხიც ასე თუ ისე, მოგვარდა.

ამჟამად ჩვენთან სხვადასხვა აკადემიის ოთხი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, ოცამდე დოქტორ-პროფესორი და ოცზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი მოღვაწეობს.

ეს ის ხალხია, ვინც თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტები და, რაც მთავარია, ქვეყნის პატრიოტები არიან, რომლებიც არ ერიდებიან ყოველდღიურ მომქანცველ მგზავრობას და არცთუ სახარბიელო ანაზღაურების (მარშანდელი რამდენიმე თვის ხელფასიც ვერ მიეცით) პირობებში გვერდით გვიდგანან.

— ახლა სტუდენტებზე გვიამბეთ რამე, როგორები არიან ისინი?

— სტუდენტები? მართლაც შესანიშნავი გვყავს. ერთმანეთის გვერდით ათ სპეციალობაზე სწავლობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და ბერძნები. ისინი ჩამოდიან ახლომახლო რაიონული ცენტრებიდან და სოფლებიდან.

როცა ფილიალში პირველ მიღებაზე ასეთი მრავალფეროვანი კონტინგენტი მოვიდა, ცოტა შევფიქრიანდით, რადგან აბიტურიენტებმა, რომლებიც სხვადასხვაენოვან სკოლებში სწავლობდნენ და იზრდებოდნენ, ახლა ყველამ ერთად მოიყარეს თავი. მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. სტუდენტები, მიუხედავად მათი წარმოშობისა, სამაგალითოდ მეგობრობენ.

რაც შეეხება სწავლის პროცესს, ბევრი ლექტორისაგან მომისმენია (საკუთარ ოცდაათწლიან გამოცდილებაზე რომ არაფერი ვთქვა), რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩევა. აქ, ალბათ, ბევრი ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ჩამოთვლასაც არ შევუდგები. ფაქტია, რომ ყველა ამბობს, — არ გვეგონა პერიფერიებში ასეთი მონდომებული ბავშვები თუ იყვნენო.

ამასთან, ისინი წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა დონის სამეცნიერო კონფერენციებში: ორმა ქვეყნის მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა და პრეზიდენტის ჯილდო მიიღო. ერთი სოროსის საერთაშორისო ფონდის სტიპენდიატია. ერთმა, ქართული ენის და ლიტერატურის სპეციალობის პირველკურსელმა გოგონამ, ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურის კვლევის დარგში რესპუბლიკურ კონფერენციაზე მესამე ადგილი მოიპოვა.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, ასე მგონია, პრობლემები არ გაწუხებთ.

— ყველა პრობლემა, რომლებიც საქართველოს აწუხებს, ჩვენი საფიქრალიც არის, თუმცა, ამას საკუთარიც ბევრი ემატება, მაგრამ კი არ უნდა ვიწუწუნოთ, ისინი უნდა გადავწყვიტოთ. გავიხსენოთ, რა იყო გუშინ ქვეყანაში: თოფიანი კაცი, ძმათამკვლელი შეტაკებები, დღეს ეს ახალგაზრდებს თითქოს დაავიწყდათ...

სამი ერთმანეთზე მიდგმული კორპუსი გვაქვს, სამივე საავალალო მდგომარეობაში იყო. ერთს მთლიანად გამოვუცვალეთ სახურავი (ე. წ. მიმდინარე, ყოველწლიური შეკეთებებისათვის საკმარისად მდიდრები არ ვართ) და მოვაწყვეთ აუდიტორიები. მერხები არ გვქონდა, ხან ვინ დაგვეხმარა, ხან ვინ... ახლა დანარჩენ გაჭირვებასაც მოვუვლით.

რაკი სიტყვა დახმარებაზე ჩამოვარდა, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მხარში გვიდგას მარნეულის გამგეობა, მისი გამგებელი ბატონი ზაზა ლამხი, შესანიშნავი ახალგაზრდა. კონტაქტები გვაქვს, აგრეთვე, ბოლნისისა და გარდაბნის გამგეობებთან (გარდაბანში საკონსულტაციო პუნქტიც გავხსენით). ზრუნვას არ გვაკლებს სამხარეო ადმინისტრაცია. დახმარებისთვის ყოველთვის მზად არიან პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში, ლევან მამალაძე და მისი მოადგილე ზურა ლორია.

ბატონო როლანდ, თუ ჩვენს საუბარს შემცირება უწერია, ძალიან გთხოვთ, ამ ნაწილს ნუ შეეხებით. ვერასოდეს მათ მადლობა ვერ ვუთხარი, რადგან კაბინეტში იშვიათად არიან. ხან წალკაში ქართული სკოლის გახსნაზე მიდიან, ხან წერაქვში, ხანაც დმანისის გათხრებს ეწვევიან ხოლმე და სხვა საქმეც აუარებელი აქვთ.

— ამ თხოვნას უთუოდ შევასრულებთ.

— გმადლობთ... ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენთან დამოკიდებულებაში დიდი ქომაგი და ამაგდარია აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე. იგი საკმაოდ მოუცლელია, მაგრამ გაჭირვებაში ყოველთვის ჩვენთანაა და კაბინეტში კი არ წყვეტს საკითხს — ჯერ მარნეულში ჩამოდის, ყველას მოეთათბირება და საბოლოო სიტყვას შემდეგ ამბობს...

— ბატონო ბორის, თითქმის ყველას შეეხეთ, საკუთარ თავზე არაფერს იტყოდით?

— მე მიშველაძეების პედაგოგიური დინასტიის ერთ-ერთი შთამომავალი ვარ. ბაბუის მამიდან მოყოლებული, ყველანი პედაგოგები იყვნენ, ორივე ბაბუა, მშობლები... მამაჩემი აქსენტი მიშველაძე პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი-აკადემიკოსია, დედა — დამსახურებული მასწავლებელი. ოთხი შვილი გაგვზარდეს, ოთხივესთვის ძირითადი საქმე მაინც პედაგოგობაა, მეუღლეც პედაგოგი მყავს, შვილებიც ამ გზით მიდიან.

ამ დღეებში დიდი სიხარული განვიცადე: პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დამაჯილდოვა, ცოტა ხანში კი შვილიშვილი შემეძინა პატარა მარიამ მიშველაძე, ასე, რომ უნივერსიტეტის 70 წლისთავს ცუდად არ ვხვდები...

— გილოცავთ, მართლაცდა ღირსეულ ჯილდოს, ღმერთსა ვთხოვ, პატარა მარიამს, ყოველი დღე სიხარულისა გაუთენდეს. დაბოლოს მითხარით, პირადად თქვენთვის რას ნიშნავს უნივერსიტეტის 70 წლისთავი?

— მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ, მაგრამ თითქმის ოცდაათი წელია, რაც აგრარულ უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ. გავიარე გზა ლაბორანტიდან ინსტიტუტის რექტორამდე. ამდენად, იუბილე ჩემთვისაც ბევრს ნიშნავს. მით უმეტეს, საიუბილეოდ გამოვა ჩემს მიერ დაწერილი სახელმძღვანელო საგანში „თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები“, რომელიც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამით ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სიაში შედის. ქართულ ენაზე ასეთი სახელმძღვანელო ჯერ არ დაწერილა. იგი აგრარული უნივერსიტეტის სამოცდაათ წლისთავს მივუძღვენი. ისე, რომ იუბილეს ხელდამშვენებული შევხვდები.

ესაუბრა
როლანდ ბასილაშვილი.

„უხილავი ფრონტი“

კავშირის შემდეგი სეანსი — ლოგინში!

შიშველი სიმართლე აგენტების დაქირავების ინტიმურ მეთოდებზე, რომლებიც მსოფლიოს ყველა დაზვერვის არსენალში შედის

ნამდვილი მზვერავი მთელი არსებით, თავიან-ფეხებიანა ეძლევა თავის სამუშაოს. ხოლო თუ ამას სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, მაშინ ეს ფიგურალური გამოთქმა ერთობ ინტიმურ შინაარსსაც იძენს, რაკი ცენტრი უბრძანებს, „უხილავი ფრონტის“ მებრძოლები თავიანთ მოვალეობას შეასრულებენ — ბოლომდე! დაზვერვის ისტორიამ მრავლად იცის პროფესიული ინტიმური კავშირებისა და გაყრის მაგალითები, როდესაც ცენტრიდან მოსულა შიფროგრამა: „თქვენ უნდა გაეყაროთ... ს.-ს და დაქორწინდეთ ამა თუ იმ აგენტზე... „არ გჯერათ? — კითხულობს „კომსომოლსკაია პრავდა“ და განაგრძობს:

„ადე სონა — დიზელი მოდის!“

ყველაფერი „სამყაროს დასაბამიდან“ დაიწყო. ჯერ კიდევ ბიბლიაშია აღწერილი შემთხვევა, როდესაც იუდეველთა ბელადმა იოსებმა ორი მსტოვარი გაგზავნა ქალაქ იერიქონში. ამ ორმა „უცნობმა“, როგორც მზვერავებს ეგების, თავშესაფარი პოვა არა ვილაცის ჭუჭყიან სარდაფში, არამედ „როსკიპი რაბის“ გაქათქათებულ საწოლში. თუმცა, საარქივო დოკუმენტები, რომლებიც შუქს მოჰფენდნენ იმას, თუ რას აკეთებდნენ მზვერავები თავიანთ მოხალისე თანაშემწესთან — როსკიპ რაბთან, ჯერჯერობით, არ გამოქვეყნებულა, — ალბათ, იმიტომ, რომ არ გაამჟღავნონ დაქირავებული აგენტურის ვინაობა. ანდა, ავიღოთ მზეთუნახავი დალილა — „შეფები“ მიხვდნენ, რომ ქალს უფრო გაუადვილდებოდა საიდუმლოებათა დაცინცვლა ვნებით ანთებული მცველებისაგან. სწორედ ამ ვნებამ შეიწირა ბიბლიის მეორე ლეგენდარული პერსონაჟი — მძლეთამძლე სამსონი. მტრები ამაოდ ცდილობდნენ მის ძლევას ბრძოლის ველზე, სამაგიეროდ, ვაჟკაცთ ვაჟკაცი სწორედ სექსაპილურმა დალილამ ააჭიკჭიკა. ბობოქარი ღამის შემდეგ ინტიმურ ვითარებაში ჩასჩურჩულა სამსონმა ყურში დალილას: „ჩემი ძალა იმაში კი არ არის... რაც შენ გგონია, არამედ თმაშიო“. ეს რომ გაიგო, მზეთუნახავმა სიყვარულის სარეცელზევე გაკრიჭა მეომარი და თმასთან ერთად ძალაც წაართვა.

ჰოლანდიელ მოცეკვავე მატა ჰარიზე პროფესიონალთა წრეებში არც კი ლაპარაკობენ. გავიხსენოთ იგი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახელი საზოგადო გახდა „საბედისწერო ლამაზმანი მზვერავებისათვის“, თუმცა მსოფლიოს დაზვერვებს უშნო, მაგრამ ჭკვიანი მზვერავი ქალებიც მრავალი ჰყოლიათ. საბჭოთა სპეცსამსახურებმა მსოფლიოს მოუვლინეს თავიანთი „ფამ ფატალი“, რომლებსაც ბევრი დასავლელი ექსპერტი აღიარებს ჭეშმარიტ მატა ჰარიდ. მისი სახელია რუთ ჰამბურგერ ბერტონი, იგივე ურსულა კუჩინსკი, საბრძოლო ფსევდონიმი — სონა.

რუთი საბჭოთა დაზვერვის დავალებით თვით ზორგეს მეკავშირედ მუშაობდა. ამ გათხოვილმა მანდილოსანმა 1938 წელს მიიღო სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოს ბრძანება, გაშორებოდა ქმარს და სამშობლოს ინტერესებისათვის მისთხოვებოდა ინგლისელ ლენ ბერტონს, რომელიც იქამდე მოხიბლა და აგენტად გაიხადა. სონამ ბევრი რამ გააკეთა მოსკოვისათვის, რომელიც ჯგუფის წყალობით ყოველთვის იყო გერმანიის მილიტარისტული გეგმების კურსში. ამიტომ, არც საკუთარი ოჯახური ბედნიერება გაუშვა ხელიდან. 1950 წელს იგი ინგლისიდან გადავიდა, უკვე ორ შვილთან ერთად, და დასახლდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ცოტა ხნის შემდეგ მას მიჰყვა „ბრძანებით ქმრად დანიშნული“ ლენიც — ვინა თქვა, გულს ვერ უბრძანებო?

007 აგენტს უყვარდა არა მარტო ჯაშუშობა, არამედ ჯაშუში ქალებიც. თუმცა, არც არაჯაშუშ ქალებზე ამბობდა უარს.

კიტი — ეს ხომ ქეთია „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვებიდან“.

მაგრამ ყველა ქორწინება როდი უწყობს ხელს სამსახურებრივ კარიერას. ქალს შეეწირა ისეთი მაგარი „ლიკვიდატორიც“ კი, როგორიც იყო ბოგდან სტაშინსკი, რომელმაც სუკ-ის მითითებით სტეფან ბანდერა გაასაღა. ამის შემდეგ მიიღო დავალება, მოეკლა უკრაინის ყოფილი პრემიერი სტეტსკიც, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრობდა. მაგრამ სწორედ ამ დროს ბოგდანმა, თავის ჭირად, ცოლად შეირთო გდრ-ის მოქალაქე, რომელმაც, როდესაც შეიტყო, თუ რა საქმიანობას ეწეოდა მისი ქმარი, წაუყენა ულტიმატუმი: ან ჩვენ დასავლეთში გადავალთ, ანდა, მე წავალო შენგან, რაც უნებლიედ გვახსენებს ჩეხოვის საკრამენტულ ფრაზას: თუ ცოლმა გიღალატა, გიხაროდეს, რომ გიღალატა შენ, და არა — სამშობლოს! მაგრამ სტაშინსკი აშკარად არ იყო ანტონ ჩეხოვის თანამოაზრე. და, სწორედ ამიტომ, ცოლ-ქმარი ამერიკელების მხარეზე გადავიდა..

მთავარ საიდუმლოებებს ბალიშსა და ცოლს ანდობენ ხოლმე

თუმცა, ყოფილა შემთხვევები, რომ „სარეცლის ჯაშუშობის“ ობიექტები გამხდარან ქალებიც. თუ სუკ-ის ერთ-ერთი გადამდგარი ოფიცრის „ტაიმსისადმი“ ინტერვიუს დავუჯერებთ, „ორგანოებმა“ ჯერ კიდევ 1954 წელს შეძლეს, გადმოებირებინათ ნორვეგიის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის 42 წლის მეუღლე ვერნა გერჰარდსენი. სსრ კავშირში ტურისტული მოგზაურობისას გათხოვილმა ქალმა ვერ გაუძლო ცდუნებას და დანებდა სუკ-ის ოფიცერს ევგენი ბელიაკოვს. ცოტა ხნის შემდეგ ბელიაკოვი სამუშაოდ მიავლინეს საბჭოთა კავშირის ოსლოს საელჩოში, სადაც შეყვარებული პრემიერის ცოლისაგან სისტემატურად იღებდა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ნატოზე, რომელშიც მისი 57 წლის მეუღლე მიღებული კაცი იყო. ეს ჯაშუშურ-ინტიმური კავშირი სამ წელიწადს გრძელდებოდა და სრულიად ბანალური მიზეზის გამო შეწყდა. ბელიაკოვს ეჭვიანობის ნიადაგზე სცენებს უმართავდა კანონიერი ცოლი. ამიტომ ოფიცერი სვამდა და დროდადრო, პროფილაქტიკისათვის, უტყაპუნებდა ცოლს — საბოლოოდ, ყოველი შემთხვევისათვის, სამშობლოში გამოიხმეს. ხოლო „მოღალატე“ ვერნა გარდაიცვალა 1970 წელს, მეუღლის გადადგომიდან ხუთი წლის შემდეგ. გარდაიცვალა ისე, რომ არავის გამოუაშკარავებია.

გაცილებით უფრო ტრაგიკული გამოდგა მილდრედ ჰარნაკის ბედი. 20-იანი წლების დამლევს ეს ლამაზი ამერიკელი ქალი მისთხოვდა ეკონომიკის პროფესორს და საცხოვრებლად გადავიდა მის სამშობლოში, გერმანიაში. ჰიტლერი რომ გახელისუფლდა, მილდრედის ქმარი არვიდ ჰარნაკი მაღალ პოსტზე დაინიშნა ეკონომიკის სამინისტროში და მაშინვე სათავეში ჩაუდგა ანტიფაშისტთა ფარულ ჯგუფს, „წითელ კაპელას“, რომელიც საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. ქმრის დავალებით მილდრედი გაუმიჯნურდა გერმანიის დაზვერვის სამხედრო ოფიცერს და შეყვარებულ ამბვერელს დასცინცლა მესამე რაიხის ბევრი საიდუმლო, რომლებსაც მაშინვე გადასცემდა მოსკოვში. 1942 წლის ზაფხულში ჰარნაკმა, რომელიც თანამოსაგრეებთან ერთად დააპატიმრა გესტაპომ, სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა. გაგორდა მილდრედის უიღბლო მიჯნურის თავიც.

გავიდა კიდევ 20 წელიწადი და ახლა უკვე ბრიტანეთის საპყრობილეში მოხვდა ნორჩი ფოტომოდელი, იმავდროულად ძვირფასი „ქალიშვილი გამოძახებით“ კრისტინა კილერი. ჩაჯდომამდე იგი ახერხებდა, ერთსა და იმავე დროს ჰქონოდა ინტიმური ურთიერთობა თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის მოხელესთან ჯონ პროფიუმოსთან და სსრ კავშირის საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშეს თანაშემწესთან ევგენი ივანოვთან. სხვათა შორის, ივანოვის ცოლი მაია ამ დროს საელჩოს მშიფრავი იყო და ნამდვილად ეცოდინებოდა თავისი მეუღლის „კონტაქტები“ ნორჩ კრისტინასთან. საბოლოო ანგარიშით, პროფიუმო და მისი მფარველი პრემიერ-მინისტრი მაკმილანი მხოლოდ გადააყენეს. ხოლო კრისტინა სულ რამდენიმე თვეს იჯდა სასამართლოში ცრუ მოწმეობისათვის, სამაგიეროდ, შემდეგ დიდძალი ფული იშოვა ინტერვიუებითა და მემუარებით.

ეს კი დონალდია.

ელენე ოვჩარენკო,
სიმონ შაპკინი.
გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ №196.

(გაგრძელება იქნება).

მოწვევა კონკურსზე

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი“, რომელიც ემსახურება მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის განხორციელების საქმეს, კონკურსზე იწვევს არასახელმწიფო ორგანიზაციებსა და ფირმებს „1917-21 წლების ქართული პრესის მიკროფილმების-ბანკის შექმნის“ პროექტის განსახორციელებლად.

ორგანიზაციებმა უნდა მოგვმართონ განაცხადით („დაინტერესების წერილით“), რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი.
2. ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.
3. იმ სპეციალისტთა მონაცემები, რომელთაც უნდა იმუშაონ პროექტზე, მათი გამოცდილება და კვალიფიკაცია.
4. სამუშაოს შესრულების ვადები.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი“, თბილისი, მაჩაბლის 4ა,
ტელ: 25-22-20, 93-14-69, ფაქსი: 98-57-13.

განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 1999 წლის 11 ნოემბერი.

მოწვევა კონკურსზე

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი“, რომელიც ემსახურება მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის განხორციელების საქმეს, აცხადებს კონკურსს არქიტექტორზე/არქეოლოგზე, რომელიც შეიმუშავებს უფლისციხის მდგრადი განვითარების კონცეფციას:

მოვალეობებში შედის: უფლისციხეში საკონსერვაციო სამუშაოებისა და მათი მეთოდოლოგიის განსაზღვრა; ტექნიკური დავალების მომზადება საკონსერვაციო სამუშაოებისათვის; უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის მართვის (მენეჯმენტის) შესწავლა და მისი გაუმჯობესების გზების დასახვა; უფლისციხის პრეზენტაციის კონცეფციის დამუშავება, ტექნიკური დავალების (ხარჯთაღრიცხვის ჩათვლით) მომზადება მნახველთა ცენტრისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის.

მინიმუმი მოთხოვნები: უმაღლესი განათლება არქიტექტურის/სამოქალაქო დაგეგმარების დარგში, პლუს/ან უმაღლესი განათლება არქეოლოგიის/ხელოვნებათმცოდნეობის დარგში; არქიტექტორად/არქეოლოგად მუშაობის 8-10 წლის გამოცდილება; გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციისა და კონსერვაციის დარგში, არქეოლოგიურ/ისტორიული ძეგლების პასპორტიზაციის ჩათვლით; უფლისციხის, მისი ისტორიისა და არქიტექტურის ბრწყინვალე ცოდნა; სამხარეო მუზეუმების დაპროექტების გამოცდილება; სასურველია ინგლისურის ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ 1999 წლის 12 ნოემბრამდე განცხადება, სადაც აღწერილი იქნება მათი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია; განცხადებას თან უნდა დაურთონ CV.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი“, თბილისი, მაჩაბლის 4ა,
ტელ: 25-22-20, 93-14-69, ფაქსი: 98-57-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის არმია გროზნოს ლაშქრავს

ტელეკომპანია სი-ენ-ენის ცნობების თანახმად, რუსეთის ჯარები ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს გარეუბნებში შეიჭრნენ. როგორც მეთვალყურენი აღნიშნავენ, მიმდინარე ბრძოლები ყველაზე გააფთრებული ხასიათისაა მთელი კამპანიის მანძილზე.

ჩეჩნეთში მოქმედი ფედერალური ძალების მედესანტეთა და საზღვაო ქვეითთა მოწინავე რაზმები ჩეჩნეთის სიდიდით მეორე ქალაქის – გუდერმესის გარეუბანს მიადგნენ, იუწყება ფედერალური ჯარების აღმოსავლეთის დაჯგუფების დროებითი პრესცენტრი. ამჟამად დაჯგუფების ჯარები განაგრძობენ ტერიტორიის წმენდას გუდერმესის მიდამოებში. თავის მხრივ, დასავლეთის დაჯგუფების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ შამანოვმა განაცხადა, რომ მისი ჯარი გროზნოდან 20 კილომეტრზე იმყოფება. გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ განვლილი დღე-ღამის მანძილზე დასავლეთის დაჯგუფებას დანაკარგი არ განუცდია. ფედერალური ჯარები წუხელ სუნჟენის ქედით ჩეჩნეთის სიღრმეში 24 კილომეტრით შეიჭრნენ და განაგრძობენ წინსვლას. სხვადასხვა შეფასებით, ჯარებს ჯოჰარგალამდე დარჩათ 20 კილომეტრი – ჩეჩნეთის დედაქალაქის ოქტომბრის რაიონამდე, და დაახლოებით 12 კილომეტრი – სტაროპრომისლოვსკის რაიონამდე. ნტვ ტელეკომპანიის ცნობების თანახმად, ბოევიკები უკან იხევენ.

ჯარი გუდერმესს მიადგა

რუსეთს სანქციები არ ემუქრება

ოთხშაბათს საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩასულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა პარიზის აეროპორტში განაცხადა, რომ ჩეჩნეთის ამბებთან დაკავშირებით რუსეთს არავინ დამუქრებია სანქციით და საერთოდ, არ შეიძლება ლაპარაკი რაიმე მუქარასა ან სანქციებზე, რადგან ეს ის ენა არ არის, რომელზეც რუსეთი ვინმეს ალაპარაკებს.

ივანოვის თქმით, პრესაში მთლად სწორად არ იქნა ინტერპრეტირებული იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ლამბერტო დინის გამონათქვამები. სინამდვილეში, განმარტა ივანოვმა, დინიმ მხოლოდ ის თქვა, რომ ჩეჩნეთში რუსეთის მოქმედების საკითხი განიხილებოდა ევროკავშირის ფარგლებში. მაგრამ არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულა და ვერც მიიღებდნენ, დასძინა რუსეთის მინისტრმა.

როგორც ჩანს, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შესაძლო დაწესების ხმების მიზეზი გახდა ლამბერტო დინის განცხადება: „იტალია და ევროკავშირი შეშფოთებული არიან ჩეჩნეთში შექმნილი სიტუაციით და რუსეთის მიმართ შესაძლო სანქციების საკითხსაც კი განიხილავდნენ, მაგრამ გამოითქვა იმედი, რომ მოიძებნება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა“.

„რუსეთს არავითარი საიდუმლოებები არა აქვს, – განაცხადა იგორ ივანოვმა. – ჩვენ ინფორმაციას ვაწვდით პარტნიორებს რეალური სიტუაციის შესახებ... რუსეთს აქვს ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების ძიების ნება, ეს ჩვენ გვითქვამს და კვლავაც ვამბობთ, და არ გვჭირდება ამაზე სხვისი ჩიჩინი, ეს არის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი პრობლემა, რომელსაც ჩვენ თვითონ მოვუვლით“.

ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს პირველი სხდომა

ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა ქ. ლუქსემბურგში. შეხვედრას ხელმძღვანელობდა ფინეთის საგარეო ვაჭრობისა და ევროპულ საქმეთა მინისტრი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე კიმო სასი, საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. ევროკომისიას წარმოადგენდა გენერალური დირექტორი გიუნტერ ბურგარტი.

თანამშრომლობის საბჭოს პირველი სხდომა მოეწყო ა. წ. 22 ივნისს გამართული ევროკავშირ-სამხრეთ კავკასიის პრეზიდენტების ლუქსემბურგის შეხვედრისა და ა. წ. 1 ივლისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც ევროკავშირი ანიჭებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობას.

პარტნიორობის შეთანხმებამ ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალ ეტაპს მისცა დასაბამი. იგი ახალი ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნისა და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს იძლევა. მხარეები შეთანხმდნენ, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის და ხაზი გაუსვეს ამ საქმეში თანამშრომლობის საბჭოს უდიდეს როლს.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების დაცვისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დიდ მნიშვნელობას. მათ დაადასტურეს თავიანთი განზრახვა, უფრო ინტენსიური გახადონ პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და კულტურული ურთიერთობები და ხელი შეუწყონ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებსა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს. აგრეთვე, იმსჯელეს, ამ მიზნის მიღწევის გზებზე. თანამშრომლობის საბჭომ აღნიშნა, რომ ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით მისი კავშირი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან, დამატებით მნიშვნელობას იძენს და რომ რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა მნიშვნელოვანია მთლიანად ევროპის უსაფრთხოებისათვის.

თანამშრომლობის საბჭომ გამოთქვა რწმენა, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების რეალიზაცია უზრუნველყოფს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განმტკიცებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ორმხრივსაინტერესო საგარეო საკითხებზე პოლიტიკური დიალოგი, დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანზიტის წინააღმდეგ თანამშრომლობა, სავაჭრო ურთიერთობები და ეკონომიკური თანამშრომლობა, ტასისის ფარგლებში თანამშრომლობა და რეგიონული თანამშრომლობა. თანამშრომლობის საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება შეასრულებს მნიშვნელოვან როლს ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდაში.

თანამშრომლობის საბჭოს პრეზიდენტის დასკვნით, 1999-2000 წლების თანამშრომლობა კონცენტრირებული უნდა იყოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) შიდა კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებაზე, კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებაზე, ზოგადად პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების დებულებათა განხორციელებაზე, – კერძოდ, ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების ხელისშემწყობი ზომების მიღებაზე, დემოკრატიზაციის პროცესის გაძლიერებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანზიტის აღსაკვეთად მჭიდრო თანამშრომლობაზე.

ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საერთო ინტერესთა სფეროში შემავალ საკითხებზე, განსაკუთრებით, ევროკავშირ-სამხრეთ კავკასიის სამიტის დროს მიღებული ერთობლივი დეკლარაციის დებულებების განხორციელებისა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ლუქსემბურგი.

ლორდებს ლორდთა პალატაში აღარ უშვებენ

ბრიტანეთის პარლამენტის ზედა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოართვას მემკვიდრეობით ლორდებს პალატაში თათბირობის უფლება. ამრიგად, ლიკვიდირებულია შეერთებული სამეფოს არისტოკრატიული ოჯახების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრივილეგია – მიიღონ მემკვიდრეობის პრინციპით სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ, რომ ტიტულოსნები არიან.

პერების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ მთავრობის უძლიერესი ზეწოლით ფაქტობრივად ხმა მისცა საკუთარ გარიცხვასა და ტიტულის მომავალი მემკვიდრეების გარიცხვას ლორდთა პალატიდან. კანონპროექტის მიღებას მხარი დაუჭირა 221 ლორდმა, წინააღმდეგი იყო 81.

ამ მომენტში ლორდთა პალატაში არის 751 ლორდი, რომლებსაც წინაპრების დამსახურების გამო უფლება აქვთ, მიიღონ ქვეყნის კანონები. ახლანდელი გადაწყვეტილება ართმევს მათ ამ ისტორიულ პრივილეგიას. ამავე დროს, პალატის მუშაობაში მონაწილეობის უფლებას შეინარჩუნებენ ლორდები, რომლებსაც ტიტული მიანიჭა მონარქმა მათი პირადი დამსახურების აღიარების ნიშნად და მთავრობის წინადადებით, აგრეთვე, ეპისკოპოსები და უმაღლესი მოსამართლეები, რომლებიც ტრადიციულად წარმოადგენენ ზედა პალატის წევრებს.

ლორდთა პალატის რეფორმა განხორციელდა ტონი ბლერის ლეიბორისტული მთავრობის ინიციატივით. იგი ემყარება დემოკრატიულ მიდგომას, რომლის თანახმადაც, მემკვიდრეობის პრინციპის შემდგომი შენარჩუნება თანამედროვე დასავლური ცივილიზაციისა და საღი აზრის აბუჩად აგდებაა.



პაკისტანის ახალი მმართველობა

პაკისტანის სამხედრო მმართველმა გენერალმა პერვეზ მუშარაფმა გამოაცხადა, რომ დანიშნა უშიშროების ეროვნული საბჭო, რომელიც ქვეყანას უხელმძღვანელებს ახალი არჩევნების მოწყობამდე. გენერლის გარდა, რომელიც საბჭოს სათავეში ჩაუდგება, მის შემადგენლობაში შევა კიდევ ორი სამხედრო, ოთხი სამოქალაქო პირი, არც ერთი მათგანი გადაყენებული პრემიერ-მინისტრის ნავაზ შარიფის მთავრობაში არ შედიოდა.

მილანის აეროპორტშიც იპარავენ

იტალიის პოლიციამ დააპატიმრა მილანის მალპენზის აეროპორტის 14 მუშაკი, რომლებმაც რამდენიმე მილიონი დოლარის საწვავი მოიპარეს. დამნაშავენი ხუთი წლის განმავლობაში ნაკლებ სათბობს ასხამდნენ საავიაციო ავზებში და ნამეტს თვითონ ჰყიდდნენ. მათ ბრალად ედებათ საკუთრების დატაცება და უკანონო მითვისება.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

ფეხბურთი

„დიდი თურქობა“

ჩემპიონთა ლიგის წინა რაუნდში სტამბოლის „გალათასარაი“ შინ ლონდონის „ჩელსისთან“ შერცხვა 0:5 და შემდგომ ეტაპზე გასვლის თეორიულ შესაძლებლობასაც გამოემშვიდობა, თუმცა, ჩვენს თანამემამულეთაგან განსხვავებით, თურქებმა ყურები როდი ჩამოყარეს. ისინი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ეწვივნენ ბერლინს და „თ“ ჯგუფის ლიდერს „ჰერტას“ შავი სამშაბათი გაუთენეს – 4:1. თუმცა, რატომ ყოველგვარი? ხომ არსებობს პატრიოტიზმი, პრესტიჟი, ბოლოსდაბოლოს (და არა პირველ რიგში, როგორც ეს ჩვენშია გამეფებული) – მატერიალური მხარე? გამოდის, რომ სატურნირო კონიუნქტურა სრულიადაც არ ყოფილა განმსაზღვრელი – პროფესიონალს უშეღავათო ბრძოლა ნებისმიერ სიტუაციაში მართებს, რაც ჰოლანდიურმა კლუბებმაც დაამტკიცეს.

„გლაზგო რეინჯერსი“ – „ვალენსია“.

„ტილბურგი“, რომელმაც ორიოდე წლის წინათ თბილისის „დინამო“ დაგვიჩაგრა, ლიგის ერთადერთი უქულო ბინადარი იყო, მისი მეტოქე მოსკოვის „სპარტაკი“ კი შესანიშნავი სტარტის შემდეგ შეფერხდა და „ლუჟნიკების“ აგალახებულ გაზონზე მხოლოდ გამარჯვება თუ უნარჩუნებდა მეოთხედფინალში გაღწევის შანსს. მასპინძლები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ აუტსაიდერთა სამაგალითო თავდადების დაძლევა ვერ მოახერხეს – 1:1. ამის შედეგად „ზ“ ჯგუფის ფინიშს სპორტული ინტერესი დაეკარგა.

კიდევ უფრო მეტს მიაღწია აქამდე მოუგებლად მოასპარეზე „ეინდჰოვენმა“, რომელმაც შინ მძიმე მარცხი (პირველ რიგში, სტრატეგიული თვალსაზრისით) აგემა „ე“ ჯგუფის უპირობო ფავორიტად შერაცხულ მიუნხენის „ბაიერნს“, – 2:1. მოგეხსენებათ, როგორი „ტკბილი“ მეზობლობა აქვთ ჰოლანდიელებსა და გერმანელებს, ამ შეხვედრის მიწურულს კი ეს ურთიერთობა ახალ რანგში აიყვანა – ბავარიელმა ფეხბურთელებმა იერიში მასპინძელთა ბელგიელ მწვრთნელზე, ჩვენს ძველ ნაცნობ ერიკ გერეტსზე მიიტანეს. კიდევ ერთხელ გაიბრწყინა „ვალენსიამ“, რომელმაც გლაზგოში „რეინჯერსის“ ძლევით – 2:1 ვადაზე ადრე დაიკავშნა ადგილი მორიგ ეტაპზე. სხვათა შორის, სამივე ესპანურმა კლუბმა ბოლო ტურის წინ წარმატებით გადაჭრა ანალოგიური ამოცანა, რაც, დამეთანხმებით, მრავალისმეტყველი ფაქტია.

„მილანი“ – „ჩელსი“.

გაუწყებთ, ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის რაუნდის სრულ შედეგებს:

„ე“ ჯგუფი. „რეალი“ – „ოლიმპიაკოსი“ 3:0, „პორტუ“ – „მოლდე“ 3:1.

„პორტუ“ – 12, „რეალი“ – 10, „ოლიმპიაკოსი“ – 4, „მოლდე“ – 3 ქულა.

3 ნოემბერს ითამაშებენ „ოლიმპიაკოსი“ – „პორტუ“, „მოლდე“ – „რეალი“.

„ეინდჰოვენი“ – „ბაიერნი“.

„ვ“ ჯგუფი. „ეინდჰოვენი“ – „ბაიერნი“ 2:1, „გლაზგო რეინჯერსი“ – „ვალენსია“ 1:2.

„ვალენსია“ – 9, „გლაზგო რეინჯერსი“ – 7, „ბაიერნი“ – 6, „ეინდჰოვენი“ – 4 ქულა.

3 ნოემბერს ითამაშებენ „ბაიერნი“ – „გლაზგო რეინჯერსი“, „ვალენსია“ – „ეინდჰოვენი“.

„ზ“ ჯგუფი. „ბორდო“ – „სპარტა“ 0:0, „სპარტაკი“ – „ტილბურგი“ – 1:1.

„ბორდო“ – 11, „სპარტა“ – 9, „სპარტაკი“ – 5, „ტილბურგი“ – 1 ქულა.

3 ნოემბერს ითამაშებენ „ტილბურგი“ – „ბორდო“, „სპარტა“ – „სპარტაკი“.

„თ“ ჯგუფი. „მილანი“ – „ჩელსი“ 1:1, „ჰერტა“ – „გალათასარაი“ 1:4.

„ჰერტა“, „ჩელსი“ – 8-8, „მილანი“ – 6, „გალათასარაი“ – 4 ქულა.

3 ნოემბერს ითამაშებენ „ჩელსი“ – „ჰერტა“, „გალათასარაი“ – „მილანი“.

გია პლატონიშვილი.

„რეალი“ – „ოლიმპიაკოსი“.

მინიფეხბურთი

დაგვიანებული წილისყრის შედეგები

ფიფას შტაბ-ბინაში დიდი დაგვიანებით გაიმართა მინიფეხბურთში მსოფლიოს 2000 წლის ჩემპიონატის წილისყრა, რომლის შედეგები უმალ ეცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოს. ვაქვეყნებთ ხუთივე ევროპული შესარჩევი ჯგუფის შემადგენლობას.

პირველი ჯგუფი – პორტუგალია, იტალია, ანდორა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, უნგრეთი, ლიტვა. **მეორე ჯგუფი** – სლოვენია, ესპანეთი, უკრაინა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სომხეთი. **მესამე ჯგუფი** – პოლონეთი, რუსეთი, ბელგია, ლატვია, მაკედონია, **მეოთხე ჯგუფი** – აზერბაიჯანი, საქართველო, ხორვატია, ჩეხეთი, საბერძნეთი. **მეხუთე ჯგუფი** – ფინეთი, იუგოსლავია, ბელორუსია, ისრაელი, ჰოლანდია.

მსოფლიოს რიგით V ჩემპიონატის დებულებით, გვატემალის (სწორედ სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში 2000 წლის დეკემბერში გაიმართება ფინალური ტურნირი) საგზურებს მოიპოვებენ ევროპის ხუთივე შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული ნაკრები გუნდები.

საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრებმა პირველად 1995 წელს მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ასპარეზობაში, რომელიც იტალიაში გაიმართა. თავის შესარჩევ ჯგუფში ჩვენმა ფეხბურთელებმა 1:2 წააგეს მასპინძლებთან და 10:7 მოუგეს უკრაინის ნაკრებს, მაგრამ ფინალში ვერ მოხვდნენ. ფიფას დებულებით, მსოფლიოს V ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ქვეჯგუფებში (წრიული სისტემით) 1 იანვრიდან 29 თებერვლამდე უნდა გაიმართოს. მეოთხე შესარჩევი ქვეჯგუფის გუნდებს აზერბაიჯანი უმასპინძლებს.

შოთა ბოკერია.

ჭადრაკი

„ნოკაუტ-სისტემა“ შემთხვევითობას ნიშნავს

ასე ფიქრობს მსოფლიოს ჭადრაკის ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმირ კრამნიკი. დღეს იმ დიდოსტატების თითებზე ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც გარი კასპაროვს ღირსეულად უმკლავდებიან. თუ ბორის გულკოს დაღებითი ანგარიში მსოფლიო ჩემპიონთან (სამი მოგება, ერთი წაგება, ერთი ყაიმი) იმით აიხსნება, რომ ორთაბრძოლების უმრავლესობა კასპაროვის სიყმაწვილისას გაიმართა, კრამნიკი გარის მას შემდეგ ხვდებოდა, რაც მან ჩემპიონობა მოიპოვა – საერთო ანგარიში თანაბარია!

რას გვეტყვის კრამნიკი მსოფლიო ჭადრაკში შექმნილი ვითარების შესახებ?

– სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს სუპერტურნირების რიცხვმა იკლო. აღარ იმართება ტრადიციული ტურნირები ჰოლანდიაში, ნოვგოროდში, ბელგრადში. ახალ შეჯიბრებებსაც არავინ აწყობს. ასე რომ, პრობლემები შეექმნათ არა მარტო „საშუალო კლასის“ დიდოსტატებს, არამედ ელიტასაც. რა თქმა უნდა, ამ თამაშის პოპულარობას ხელს არც სკანდალები უწყობს, რომელთა ინიციატორები არიან არა მარტო ცნობილი დიდოსტატები, არამედ მთავარი საჭადრაკო ორგანიზაცია – **ფიდე.** საჭიროა ტურნირების განახლება.

რაც შეეხება მომავალ გეგმებს, კრამნიკი ფიქრობს 2000 წლის იანვრის შუა რიცხვებში მონაწილეობა მიიღოს ვეიკ-ან-ზეეს ტრადიციულ სუპერტურნირში, სადაც ითამაშებენ გარი კასპაროვი, ვიშვანათან ანანდი, ალექსეი შიროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი, მაიკლ ადამსი, პეტრე სვიდლერი, და, შესაძლოა, ახალი მსოფლიო ჩემპიონი (ფიდეს ვერსიით) ალექსანდრ ხალიფმანი.



კრამნიკი შეეხო აგვისტოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს „ნოკაუტ-სისტემით“, სადაც თვითონაც მონაწილეობდა:

– ლას ვეგასში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან „ნოკაუტ-სისტემა“ შემთხვევითობაზეა ორიენტირებული. ასეთ მცირე სათამაშო დროში ძნელია [illegible]თარი უპირატესობის დამტკიცება, რადგან რისკის უფლება, პრაქტიკულად, აღარ გაქვს. ეს შეიძლება ისეთ საფეხბურთო მატჩს შევადაროთ, სადაც ორი სრული ტაიმი კი არ არის 45-45 წუთით, არამედ 20-20 წუთი, ამ დროის განმავლობაში კი შეიძლება ყველა 11 მოთამაშე დაცვაში გადაისროლო. ასე მოხდა ჭადრაკშიც: ყრუ დაცვაზე გადასვლა ძირითად პარტიებში გახლავთ ყაიმისაკენ სწრაფვა და საკუთარი შანსის დამატებით სწრაფ პარტიებში ძებნა. ასე მოუვიდათ ივანჩუკს, შიროვს, ასეთივე შედეგი მივიღე მეც. შიროვს არ უნდოდა საქმე დამატებით პარტიებამდე მისულიყო და მეტისმეტად დიდი რისკი გასწია, თუმცა, მისი მძლეველი რუმინელი დიდოსტატი ნისიპეანუ, რა თქმა უნდა, ნიჭიერი მოჭადრაკეა. მე რომ მეოთხედფინალში ადამსი დამემარცხებინა, ამ ჩემპიონატის მოგების დიდი შესაძლებლობა მექნებოდა, რადგან ნახევარფინალში უკვე 4 პარტია იყო სათამაშო. წინა მატჩში ვესელინ ტოპალოვთან მე საკმაოდ გამიჭირდა, დავიღალე, როცა ადამსმა, რომელიც ძირითად დროში ჩემთან მოგებაზე არცკი ფიქრობდა, მოახერხა და თამაში მეორე „ტაიმ-ბრეიქში“ გადაიყვანა. იქ უკვე მე მომივიდა უხეში შეცდომები. ამის მიუხედავად, ალექსანდრ ხალიფმანს ღირსეულ მსოფლიო ჩემპიონად ვთვლი.

ორბიტაზე

ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისში იმყოფება. წლევანდელ სეზონში ჩვენი ქვეყნის წამყვანმა კლუბებმა და, რაც მთავარია, ეროვნულმა ნაკრებმა სამარცხვინო მარცხი განიცადეს. ვერც ახალგაზრდულმა ნაკრებმა გაახარა გულშემატკივრები. 31 ოქტომბერს ფლორენციაში (იტალია) სტარტს აიღებს ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალური ტურნირი მოყვარულ ფეხბურთელებს შორის, სადაც 8 უძლიერესი გუნდი გამოვა. მათ შორის არის საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრები, რომლის უფროსი მწვრთნელია ჯონი ჯანელიძე. სწორედ მას ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი.

იქნებ მოყვარულებმა გაგვახარონ

– როგორ მიგაჩნიათ, საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებმა ფინალური ტურნირისათვის მზადების სრული ციკლი გაიარა?

– მას შემდეგ, რაც ჩვენმა ფეხბურთელებმა გაზაფხულზე თბილისში გამართულ შესარჩევ ტურნირში პირველი ადგილი და ფინალის საგზური მოიპოვეს, დღის წესრიგში დადგა იტალიური ბატალიებისათვის მზადების საკითხი. პირველ ეტაპზე ნაკრებში 30-ზე მეტი კანდიდატი მივიწვიეთ. თავიდან შავ ზღვაზე გავემგზავრეთ, სადაც რამდენიმე საკონტროლო ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ. ფრედ – 2:2 დავასრულეთ მატჩი ბათუმის „დინამოს“ ფარმკლუბთან (გოლები გაიტანა ზვიად კრავეიშვილმა), შემდეგ სამტრედიაში – 1:0 ვძლიეთ ადგილობრივ „ოკეანეს“ (ბურთი სოხუმელმა კობა ოდიშარიამ გაიტანა), ზესტაფონში – 2:0 დავამარცხეთ ადგილობრივი „მეტალურგი“ (გატანილი გოლების ავტორები იყვნენ დათო მორჩილაძე თბილისის „ლოკომოტივიდან“ და დავით ბახტაძე (შინაგან საქმეთა აკადემიის კლუბი). შემდეგ უკვე თბილისში გავმართეთ სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას, რომლებმაც ყურადღება არ მოგვაკლეს. დასკვნითი შეკრება საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებმა დაბა ქინვალში მოაწყო, სადაც ჩინებულ ბუნებრივ კლიმატთან ერთად, მზადების ნორმალური პირობებიც გვქონდა. ფლორენციის მახლობლად მდებარე აბიანო-ტერმეში გამგზავრების წინ, ქინვალში შეკრების დროს ჩვენ ტაქტიკურ მეცადინეობას მივაქციეთ ყურადღება. 29 ოქტომბერს კი კურსს იტალიისაკენ ავიღებთ.

– დაგვისახელეთ საქართველოს ნაკრების მეტოქეები და გუნდის საბოლოო შემადგენლობა.

– განრიგის მიხედვით 31 ოქტომბერს იტალიის „ვენეტოს“ ვხვდებით. 1 ნოემბერს ჩვენი მომდევნო მოწინააღმდეგეა ისრაელის ფეხბურთელთა ნაკრები, ხოლო ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრას 3 ნოემბერს უკრაინელებთან ჩავატარებთ. 5 ნოემბერს ფინალში ჩვენი კვარტეტის საუკეთესო წარმომადგენელი იასპარეზებს, მეორე კი „ბრინჯაოსთვის“ იბრძოლებს.

საქართველოს ნაკრები იტალიაში ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: **მეკარეები** – ავთანდილ ჩაჩიბაია, ირაკლი სილაგაძე; **მცველები** – გიორგი მეტრეველი, მალხაზ მურადელი, გოჩა ხვიჩია, მიხეილ გრიგალაშვილი, თემურ ზაქუტაშვილი, გიორგი შუკაკიძე; **ნახევარმცველები** – გიორგი ტულუში, მიხეილ მოსიაშვილი, გიორგი ნოზაძე, სულიკო კაკაბაძე, კობა ოდიშარია, გიორგი გაბიდაური, ლაშა გოლეთიანი; **თავდამსხმელები** – ჯონი ტილკავაშვილი (გუნდის კაპიტანი), ზვიად კრავეიშვილი, იმედა ქეთელაური. ჩვენი ნაკრების ყველა ფეხბურთელი თავს ჩინებულად გრძნობს, ტრავმირებული არავინაა და ვეცდებით საუკეთესოდ ვითამაშოთ, რათა ღირსეულ შედეგს მივაღწიოთ.

ესაუბრა

შალვა ძორიძე.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ფოტოზე აღბეჭდილია ქართული ინტელიგენციის ერთი ჯგუფი. პირველ რიგში, მარცხნიდან: პეტრე შამათავა, გიორგი მხვაცაბაია, პაატა გუგუშვილი, რაფო დვალი, იოველ ასათიანი.

მეორე რიგში: ვიქტორ გოცირიძე, ილია ხოშტარია, ვლადიმერ ალუენიძე.

ბორჯომი. ლიკანი. 1983 წელი.

გამოგვიგზავნეთ ფოტოსურათები. გამოგვეხმაურეთ: ტელ: 99-66-10.

სიძევ, რაღად ჩამეც გულში დანა მე?!

დმანისის რაიონში მცხოვრებმა, 1971 წელს დაბადებულმა მ. მამედოვმა, ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულში დაჭრა ცოლისძმა, იქვე მცხოვრები, 1979 წელს დაბადებული ს. მამედოვი.

დამნაშავე იმალება, საქმეს დმანისის საგამოძიებო განყოფილება იკვლევს.

დააკავეს „ლიმონათის" დამამზადებელი

სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამხილეს თბილისელი ლია კიკნაძე, რომელმაც ჯანჯღავას ქუჩაზე მდებარე საკუთარ საამქროში ჩამოასხა 840 ბოთლი ფალსიფიცირებული ლიმონათი და რეალიზაციის მიზნით ჩააბარა ვაგზლის ტერიტორიაზე ინდივიდუალურ მოვაჭრეს ზვიად მესხიშვილს.

უაქციზო სიგარეტის მოიწევაო და...

შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა „ფორდი", რომელსაც თბილისში მცხოვრები, 1959 წელს დაბადებული გიორგი კასრაძე მართავდა. მას 2200 კოლოფი უაქციზო სიგარეტი „კონგრესი" გადაჰქონდა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ხსოვნა

ილია თორდია

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, მთელი ზუგდიდის რაიონის მოსახლეობისათვის უსაყვარლესი პიროვნება, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, ჩვენი ერთგული მეგობარი და თანამდგომი **ილია (ილუშა) ალექსანდრეს ძე თორდია.**

ილია თორდია დაიბადა 1921 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედაეწერში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, მიიღო უმაღლესი პედაგოგიური განათლება და შემდეგში იყო ამავე სკოლის დირექტორი, პარტიული მუშაკი. როდესაც სოფლის მეურნეობას დაჭირდა გამოცდილი და ერუდირებული კადრები, იგი მობილიზებულ იქნა ამ სამუშაოზე და დაინიშნა კორცხელის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მისი მუშაობის პერიოდში კოლმეურნეობა ჩამორჩენილიდან ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად იქცა არამარტო ზუგდიდის რაიონში. შემდგომში იგი გადაიყვანეს აბასთუმნის ჩაისა და ტუნგის მეურნეობის დირექტორად, სადაც ათეული წელი დაჰყო და მოწინავე, რენტაბელურ მეურნეობად აქცია იგი. შემდგომში კვლავ მოღვაწეობდა ზუგდიდში სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე, ვიდრე არ გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ყველგან, სადაც კი იმუშავა, თავისი ხელი დაატყო ბატონმა ილიამ და ამიტომ იყო იგი ასე სათაყვანებელი, როგორც საზოგადოებისათვის, ისე ჩვენთვის მისი ახალი მეგობრებისათვის.

ასეთ განთქმულ მოღვაწე კაცს ოჯახიც შესანიშნავი ჰქონდა. თავის ერთგულ მეუღლესთან ქალბატონ ბაბუცა სიჭინავასთან ერთად ორი შესანიშნავი ვაჟკაცი გაზარდა – ვახტანგი და ბორისი. ვახტანგი ხომ წლების განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების ღირსეული ხელმძღვანელი მუშაკი იყო, ბორისი კი პარტიული და სამეურნეო მუშაკი.

იგი შვილების, რძლების, შვილიშვილების, ახლობლების სიყვარულით ცოცხლობდა, რომლებსაც თავის სითბოს არ აკლებდა. ამ ბოლო დროს ავადმყოფობის მიუხედავად, როგორ უხაროდა უფროსი შვილიშვილის ეკას წარმატება, რომელიც „მის-99" გახდა და ყოველდღე ელსმენით რეკავდა თბილისში: რას შვრება ჩემი ეკა ბეირუთში, გაიმარჯვა თუ არაო!

ასეთი იყო ჩვენი ილია, ყოველმხრივ ღვაწლმოსილი, ქვეყნის პატრიოტი და ოჯახის მოსიყვარულე მამა.

მაგრამ წუთისოფელი ხანგრძლივი როდია, იგი დიახაც წუთისოფელია. ამ ღვაწლში, შრომაში და სიყვარულში მიილია მისი სახელოვანი სიცოცხლე. ვაგლახ, რომ აღარ არის ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტი, შესანიშნავი მამულიშვილი ილია თორდია.

ზუგდიდს, მის რაიონს არასოდეს დაავიწყდება ილია თორდია, არც ჩვენი გულებიდან ამოვა მისი სახე და სიყვარული.

მშვიდად განისვენე სახელოვანო და ღირსეულო კაცო, შენს სათაყვანებელ ქართულ მიწაში. მსუბუქი იყოს იგი შენთვის.

მეგობრები.

ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი

07.30 ალიონი. 09.00 აერობიკა. 09.18 ტელემაღაზია. 09.30, 00.15 ვიდეოპატრული-02. 09.45 "სიყვარულის არომატი, ანუ ფანფანი". 11.34, 19.50 მაესტრო. 11.42 წონასწორობა. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 "მოამბე". 12.10 ვიზიტი. 13.00 ტელე-სინე-ვიდეო. 13.30 გრიფით საიდუმლო. 13.50 საქმე. 14.10 შეხვედრა. 14.35 რამპა. 14.40 "მესაკუთრე". 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია. 18.15 რაგბი - მსოფლიო თასი. 18.45 "დალასი". 19.35 "ბასტი-ბუბუ". 20.50 "რა ხდება?!" 21.35 2ხ24. 22.00 ვესტნიკი. 22.25 მრავალსახეობა. 23.00 ეკოდაიჯესტი. 23.20 გვირგვინი. 23.35 თV-ტაქსი. 23.45 ნამდვილი ამბები. 00.30 კომუნიკატორი. 01.02 "მატყუარა, მატყუარა".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 19.30 სტუდია "რე". 20.10 საუბრები მართლმადიდებლობაზე. 21.10 "ანტონელა". 22.00 "შვიდეული". 22.30 "განგსტერების მიწა". 23.55 პიტ-პარადი.

07.00 მუსიკა. 08.00, 09.25 ტული 08.05, 08.30, 12.00, 15.00 კურიერი 08.15 შავი მეკობრეები 09.30 „ნიკიტა" 10.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 10.50 „ალფი" 11.20 „გვადალუპე" 12.15 მხ. ფ. 14.10 „ნანი" 15.15 მხ. ფ. 16.30 დოკ. ფ. 17.10 „კორდიე" 18.00, 21.00, 22.50, 02.10 კურიერი 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 18.50 აკუნა მატატა 19.25 „ალფი" 20.05 „გვადალუპე" 21.50 „ნიკიტა" 23.50 „ნამდვილი დანაშაული" 02.20 კლასიკა.

იბერია

09.00, 19.00, 22.00, 00.30 ახალი ამბები 09.15, 21.00 „ბურთი და მოედანი" 09.30, 19.20 „ძალაში" 10.00, 02.10 „ოვაცია" 10.10, 21.10 „ყველა ჩემი შვილი" 11.00, 20.30 „ძველი პანგები" 11.05, 19.45 „სტუდია დიალოგი" 11.50 „ფარული კამერა" 12.10 „გილოცავთ ახალ წელს" 14.10, 16.15, 17.35 მუს. ტალღა 14.15 „ომი და მშვიდობა" 16.20 „კონკია" 18.35 დოკ. ფ. 22.30 „სამოქალაქო სარჩელი" 00.40 „ნოსტალგია" 00.45 „მშვიდობით, პატარავ".

17.00, 18.30, 20.30, 00.00 „დღე" 17.15 მულტფილმი „ადამიანი-ობობა" 17.40 „სპორტი, სპორტი, სპორტი" 19.00 სტუდია „სპექტრი" 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 „ვარსკვლავები" 22.00 „ცუდი ბიჭები" 00.20 „ბინდი" 01.55 მუსიკალური კალეიდოსკოპი.

11.00, 17.45, 22.00, 00.00 "სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 "მთიელი". 14.15 "ჩვენ დაგვრჩა, მხოლოდ ვიტიროთ". 18.05 მუსიკა. 19.00 "ხვალ..." 20.30 "საუბრები მწვანე ბუხართან". 21.35 "ფეხბურთის ლეგენდები". 22.30 "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". 22.40 თბილისური ოჯახები. 23.00 "კომატოზიანები".

08.00 „ტონიკი" 10.30 „განგსტერები" 12.40 კლიპ-მიქსი 18.00 „სამყარო" 19.00 „რაშმორის აკადემია" 20.35 „ნაგრძნობია განადგურება" 22.55 „ლიდერი" 00.40 „დიდი ლებოვსკი". 02.35 ნონ-სტოპი.

სიახლე 09.00 დილის საინფორმაციო პროგრამა 09.20 მულტფილმი 10.00 დოკ. ფ. 10.30, 21.45 „ნოე ჟორდანია – ტელევერსია" 11.35 „ჰავანა" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.10 მულტფილმი „დამბო" 18.40 „დისქავერი" 20.05 „ვისია ვისი" 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.00 დოკ. ფ. 22.35 „დილიჟანსი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.10 „ერთ მშვენიერ დღეს" 02.00 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი".

08.00, 18.45 მუსიკა 09.00, 19.15 მულტფილმები 09.30, 17.10, 20.05 მხ. ფ. 10.30, 22.00 პოლიტკლუბი 17.00 საერთაშორისო ქრონიკა 19.45, 23.00 ექსპრეს-ქრონიკა 23.15 სამი მხ. ფ.

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 01.00 „ექო" 10.15, 17.15 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ. ფ. 12.30, 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე 13.15, 15.45, 21.00 23.30, 01.15 მხ. ფ. 15.00 მუსიკალური პროგრამა 22.30 საავტორო გადაცემა.

ხსოვნა

კაცი ღიღინით წავიდა...

არსთა გამრიგესთან მისვლა რომ გარდუვალია, უეჭველია, ყველამ იცის და ამას, საუბედუროდ, ვერავინ გაექცევა, მაგრამ... წასვლას – წაყვანასაც ზოგჯერ ის იდუმალება, ამაღლებული განცდა ახლავს, მხოლოდ ღირსეულ კაცთა ხვედრად რომ ქცეულა... მაშ, რა ვუწოდოთ სხვაგვარად გაცნობიერებას იმ ტრაგედიისა, რომელიც ჩვენს მეგობარს, კოლეგას, გონიერ ქართველს, უბადლო ოჯახისშვილს, ნიჭიერ ისტორიკოსს **გულივერ იობაშვილს** უდროოდ და მოულოდნელად რომ ეწვია და ამით, სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი და მისდამი ჩვენი სიყვარული, დაუვიწყარი, მარადიული ხსოვნა...

ცინცხალი, ზემო იმერეთის კოპწია ლამაზ მთიან სოფელში ამ ქვეყნად გაზაფხულზე მოვლენილი, შემოდგომის ბრდღვიალა მზესთან ერთად ჩაესვენა მადლიან-ბარაქიანი კახეთის ალაზნის ველზე... თვით უყვარდა ხოლმე ასეთი გამოთქმა: მზის სხივი ჩაეწვეთაო ქარვისფერ ღვინოს... მართლაც, ასე მოხდა, კაცურად მდიდრულ სუფრაზე, დიდებული სოფლის დიდებულ ოჯახში, მისი უკანასკნელი ლხინის – ლაღობის დროს... ყველაფერი მოეწონა იმ დღეს: წასვლისთვის სამზადისი, გზაში კახეთის მთებისა და ბაღ-ვენახების ხილვა, შემოდგომის ფერთა სიმრავლე, ისტორიულ ძეგლებზე მეათასედ თვალის შევლება, მცხუნვარე მზე და უპირველესად, კახელთა მასპინძლობა... თითქოს ყველაფერს უკანასკნელად ასრულებდა – დიდებულს, მისთვის ჩვეულ რიტუალებს, ამაღლების ეკლესიაში ავიდა, ილოცა და სანთელიც დაანთო, ქვემოთ ჩამოვიდა, კოხტად მორთულ ეზოში კარმიდამო დაულოცა მასპინძელს, იქვე ვეჯინელ კეთილ გლეხობას „ზავოტობაზე" – არყის ხდაზე დაესწრო, ადღეგრძელა, ლექსიც უთხრა ომახიანად – „გოგლასეულად" და დიდხანს ესაუბრა კიდეც... უყვარდა ყველა და ყველაფერი – რაც მიწიერია და სუფთა და, რაც ციურია და ნათელი... შემდეგ სუფრას მიუჯდა მსუბუქად – ფრთხილად, იმერული ზრდილობით, დინჯად და აუჩქარებლად სადღეგრძელოებიც თქვა, იუმორი და ლექსებიც მიაყოლა, როგორც მას შვენოდა, მორცხვად, თავმეკავებით. მერე სიმღერა შემოსძახა – იმერულიც და კახურიც, უფრო სწორად, ღიღინი უყვარდა „ხავერდოვან-ჩაგუდული" ხმა ჰქონდა, ისეთი – სუფრას რომ უხდება... სასწაული და უბედურებაც მაშინ მოხდა – ლხინის, სიმღერა-ღიღინის დროს სუფრაზე სული დალია... მისთვის ყველაზე საყვარელ ადგილას, საყვარელ ხალხთან – მეგობრებში, საყვარელ კუთხეში – კახეთში... სიკვდილს მუხთალს რაღა შეფასება უნდა, მაგრამ... ასეთ სიკვდილში არის სილამაზე, განუმეორებლობა, გამორჩეულობა, თუნდაც პათეტიურობა და ღვთისნიერი კაცის ხვედრი – ბედიც... მისი განვლილი ცხოვრების გამოხატვაც. სიმბოლურია და საცნაურია ასეთი ცხოვრება და გარდაცვალება ჩვენთვის, ვინც ასე ახლოს ხანგრძლივი წლების მანძილზე ვიცნობდით და ვმეგობრობდით, ვსწავლობდით და ვასწავლიდით ჩვენ კეთილ, ინტელექტუალურ და წესიერ პიროვნებას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორს, ბატონ გულივერ იობაშვილს! ჩვენი წერილი აკადემიური არ არის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი მეგობრის ცხოვრების წესს – კრედოს, მის რომანტიულ-პოეტურ სულს, ჩვენი აზრით, ასეთი სტილით – მანერით დაწერილი მიძღვნა უფრო მეტად დაამშვენებს – მიესადაგება...

რომანტიული და პოეტური ცხოვრების მოტრფიალემ, უდიდესი შრომის უნარი გამოავლინა ყველგან და ყველაფერში – ისწავლა და იღვაწა ფრიადზე – სკოლაში, უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, ასპირანტურაში. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები წარმატებით დაიცვა. ახალი კონცეფციები, თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომა, უამრავი წყაროების სკრუპულოზური შესწავლა, ახლებურად წარმოჩენა და გაანალიზება საქართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის XIX საუკუნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აღმნიშვნელი, მანამდე შეუსწავლელი საკითხები და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა დღემდე უცნობი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ფაქტები – მოვლენები. საერთოდ, საზოგადოებრივ და სამეცნიერო მუშაობაში ერთ-ერთი წარჩინებული იყო და იმავე დროს პოეზიის, პროზის, მუსიკის თაყვანისმცემელი და მცოდნე. ასეული წერილის, სტატიის, გამოკვლევის და მონოგრაფიის ავტორიც გახლდათ და სტუდენტების უსაყვარლესი ლექტორიც ბრძანდებოდა. ასპირანტებსა და კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლებს უშურველად ყველაფერში ეხმარებოდა და, საერთოდ, თავის ცოდნა-გამოცდილებას ყველას უნაწილებდა, უნივერსიტეტისა და სამშობლოს სიყვარულს კი ყველაფერს ანაცვალებდა. მეზობელ-ნათესავების გულშემატკივარი და მოყვარული იყო ჭირში თუ ლხინში, მათ გვერდზე მდგომი და მრავალ ახლობელ გარდაცვლილ ნათესავთა და მეგობართა სახელებს არასდროს ივიწყებდა...

გვარ-სახელს მთლიანად ამართლებდა გულივერი – გულით იყო, დიდი გულით... ბიბლიური იობის შთამომავლობაც უხდებოდა გვარად და, რაც მთავარია, ყველაფერს ამას, ყოველ დროს და ყველა ასაკში, მისი ოჯახი უქმნიდა. დიდებულმა, განათლებულმა დედ-მამამ წიგნი და სამშობლო შეაყვარა; დებმა – და-ძმური სიყვარულის ფასი, განსწავლულმა და კეთილმა კოლხმა მეუღლემ პირადი ოჯახის სიყვარული და პატივისცემა გაუღვივა, ორი ქალიშვილიც აჩუქა, ლამაზები და ჭკვიანები... ახალგაზრდა ბაბუაც გახდა, შვილიშვილებიც ჩაიხუტა და უფროს შვილიშვილს, მის საყვარელ კაკულიკას – კაკოს – ლექსებიც ასწავლა, სიმღერა გააგებინა და ისტორია შეაყვარა.

კიდევ ბევრი რამ შექმნა-გააკეთა, ისწავლა-ასწავლა ბატონმა გულივერმა – გულომ და ეს ყველაფერი სამოცი წლის ასაკამდე მოასწრო. შემოდგომაზე ჩვენგან წასულმა, ცხოვრების შემოდგომის წლებს ვერ მიაღწია, მისთვის მზე ჩაესვენა, მაგრამ... მისი გულიდან ჩაწვეთებული სითბო, ჩვენს გულებს მზის სხივივით მუდამ გაანათებს და გაათბობს.

უნივერსიტეტელი მეგობრების და კოლეგების სახელით

მერაბ ვაჩნაძე,
ოთარ მიმინოშვილი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი, არქიტექტორი

ალექსანდრე (ალიკა) ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ლუბა, მეუღლე თენგიზ სულაძე, შვილები ნინო, კახა, და ლამარა, სიძეები ზაურ ბერაძე, გია ჩაჩიბაია, რძალი ნანა რაზმაძე, შვილიშვილები ლაშა, რუსიკო, ირინა, გივი, დისწულები ზაზა, ბესო, მძახლები რუსიკო ჯინჭარაძე, ნადია, ედიკა რაზმაძეები, მული ნანა ყუბანეიშვილი, მაზლიშვილი ელისო სულაძე, მაზლები გოდერძი კიკნაძე, ლაურ, ვასო, ნოდარ მანაგაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზია ნესტორის ასული სანოძე

პანაშვიდი 28, 29 X, 5 სთ. გამოსვენება 30 X, 3 სთ. მაზმიშვილის (ყოფ. მერკვილაძის) ქ. №31.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს უფროსს რამაზ ქლენტს დედის

გალინა ლორიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ღირსების ორდენის კავალერი

შოთა ლომთაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები ღრმა სამძიმარს გამოთქვამენ ძვირფასი ლექტორის, პროფესორ

გულივერ იობაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მანანა იმნაძე, შვილები ზაზა, რამაზი, რძალი ქეთი ბახუტაშვილი, შვილიშვილები მანჩო, ნიკა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიძინა ნესტორის ძე მამულაიშვილი

პანაშვიდი 28, 29 X, 4 სთ. გამოსვენება 30 X, 2 სთ. შანიძის ქ. №5.

სააქციო საზოგადოება თბილაბრეშუმი „ცისარტყელა" ღრმა მწუხარებით იუწყება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ელენე (ნანული) სოხაძის დედის

ნინა სოხაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ბატონ რამაზ ქლენტის დედის

გალინა იოსების ასულ ლორია-ქლენტის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო უღრმეს სამძიმარს უცხადებს ბატონ რამაზ ქლენტს დედის

გალინა ლორია-ქლენტის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს ბატონ რამაზ ქლენტს დედის

გალინა ლორია-ქლენტის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანა, შვილი ნოდარი, შვილიშვილები კოტიკო, მიშა, სოფიკო, ანა, ჯონდი, დები ლიზა, თამარა, მედიკო, ძმები ისაკი, სოსო, რძალი ხათუნა, სიძე დავით ბალუაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ იაკობის ძე წვენიაშვილი

პანაშვიდი 27, 28 X, 5 სთ. გამოსვენება 29 X, 1 სთ. კოტეტიშვილის შესახ. №8 (მთაწმინდა).

ხსოვნა

ალექსანდრე (ალიკა) ჯაფარიძე

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის დარბაზში გამოფენილი იყო არქიტექტორ **ალიკა ჯაფარიძის** ნამუშევრები – არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა. უამრავი დამთვალიერებელი შეიკრიბა გამოფენის გახსნაზე. გულდასაწყვეტი იყო, რომ არ ესწრებოდა თავად ნამუშევრების ავტორი – ასე იწყება საგაზეთო წერილი „გამოფენა, რომელსაც სევდა ახლდა". ეს იყო სულ რამდენიმე თვის წინათ. იმ დღეს კოლეგებმა სინანულით აღნიშნეს, რომ ჩვენი პროფესიული ცხოვრება უსათუოდ განსხვავებული იქნებოდა ალიკა ჯაფარიძესთან ერთადო. ეს სრული ჭეშმარიტებაა! ალიკა – არაორდინარული პიროვნება; ალიკა – აქტიური, მძიებელი, ენერგიული; ალიკა – დაჯილდოებული ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით; ალიკა – რომელიც უცბად აღმოჩნდებოდა ხოლმე საზოგადოების ყურადღების ცენტრში; ალიკა – წამომწყები და ბოლომდე მიმყვანი არა ერთი კარგი, საჭირო საქმისა, კაცი, რომლის მეგობართა წრე უკიდეგანო იყო, ჰყავდა მეგობრები – ახალგაზრდები, თანატოლები, საკმაოდ ხნიერნიც.

და აი, მძიმე ავადმყოფობა ცხოვრების მუხრუჭად ექცა. წლების მანძილზე გამოჯანსაღების იმედი თანდათანობით იმედგაცრუებამ შეცვალა. იგი ვერ დაუბრუნდა „ალიკასეულ" აქტიურ ცხოვრებას, საზოგადოებრივ საქმიანობას და მაინც არავის გაუგია მისგან წუწუნი და ჩივილი სატკივარზე – ვაჟკაცურად იტანდა ყველაფერს, საუბრობდა მომავალ შემოქმედებით გეგმებზე, გვიზიარებდა ჩანაფიქრს, არ შეუწყვეტია ურთიერთობა ახალგაზრდა კოლეგებთან, სტუდენტებთან. და კვლავაც სიცოცხლის დიდი სიყვარული უნარჩუნებდა სიძნელის გადალახვის, დაუძლეველის დაძლევის რწმენას.

ალიკამ თავისი გამოფენა მხოლოდ მესამე დღეს მოინახულა, საგანგებოდ კვირა დღე აირჩია, განერიდა ხალხს, რათა მათ ხსოვნაში ისეთივე ენერგიული და ხალისიანი ალიკა დარჩენილიყო. დიდხანს დაჰყო საგამოფენო დარბაზში, გარინდებული იჯდა თავის, სამწუხაროდ, უკვე განუყრელ ორთვალა სავარძელში, შემდგომ არქიტექტორთა კავშირის სათავსოებს ჩამოუარა და თვალცრემლიანმა დატოვა იქაურობა.

მისი წასვლა ამქვეყნიდან, ნამდვილად „ალიკასეული" იყო, ელვისებური, მოულოდნელი.

დღეს კი, ჩვენო ალიკ, შენი სიკეთე, შენი იუმორი, უშრეტი ენერგია და, რაც მთავარია, განსაცვიფრებელი ოპტიმიზმი და ნებისყოფა, ყველაფერი უკან დარჩა, უკვე წარსულშია. დღეიდან შენს კოლეგებში, მეგობრებში ტკივილიან გახსენებად იქეცი.

მდაბლად ვხრით თავს ჩვენი პროფესიის შესანიშნავი წარმომადგენლის, ალიკა ჯაფარიძის ხსოვნის წინაშე.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირი,
ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური.

გაიოზ ვადაჭკორია

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ენდოკრინოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, რესპუბლიკის ენდოკრინოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი **გაიოზ ვადაჭკორია.**

ცხოვრების საინტერესო და სახელოვანი გზა განვლო ბატონმა გაიოზ ვადაჭკორიამ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი ფრონტის წინა ხაზზეა და ღირსეულად ასრულებს პროფესიულ მოვალეობას. ომის ქარცეცხლში სიცოცხლის ფასად ეწევა საექიმო საქმიანობას. მრავალი დაჭრილი იხსნა სიკვდილისაგან.

ამ თავდადებისათვის ბატონი გაიოზი მრავალგზის იქნა დაჯილდოებული საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ომიდან დაბრუნების შემდეგ, პროფესორ იოსებ ასლანიშვილთან ერთად, ეწევა სამეცნიერო-პრაქტიკულ მოღვაწეობას საქართველოს რეგიონებში ჩიყვით დაავადებულთა შესწავლისა და ლიკვიდაციის საქმეში, რისთვისაც 1951 წელს დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით „ჯანდაცვის წარჩინებული".

თითქმის 45 წლის განმავლობაში ბატონი გაიოზი შემოქმედებითად ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ ენდოკრინოლოგიურ დისპანსერს. მან აღზარდა ქართველ ენდოკრინოლოგთა მრავალი თაობა, მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა საქართველოს რეგიონებსა და ქალაქებში მომუშავე კოლეგებს. წლების მანძილზე იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ენდოკრინოლოგი, ენდოკრინოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის ენდოკრინოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი. მისი მრავალმხრივი საექიმო, პედაგოგიური, ორგანიზაციული მოღვაწეობა აღინიშნა ღირსების ორდენით.

განსაკუთრებით გამორჩეული იყო იგი, როგორც პიროვნება, მოქალაქე, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ბატონი გაიოზი დიდი თანადგომითა და პატივისცემით ეპყრობოდა ყველას, ვინც საჭიროებდა მის მხარდაჭერას. განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებში, მოწაფეებსა და ახლობლებში.

ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა შესანიშნავი კლინიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქვეყნის მოჭირნახულე პიროვნება. მისი ნათელი სახე მარად იქნება იმ ადამიანების ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო;
გაზეთ „მედიცინის" რედაქცია;
საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოება;
რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები
ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.
ინდექსი 66434
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.